

აკადემიური ნაშრომი

გენდერული გეგმავლების შეფასების მეთოდოლოგია



აგვისტო, 2021
UN WOMEN

გამოცემა მომზადდა პროექტის ფარგლებში „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში“ ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშის რეცენზირებასა და ხარისხის უზრუნველყოფაზე იმუშავა ნანი ბენდელიანმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის ანალიტიკოსმა.

აქ გამოთქმული მოსაზრებები არ წარმოადგენს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, SDC ან ADC ოფიციალურ პოზიციას.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები.

აკადემიური ნაშრომი

გენდერული გეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია



აგვისტო, 2021
UN WOMEN

ავტორები:

ანამარია გოლემაკ პაუელი

მაკა ქითანავა

ნათია წიქვაძე

ნესტან გაფრინდაშვილი

დავით კეშელავა

მარიამ ლობჯანიძე

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC



With funding from

Austrian
Development
Cooperation


United Nations Entity for Gender Equality
and the Empowerment of Women

სარჩევი

აბრევიატურები	4
ტერმინთა განმარტება	5
მეთოდოლოგიის შესახებ	8
თავი 1: შესავალი	11
1.1. რა არის GIA?	13
1.2. GIA-ს მიზნები და ამოცანები	15
1.3. რატომ უნდა გამოიყენონ პოლიტიკის შემქმნელებმა GIA?	18
1.4. როდის უნდა გამოიყენონ პოლიტიკის შემქმნელებმა GIA?	20
1.5. GIA საქართველოში GRB-ის კონტექსტში	21
1.6. GIA საქართველოში RIA-ს კონტექსტში	22
თავი 2: როგორ განვახორციელოთ GIA - დეტალური სახელმძღვანელო (ნაბიჯ-ნაბიჯ ინსტრუქცია)	24
2.1. GIA-ს სამი ეტაპი და ხუთი ნაბიჯი	25
ეტაპი I. გენდერული შესაბამისობის შეფასება	25
ეტაპი II. გენდერული ზეგავლენის შეფასება	40
ეტაპი III. გენდერული ხარისხის შეფასება	49
2.2. GIA-ს დოკუმენტის ფორმატი	52
თავი 3: პროექტის განხორციელების ვადები, კონსულტაციები და მონაცემთა შეგროვება	53
3.1. შეთავაზებული ვადები და რესურსები	54
3.2. კონსულტაცია დაინტერესებულ მხარეებთან	54
3.3. მონაცემთა შეგროვება	60
ბიბლიოგრაფია	74

აბრევიატურები

EIGE	European Institute for Gender Equality გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი
GIA	Gender Impact Assessment გენდერული ზეგავლენის შეფასება
RIA	Regulatory Impact Assessment რეგულირების ზეგავლენის შეფასება
UN	United Nations გაერო
UNDP	United Nations Development Programme გაეროს განვითარების პროგრამა
GRB	Gender Responsive Budgeting გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტირება
GoG	Government of Georgia საქართველოს მთავრობა
SDG	Sustainable Development Goal მდგრადი განვითარების მიზანი
ISSET-PI	ISSET Policy Institute ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი

ტერმინთა განმარტება

სქესი, გენდერი, გენდერული მიუკერძოებლობა და გენდერის ინტეგრაცია ის ტერმინებია, რომლებიც გენდერის ძირითად კურსთან დაკავშირებული გლობალური დისკურსის ნაწილად იქცა. თუმცა, მათ განმარტებებსა და მნიშვნელობებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ გრძელდება გაურკვევლობა და დებატები. თითოეული მათგანი განსხვავებულ კონტექსტსა და დროის სხვადასხვა პერიოდში, შესაძლოა, ატარებდეს განსხვავებულ იდეოლოგიურ პოზიციას და გამოიყენებოდა მრავალფეროვანი მიდგომის იდენტიფიცირებისათვის. ამგვარად, მნიშვნელოვანია, ამ სახელმძღვანელოს შესავალშივე განისაზღვროს გენდერის ძირითად კურსთან დაკავშირებული კონცეფციის საერთო განმარტება, საიდანაც უკვე შევძლებთ ღრმა და პრაქტიკული მსჯელობის გაგრძელებას. წინამდებარე განმარტებები მოყვანილია როგორც საერთაშორისო შეთანხმებებიდან, ასევე დოკუმენტებიდან. მათი მიზანია, შემოიტანონ სიცხადე, აგრეთვე ხელი შეუწყონ სახელმძღვანელოს გამოყენებას ღრმა თეორიულ და ზოგჯერ აბსტრაქტულ დებატებში ჩართვის გარეშე.

გენდერი და სქესი (Gender and sex) - გენდერი არის ქალისა და კაცის სოციალურად კონსტრუირებული განმარტება. ის არის ბიოლოგიური სქესის სოციალური დიზაინი, რომელიც განპირობებულია სოციალური მიერ ქალებისა და კაცებზე მიკუთვნებული ამოცანებით, ფუნქციებითა და როლებით როგორც საზოგადოებაში, ასევე პირად ცხოვრებაში. ესაა ქალებისა და კაცობის კულტურულად სპეციფიკური განმარტება, რომელიც, შეიძლება შეიცვალოს დროსა თუ სივრცეში (Council of Europe 1998). გენდერი არ არის არც სქესის და არც ქალის სინონიმი.

სქესი (Sex) — განსაზღვრავს ქალსა და კაცს შორის ბიოლოგიურ განსხვავებას და არის გენეტიკურად განსაზღვრული. ქალისა და კაცის როლებს შორის არსებული სხვაობის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი შეიძლება იქნეს სქესზე დაფუძნებულ ბიოლოგიურ თუ ფიზიკურ მახასიათებლებზე მიკუთვნებული. მაგალითად, სქესთან დაკავშირებულ თავისებურებებს მიეკუთვნება: ფეხმძიმობა, ბავშვის გაჩენა და ფიზიოლოგიური განსხვავებები.

გენდერული ურთიერთობები/კავშირები (Gender relations) — სოციალური კავშირები ქალებსა და კაცებს შორის. ეს კავშირები მიიჩნევა, როგორც სქესთა შორის ძალთა გადანაწილება. ისინი განსაზღვრავს როგორც პასუხისმგებლობათა და სოციალური მოლოდინების განთავსების, ასევე თითოეული მათგანისადმი ღირებულებათა მინიჭების გზებს. გენდერული კავშირები ცვალებადია დროსა და სივრცეში, აგრეთვე ადამიანთა განსხვავებულ ჯგუფებში. ასე მაგალითად, ისინი შეიძლება

განსხვავდებოდეს ისეთი სოციალური კავშირების მიხედვით, როგორებიცაა: სოციალური კლასი, რასა, ეთნიკური წარმომავლობა, ქმედუნარიობა/შეზღუდული შესაძლებლობების ქონა, ასაკი და კულტურა. პოლიტიკაში გენდერული მიდგომა ნიშნავს იმ ვითარებათა გათვალისწინებას, როდესაც ქალსა და კაცს შორის ინტერაქცია ხდება არსებული ან შემოთავაზებული პოლიტიკის შესაბამისი გარემოებებით. ამ შეხედულების მიხედვით, გენდერი უფრო მეტად არის პროცესი, ვიდრე პიროვნების დამახასიათებელი თავისებურება. ჩვენ არ ვაქვს გენდერი; ჩვენ ვქმნით გენდერს.

გენდერული თანასწორობა (Gender equality) — ნიშნავს, ორივე სქესის თანაბარ ხილულობას, გაძლიერებასა და მონაწილეობას საზოგადოების ყველა სფეროსა და პირად ცხოვრებაში (Council of Europe 1998). თანასწორობის ამ გაგებას მიყვავართ წარსულში თანასწორად მოპყრობის მარტივ მიდგომასთან, რომელიც კაცს და მის მდგომარეობას ნორმად მიიჩნევს. მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ, მაგალითად, აბორიგენი ქალის მოსაზრება მიუკერძოებლობის შესახებ ძალზედ ხშირად არა კაცთან თანასწორობის სურვილითაა განპირობებული, არამედ თემზე დაფუძნებული ასპექტებითა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებებით.

გენდერული მიუკერძოებლობა (Gender equity) — ქალისა და კაცის მიმართ სამართლიანი მიდგომის შედეგია. ქალთა სუბორდინაციასთან მიკუთვნებულ ფაქტორთა ადრესაციის და შესწორების/რეაქციის აუცილებლობა. სამართლიანობის

უმრუნველსაყოფად, ხშირად გარკვეული ზომები ხელმისაწვდომი უნდა იყოს, რათა მოხდეს იმ ისტორიული და სოციალური ნაკლოვანებების კომპენსირება, რაც ხელს უშლის ქალებისა და კაცებს თანაბარ პირობებში იმოქმედონ. მიუკერძოებლობა შესაძლოა, გაგებულ იქნეს როგორც საშუალება, რომლის საბოლოო მიზანიც თანასწორობაა, რადგან სწორედ მიუკერძოებლობას მივყავართ თანასწორობამდე.

გენდერული ანალიზი (Gender analysis) — არის არსებული ან შემოთავაზებული პოლიტიკის, პროგრამების, პროექტებისა და კანონმდებლობის შეფასების პროცესი, რომლის ზეგავლენაც მიმართულია ქალსა და კაცს შორის არსებულ განსხვავებაზე. გენდერული ანალიზი აღიარებს, რომ ქალისა და კაცის ცხოვრების რეალობა განსხვავდება ერთმანეთისაგან და თანაბარი შესაძლებლობები არ ნიშნავს უსათუოდ თანაბარ შედეგებს.

გენდერული მენისტრინგი (Gender mainstreaming) — ორგანიზაციული სტრატეგია, რომელიც გულისხმობს გენდერული ხედვის შეტანას ინსტიტუციების პოლიტიკასა და მათი აქტივობების ყველა სფეროში, რათა გაიზარდოს გენდერული უნარები და პასუხისმგებლობა.

სისტემური დისკრიმინაცია (Systemic discrimination) — გამოწვეულია იმ პოლიტიკისა და გამოცდილებების შედეგად, რომლებიც ყალიბდება სისტემებში, რაც ინვესტს ქალებისა და უმცირესობების გამორიცხვას. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა არ მოხდეს ჯგუფის ყველა წევრის გამორიცხვა, ის ერთ კონკრეტულ ჯგუფზე მაინც უფრო სერიოზულ გავლენას მოახდენს, ვიდრე მეორეზე.

გენდერული რეაგირება (Gender responsiveness) — გულისხმობს საზოგადოებაში ქალსა და კაცს შორის არსებული განსხვავებებისადმი მუდმივ, მდგრად და სისტემურ მიდგომას გენდერული თანასწორობის სტრუქტურული ხარვეზების მოსაგვარებლად.

გენდერულად მგრძნობიარე (Gender sensitive) — პოლიტიკა და პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს როგორც ქალის, ასევე კაცის ცხოვრების

განსაკუთრებულ მახასიათებლებს და ამასთანავე, მიზნად ისახავს უთანასწორობის აღმოფხვრას, ამკვიდრებს რა გენდერულ თანასწორობას, რესურსების თანაბარ გადანაწილებას და შესაბამისად, მათი მოგვარების გზებს გენდერული ასპექტების გათვალისწინებით.

გენდერული სიბრმავე (Gender blindness) — იმის არ აღიარება, რომ ქალებს/გოგონებს და კაცებს/ბიჭებს გარკვეული როლები თუ პასუხისმგებლობები ენიჭებათ ან მიენიჭებათ კონკრეტულ სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტში.

გენდერული ნეიტრალობა (Gender-neutral) — მიდრომა, რომელიც მიიჩნევს, რომ პოლიტიკა/პროგრამები/პროექტები ერთნაირად ზემოქმედებს ყველა ადამიანზე, ან პოლიტიკას/პროგრამას/პროექტს ნეიტრალური გავლენა აქვთ ხალხზე. გენდერული ნეიტრალობის ანალიზს არ მოაქვს ქალებისთვის და კაცებისთვის ერთნაირად სამართლიანი შედეგები. თუ გენდერულად ნეიტრალურ მიდგომას შეიმუშავებთ, თქვენ უნებლიეთ, წინასწარი განზრახვის გარეშე, უკვდავყოფთ არსებულ უთანასწორობასა და მიკერძოებულობას, როგორც ქალების, ასევე კაცების ცხოვრებაში.

გენდერი და კულტურული ანალიზი (Gender and cultural analysis) — აფართოებს „გენდერზე დაფუძნებულ“ სამუშაო ჩარჩოს, რათა მოიცვას და ასახოს სხვადასხვა სოციალური თუ ეკონომიკური ფენის წარმომადგენელ ქალთა გამოცდილება, რომლებიც კულტურულადაც და ლინგვისტურადაც განსხვავებულები არიან. თანასწორობასთან, მიუკერძოებლობასა ან ნაკლოვანებებთან დაკავშირებული ნებისმიერი დისკუსია უნდა მოიცავდეს მსჯელობას, სადაც გათვალისწინებული იქნება განსხვავებულობა და ადამიანის უფლებები (Harris, 1990 & Ma Rhee, 2000).

ქალთა გაძლიერება (Women's empowerment) — გენდერული ძალაუფლების ქვემოთ ზემოთ მიმართული გარდაქმნის პროცესი იმ ინდივიდებისა თუ ჯგუფების მეშვეობით, რომელნიც ხელს უწყობენ ქალთა სუბორდინაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ქალთა უნარების ზრდას მათი ნაქვების მიზნით.

ქალებზე ორიენტირებული მიდგომა (Women-specific approach) — ეხება ინიციატივებს, რომელთა სამიზნე მხოლოდ ქალები ან გოგონები არიან. აღნიშნული ინიციატივა გამოკვეთს მკაფიო მიზანს ქალთა იმ პრაქტიკული ან სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რაც ინტეგრირებული მიდგომის მეშვეობით ყოველთვის არ გვარდება. ამგვარი აქტივობები ხშირად ძალიან ღირებულ ინვესტიციას წარმოადგენს განვითარებისათვის, განსაკუთრებით იქ, სადაც ისინი კატალიზატორის ფუნქციას ასრულებს, ასევე მოქმედებს, როგორც ინოვაციური და სტრატეგიული საშუალება, ან სადაც აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს განსაკუთრებულად გადაუდებელი გენდერული უსამართლობის აღმოფხვრას. ისინი სამართლიანად არის მიჩნეული, როგორც აუცილებელი საშუალება გენდერული სიბრმავის დასაძლევად, რამაც წარსულში ქალებს ხელი შეუშალა, ესარგებლათ ყველა იმ შესაძლებლობით, რაც მათ განვითარებაში დაეხმარებოდა.

სამუშაოს გენდერული ორგანიზება (Gendered organisation of work) — გულისხმობს გზებს, რომელშიც ჩვენი საზოგადოების ქალთა ძირითად პასუხისმგებლობას წარმოადგენს საშინაო საქმიანობა, ბავშვებსა თუ დამოკიდებულ პირებზე ზრუნვა და მათი მოვლა. ამისაგან სრულიად საპირისპიროდ ითვლება, რომ კაცებს თავისუფლად

შეუძლიათ მთელი თავიანთი დრო დაუთმონ სახლის გარეთ არსებულ სამუშაოს. პასუხისმგებლობათა ამგვარი არათანაბარი დაყოფა ხშირად ნიშნავს, რომ ქალები შრომის ბაზარზე ძირითადად ერთ კონკრეტულ სექტორში არიან დასაქმებულნი, მაგალითად, ნახევარგანაკვეთიან სამუშაოზე. ქალების მიერ შესრულებული სამუშაო, რომელიც ზრუნვასა და მოვლას გულისხმობს ასევე აისახება შრომის ბაზრისა და პროფესიულ სეგრეგაციაში.

განსხვავებულობა/მრავალფეროვნება (Diversity) — ეს კონცეფცია ყურადღებას ამახვილებს იმ ასპექტებზე, რითაც ადამიანების მიკუთვნება ხდება ისეთ კატეგორიებზე, როგორებიცაა სქესი, რასა, შეზღუდული შესაძლებლობები, ასაკი, სექსუალური ორიენტაცია და სოციალური კლასი. განსხვავებულობის აღიარება ნიშნავს ყურადღების მიპყრობას ამ კატეგორიებს შორის არსებულ ურთიერთგადაკვეთაზე იქ, სადაც ეს ურთიერთკვეთა განსახილველი პოლიტიკის შესაბამისია. რადგანაც გენდერი GIA - ში გაგებულია როგორც პროცესი, ამიტომ მნიშვნელოვანია, შესწავლილ იქნეს „კაცსა“ და „ქალს“ შორის არსებული ურთიერთობის მიღმა მდგარი იერარქიული მიმართებების ფორმირებაზე რა ზეგავლენა შეიძლება იქონიოს გენდერულად შეფერილმა დაშვებებმა (იხ. გენდერული ურთიერთობების განმარტება).

მეთოდოლოგიის შესახებ

გენდერული ზეგავლენის შეფასება (GIA) არის თანასწორობის ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება სხვადასხვა პოლიტიკის, პროგრამისა და მომსახურების გენდერული ზეგავლენის შეფასებას. GIA უზრუნველყოფს ტექნიკურ ცოდნას, იმისათვის რომ გააძლიეროს საჯარო სექტორის, კვლევითი (ე.წ. think tanks) და საერთაშორისო განვითარების ორგანიზაციები, რათა მათ შეეძლოთ როგორც გენდერზე მორგებული, ასევე სამართლიანი პროგრამების შექმნა. ეს არის მტკიცებულებაზე დაფუძნებული კარგი პოლიტიკის გამტარებელი ინსტრუმენტი, რომლის მიზანია, მიაღწიოს შესაძლო საუკეთესო შედეგს მართვის პროცესში გენდერის ასპექტების გათვალისწინებით და გაზარდოს მისი ეფექტიანობა.

ეს მეთოდოლოგია ნათელს ჰფენს იმ კონცეფციას, რომელიც საფუძვლად უდევს GIA-ს და პრაქტიკაში მისი გამოყენებისათვის საჭირო ინფორმაციას აწვდის მომხმარებელს. ის შექმნილია სამთავრობო პირების, პოლიტიკის შემქმნელების, პრაქტიკოსების, ტრენერების, საერთაშორისო დონორი საზოგადოების დასახმარებლად და ასევე მათთვის, ვინც დაინტერესებულია ამ, ერთი მხრივ, დინამიკურ, ხოლო, მეორე მხრივ, განვითარებად სფეროში გენდერული საკითხების ჩართვით რომელიმე პოლიტიკის, კანონის, საკანონმდებლო ინიციატივის, აქტივობის, ან პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა ან/და შეფასების ეტაპებზე. უფრო კონკრეტულად კი, ეს მეთოდოლოგია შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც პოლიტიკის შემქმნელების გასაძლიერებლად საჭირო ორიენტირი. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს გენდერული ზემოქმედების შეფასებას საკანონმდებლო ინიციატივებზე, პროგრამებსა და აქტივობებზე, რათა აღნიშნული

მეთოდოლოგიის განხორციელებამდე უზრუნველყოფილი იყოს მისი პოტენციური ზეგავლენის საფუძვლიანი ანალიზი ქალებსა და კაცებზე, გოგონებსა და ბიჭებზე.

მეთოდოლოგია მარტივადაა აგებული. ის მკითხველს აწვდის საჭირო ცოდნასა და ინსტრუმენტებს იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს პოლიტიკასთან, აქტივობებთან, პროგრამებთან, პროექტებთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული გენდერული სენსიტიურობა. ეს მეთოდოლოგია მეტწილად ეყრდნობა გენდერის ძირითადი კურსის ინსტრუმენტების ნაკრებს, რომელიც მომზადებულია „გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის“ მიერ (EIGE). გარდა ამ დოკუმენტისა, მეთოდოლოგია აერთიანებს GIA-ს საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებს და საქართველოში უკვე არსებული პოლიტიკის როგორც შემუშავების, ასევე შეფასების პროცესს. პოლიტიკის შემქმნელებს უზრუნველყოფს კონტექსტით, რომელიც უკავშირდება გენდერის ძირითადი კურსის სფეროში არსებული სამომავლო გეგმების განვითარებას და ხელმძღვანელობს GIA-ს განხორციელებას საქართველოში ქვეყნის თავისებურებებისა თუ სპეციფიკის გათვალისწინებით. უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, სახელმძღვანელო და მეთოდოლოგია ეყრდნობა GIA-ს ინსტრუმენტს, მაგრამ, ამავდროულად, მისი ფორმა და ელემენტები მორგებულია საქართველოს პოლიტიკურ, სოციო-ეკონომიკურ და კულტურულ გარემოს, თუმცა სახელმძღვანელოში არაა წარმოდგენილი GIA-ს პროცესის ინსტიტუციური წყობა ქვეყანაში.¹ სახელმძღვანელოს მიზანია, დაინტერესებულ მხარეებს მიანოდოს ცოდნა თავად ინსტრუმენტის შესახებ, ასევე საფუძვლიანად აუხსნას ინდივიდუალური ნაბიჯები და ანალიზის სარგებელი

1 GIA-ს პროცესისა და GIA-ს მოქმედების სპეციფიკური ინსტიტუციური წყობა ქვეყანაში დამოკიდებულია გენდერის ძირითადი კურსის უფრო ფართო ნორმატიულ კონტექსტზე. როგორც ასეთი, GIA-ს ინსტიტუციონალიზაციისათვის საჭირო კონკრეტული ეტაპები და ნაბიჯები უფრო მეტად მიმართულია ორგანიზაციული წყობის სპეციფიკაზე (სხვადასხვა ამოცანა და პასუხისმგებლობა), ორგანიზაციულ ვალდებულებაზე, ექსპერტიზის ხელმისაწვდომობასა და ორგანიზაციის ინტერესის სპეციფიკურ სფეროში მოქცეულ გენდერულ თანასწორობაზე. ეს კი გულის-

ხმობს შემდეგს: ორგანიზაციის სხვადასხვა ელემენტი და ინსტიტუციური, ინფრასტრუქტურული თუ ორგანიზაციული კონტექსტი ახდენს ორგანიზაციებში გენდერის ინსტიტუციონალიზაციას მაშინ, როდესაც GIA-ს მეთოდოლოგია უცვლელია. ამ ყოველივეს დაწერვისათვის საჭიროა, თითოეული ქვეყნისათვის შემუშავდეს სპეციფიკური სახელმძღვანელო/პროცედურები, სადაც გათვალისწინებული იქნება მის განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების ტიპი.

პოლიტიკის, პროგრამების, კანონებისა და რეგულაციების გაუმჯობესების პროცესში. ამავდროულად, თვითონ დაინტერესებულ მხარეებს დაუტოვოს გადაწყვეტილების მიღების საშუალება, თუ როგორ წარმართონ მიმდინარეობა ქვეყნის კონტექსტისა თუ ორგანიზაციაში არსებული პროცესის გათვალისწინებით. ეს სამუშაო სამ ნაწილად არის დაყოფილი. ნაწილი 1. წარმოადგენს GIA-ს განსაზღვრებას, მის მნიშვნელოვნებას, ასევე რა წვლილის შეტანა შეუძლია მას უკეთესი პოლიტიკის შექმნასა და გენდერის ძირითადი კურსის დამკვიდრებაში. ის აგრეთვე წარმოადგენს მტკიცებულებებზე დამყარებულ კავშირს ქვეყანაში არსებული სხვადასხვა პოლიტიკასა და გენდერის ძირითად კურსს შორის, კერძოდ, კი მარეგულირებელი ზემოქმედების შეფასებასა (RIA) და გენდერზე მორგებულ ბიუჯეტირებას შორის (GRB). ნაწილი 2. არის GIA-ს პროცესის დეტალური, ნაბიჯ-ნაბიჯ გაწერილი სახელმძღვანელო, სადაც წარმოდგენილია GIA-ს სამი ეტაპისა (გენდერის შესაბამისობის, გენდერის ზეგავლენისა და გენდერული თანასწორობის შეფასებები) და მათი შესაბამისი ნაბიჯების დეტალური აღწერა, ასევე მასთან დაკავშირებული ძირითადი, საყურადღებო საკითხები. ეს ნაწილი გაჯერებულია საქართველოს შემთხვევების განხილვებითა და შესაბამისი მაგალითებით. ნაწილი 3. კი წარმოადგენს GIA-ს

პრაქტიკულ საკითხებს - პროექტის ვადებს, კონსულტაციებსა და მონაცემთა შეგროვების პროცესს.

მეთოდოლოგია შეიძლება გამოყენებული იყოს სხვადასხვა მიზნით:

- გენდერული ზეგავლენის შეფასების გააზრება და მასზე ცნობიერების ამაღლება;
- გენდერული ზეგავლენის შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება გენდერული პერპექტივიდან გამომდინარე, ეროვნული პოლიტიკის გატარებასა და მტკიცებულებებზე დამყარებული პოლიტიკის შექმნის პროცესში;
- ეროვნული თანასწორობის დარგში მომუშავე ორგანოების დახმარება GIA-ს პოპულარიზაციაში;
- ტრენერებისათვის ინფორმაციისა და მაგალითების მიწოდება როგორც ცნობიერების ასამაღლებლად, ასევე უნარების ზრდისთვის.

ეს მეთოდოლოგია წარმოადგენს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) და ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის (ISET-PI) გაერთიანებულ ძალისხმევას პროგრამის — „რეგულირების ზეგავლენის შეფასება და გენდერული ზეგავლენის შეფასება საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის“ — ფარგლებში.

შესავალი

მთელ მსოფლიოში პოლიტიკისა და პროექტების შეფასებისათვის სულ უფრო ხშირად გამოიყენება გენდერული ანალიზი. ამჟამინდელ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ რეალობაში, სადაც რესურსები შეზღუდულია და ცვლილებების განხორციელების სასურველი მასშტაბები უკიდურესად ფართო დაფარვის არეალს მოითხოვს, გენდერული ანალიზი ხელს უწყობს ნებისმიერი ჩარევის საბოლოო შედეგის ოპტიმიზაციას. ეს კი ვლინდება ხალხზე პოლიტიკის, პროგრამებისა და განვითარების ხელშეწყობი ქმედებების დიფერენცირებული ზემოქმედების გამოვლენაში, მათი გენდერული იდენტობისა და ურთიერთმოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით. ადამიანის ფუნდამენტური უფლებების გარდა გენდერული თანასწორობა მშვიდობიანი და მდგრადი განვითარების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. მრავალი სხვა ქვეყნის მსგავსად, საქართველოს მთავრობამ გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული რამდენიმე ვალდებულება იკისრა.

2010 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ,² რომლის მიზანია „უმჯობესების საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას“. კანონი საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წინაშე ასევე აყენებს გაძლიერებული ოპტიმიზაციისათვის საჭირო რეგულაციებს (ძალაშია 2004 წლიდან) და 2010 წლიდან ამ საბჭოს პარლამენტის მუდმივმოქმედ ორგანოდ აწესებს.³ კანონის თანახმად, გენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე სისტემატიზირებული მიდგომის უზრუნველსაყოფად, გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნა სავალდებულოა არამართო სახელმწიფო დონეზე, არამედ ადგილობრივადაც — ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების დონეზე. ყველა მგავსი საბჭო

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებულად უნდა მოქმედებდეს.

ერთი მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას, ასევე მის წევრ ქვეყნებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის 2014 წელს გაფორმებულმა ასოცირების ხელშეკრულებამ,⁴ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სამუშაო დღის წესრიგში (მუხლი 239), კერძოდ კი დასაქმების, სოციალური პოლიტიკისა და თანაბარი შესაძლებლობების ნაწილში (მუხლი 349 და დანართი XXX) შეიტანა გენდერულ თანასწორობაზე დაფუძნებული თანამშრომლობის ფორმები. იმავე წელს (2014) ქვეყანამ მიიღო კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად,⁵ რომლის მიზანია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან ნოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად“.

2015 წელს, გაეროს (UN) სხვა წევრ ქვეყნებთან ერთად, საქართველომ გამოთქვა სურვილი მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) განხორციელების შესახებ და 2030 წლისთვის მიზნად დაისახა ამოცანების შესრულება.⁶ SDGs-ის მეხუთე მიზანს წარმოადგენს გენდერული თანასწორობის მიღწევა, რაც გულისხმობს ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესებას. ზოგიერთი სხვა მდგრადი განვითარების მიზნები ასევე მოიცავს გენდერულ კრიტერიუმებს.

2 იხილეთ: https://matsne.gov.ge/en/_document/view/91624?publication=9.

3 იხილეთ: <http://www.parliament.ge/en/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-9/genderuli-tanas-sworobis-sabcho/sabchos-shesaxe>.

4 ხელმისაწვდომია: [https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:2014A0830\(02\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:2014A0830(02)).

5 ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/en/document/view/2339687?publication=0>.

6 იხილეთ: <http://sdg.gov.ge/text-page/35>.

2020 წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობამ ასევე გამოსცა ბრძანება „რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის⁷ დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA) სავალდებულოა საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულ სპეციფიკური კანონპროექტებისათვის. ამ მეთოდოლოგიის თანახმად, საქართველოში RIA-ს მეშვეობით უნდა მოხდეს ეკონომიკური, სოციალური, გარემოს, საჯარო ფინანსებისა და საჯარო სექტორის სხვადასხვა ქვეკატეგორიებზე სპეციფიკური ზეგავლენის (პირდაპირი და არაპირდაპირი) შესწავლა. ამავე მეთოდოლოგიაში გენდერული თანასწორობა წარმოდგენილია, როგორც სოციალური ზეგავლენის ნაწილი.

გენდერული ზეგავლენის შეფასება (GIA) წარმოადგენს ზემოთ ხსენებული ყველა იმ სახელმწიფო სტრატეგიისა და პოლიტიკის შემავსებელ მექანიზმს (თუმცა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება) რომელიც მიზნად ისახავს სამთავრობო ინსტიტუციების მიერ გენდერული თანასწორობის საკითხების წინ წამოწევის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით საქართველოში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებამდე ან შემუშავების პროცესში გენდერული ზეგავლენის შეფასების ჩატარების არანაირი სამართლებრივი ვალდებულება არ არსებობს, ცხადია, რომ GIA ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზაა გენდერის წარმატებული ინტეგრირებისათვის პოლიტიკის ციკლში. იქიდან გამომდინარე, რომ, ზოგადად, სახელმწიფო პოლიტიკა არ არის გენდერულად ნეიტრალური, GIA ხელს უწყობს სხვადასხვა სახელმწიფო პოლიტიკის გენდერული სექტორების გააზრება-გაგებას, ასევე აანალიზებს ამ პოლიტიკის განსხვავებულ ზეგავლენას ქალებსა და კაცებზე, გოგონებსა და ბიჭებზე. ეს, თავის მხრივ, მტკიცებულებებზე დაფუძნებული უკეთესი რეგულაციებისა და პოლიტიკის შემუშავებას უწყობს ხელს.

1.1. რა არის GIA?

გენდერული ზეგავლენის შეფასება (GIA) არის მიმდინარე ან შემოთავაზებული ქმედებების სა-

მომავლო შედეგების დადგენის პროცესი. ის ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით უკვე განხორციელებული ნებისმიერი პოლიტიკის სხვადასხვა ეფექტის (დადებითი და უარყოფითი) შეფასებას და ითვალისწინებს იმ მომხმარებელთა განსხვავებულ საჭიროებებს, თავისებურებებს, პრიორიტეტებს, ქცევებს, რომლებზეც ეს პოლიტიკა უშუალოდ ან მორგებული ევროკომისია GIA-ს შემდეგნაირად განმარტავს:

„გენდერული ზეგავლენის შეფასება არის გენდერული კრიტერიუმების მიხედვით არსებული სიტუაციისა და ტენდენციის შემოთავაზებული პოლიტიკის დანერგვის მოსალოდნელ განვითარებასთან შედარებისა და შეფასების პროცესი“.

*„გენდერული ზეგავლენის შეფასება არის გენდერული თანასწორობის სპეციფიკური საკითხების თვალსაზრისით განხორციელებული ნებისმიერი პოლიტიკისა და აქტივობის სხვადასხვა ეფექტის (დადებითი, უარყოფითი ან ნეიტრალური) განსაზღვრა“.*⁸

GIA მოიცავს ორმხრივ მიდგომას: ერთი მხრივ, შეისწავლის უკვე არსებულ, გენდერთან დაკავშირებულ პოზიციას განსახილველ პოლიტიკასთან მიმართებით, ასევე ახდენს ქალებსა და კაცებზე სავარაუდო ზეგავლენის შეფასებას პოლიტიკის განხორციელების შემდეგ. მეორე მხრივ, ის იძლევა მოცემული საკანონმდებლო წინადადების სკრინინგის, განსხვავებული ზეგავლენის დადგენისა და შეფასების საშუალებას ქალებსა და კაცებზე. ამგვარად, წინადადების დამტკიცებამდე შესაძლებელი ხდება არსებული დისბალანსის გამოსწორება. გენდერულ ჭრილში განხორციელებული ანალიზი საშუალებას იძლევა, დავინახოთ არის თუ არა ქალებისა და კაცების საჭიროებები თანაბრად გათვალისწინებული და ასახული ინიციატივაში. აღნიშნული ინსტრუმენტის უპირატესობა არის ის რომ ასახავს მოცემული პოლიტიკის, სტრატეგიის ან გეგმის სავარაუდო ეფექტის ძალზედ ზუსტ სურათს.

7 ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/en/document/view/4776100?publication=0>.

8 იხილეთ: <https://eige.europa.eu/gender-mainstreaming/toolkits/gender-impact-assessment/what-gender-impact-assessment>.

ძირითადი გზავნილები	
GIA არის	GIA არ არის
პროცესი, რომელშიც სხვადასხვა მეთოდი და ანალიზი გამოყენებულია შემოთავაზებული კანონების, პოლიტიკისა და/ან პროგრამების გენდერულ ჭრილში შესასწავლად	დოკუმენტი, რომელიც კანონმდებლობის, პოლიტიკის ან პროგრამის სამუშაო ვერსიების უბრალო დანართად გამოიყენება
მთელი საზოგადოების გადმოსახედით განხორციელებული ანალიზი	მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლების გადმოსახედით განხორციელებული ანალიზი
გენდერულ თანასწორობაზე მარეგულირებელი ცვლილების ზეგავლენის გასაანალიზებელი საშუალება (ძირითადად), ცვლილების განხორციელებამდე/“ex ante” (და ასევე, განხორციელების შემდგომ /“ex post” იშვიათ შემთხვევებში)	ჩარევის გამართლების საშუალება


პოლიტიკის, საკანონმდებლო ინიციატივის, სტრატეგიისა ან პროექტის სრული (სრულყოფილი/fledged) GIA მოიცავს შემდეგი საკითხების ანალიზს:

- გემოქმედების გასაანალიზებელ არეალში მყოფ ქალებსა და კაცებს შორის განსხვავებებს;

- როგორ შეიძლება, ხელი შეუწყოს პოლიტიკამ, პროგრამამ ან პროექტმა ქალებსა და კაცებს შორის არსებული უთანასწორობის აღმოფხვრას და მათ შორის თანასწორობის დამყარებას (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1:

სრულყოფილი GIA-ს ვიზუალიზაცია



ძირითადად, GIA არის პროცესი, რომელიც შესაბამის გენდერულ და სექტორულ საკითხებს გარდაქმნის სპეციფიკურ პოლიტიკად და ინსტიტუციურ კონტექსტად. მისი მიზნებია:

- (i) განსაზღვროს გენდერის ის ძირითადი საკითხები და განმარტებები, რომლებიც უშუალოდ ეხება პოლიტიკის/სტრატეგიის/პროექტის მიერ გათვალისწინებულ მომსახურებას;
- (ii) ინფორმაციით აღჭურვოს გენდერის შემცველი პროექტები გენდერის შესაძლებლობათა დადგენის გზით, გენდერის სარგებლის მაქსიმალურად გაზრდისა და გენდერის არახელსაყრელი გვერდითი ეფექტებისა ან რისკების

- შემცირების მიზნით შემოთავაზებული პოლიტიკის/სტრატეგიის/პროექტის მეშვეობით; და
- (iii) პროექტის განხორციელებისას პროცესში, მონიტორინგისათვის, შეაგროვოს გენდერულად ჩამოყალიბებული საბაზისო მონაცემები პროექტის მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგებისა და გავლენების.

1.2. GIA-ს მიზნები და ამოცანები

ცხადია, რომ გენდერთან დაკავშირებულმა ნებისმიერმა პოლიტიკამ, შეთავაზებამ და სამართლებრივმა აქტმა, ერთი მხრივ, უნდა გაიაროს გენდერული ზეგავლენის შეფასების პროცესი.

მეორე მხრივ, ნებისმიერ წინადადებას, რაც გენდერული თვალსაზრისით არარელევანტურად არის მიჩნეული, თან უნდა ახლდეს მხარდამჭერი დამადასტურებელი დასაბუთება, რომელიც განმარტავს მიზეზებს, თუ რატომ არ არის ის გენდერთან დაკავშირებული. გარდა ამისა, თუ რომელიმე პროგრამა არ ექვემდებარება გენდერული ზეგავლენის შეფასებას, ეს არ ნიშნავს რომ, ამ პროგრამის შემუშავებაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა თუ შეფასებაზე პასუხისმგებელი პოლიტიკის შემქმნელები ან საჯარო მოხელეები თავისუფლდებიან უთანასწორობის აღმოფხვრის ან გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ვალდებულებისაგან. სინამდვილეში, საკუთარი პროგრამების შემუშავებისას მათ უნდა გაითვალისწინონ ამ პროგრამების შესაძლო ზეგავლენა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებზე, რომელთაც წარმოადგენენ ქალები, კაცები, გოგონები და ბიჭები. GIA ნამდვილად არის ის ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება სახელმწიფო ხელისუფლებას, დარწმუნდეს, რომ მათ მიერ შექმნილი პოლიტიკა და სამოქმედო გზა შეესაბამება მათ მიზნებს, განზრახვას და მორგებულია ყველაზე.

იმ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსაც კი, რომლებიც გენდერულად ნეიტრალურებად არის მიჩნეული, შესაძლოა, ჰქონდეს განსხვავებული ზეგავლენა ქალებსა და კაცებზე. ეს გადაწყვეტილებები შეიძლება, აძლიერებდეს გენდერულ უთანასწორობას სოციალური, კულტურული ან ეკონომიკური კუთხით მაშინაც კი, თუ მსგავსი

ეფექტი არ იყო არც განზრახული და არც ჩაფიქრებული (EIGE, 2016). ამგვარი პოლიტიკისა და რეგულაციების სამიზნე შესაძლოა იყოს მთელი მოსახლეობა ან მოსახლეობის ის ნაწილი, რომელშიც არ არსებობს განსხვავება ქალებსა და კაცებს შორის იმ მოსაზრებით, რომ ეს პოლიტიკა თანაბარ სარგებელს მოუტანს საზოგადოების ყველა წევრს. თუმცა, ეს ვარაუდი შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს. თუ ეს ასეა, მაშინ, მსგავსი პოლიტიკა **გენდერულად ნეიტრალური⁹ კი არა, არამედ გენდერულად ბრმაა.**¹⁰ რეალობის გათვალისწინებით და გენდერულად მგრძნობიარე¹¹ საჯარო პოლიტიკის ხელშესაწყობად, საჭიროა პოლიტიკის შემუშავებისას ქალებსა და კაცებს შორის არსებული უთანასწორობის¹² როგორც გააზრება, ასევე მათი გათვალისწინება. თუ საჯარო ინსტიტუციები და პოლიტიკა იმგვარად არის ორგანიზებული ან ფორმულირებული, რომ არ ითვალისწინებს არსებულ უთანასწორობას, მაშინ ამან შესაძლოა, ხელი შეუწყოს არსებული უთანასწორობის განმტკიცებას (EUDEL- Association of Basque Municipalities, 2018).

ზემოთ მოყვანილი გამოწვევების გათვალისწინებით, GIA ხორციელდება ორი ძირითადი მიზნით:

1. შემოთავაზებული/ან უკვე მიმდინარე საჯარო პოლიტიკის/ინტერვენციის/რეგულაციის დისკრიმინატორული გვერდითი ეფექტების თავიდან აცილება.

9 გენდერულად ნეიტრალური (Gender-neutral): პოლიტიკა, პროგრამა ან სიტუაცია, რომელსაც არ აქვს განსხვავებული დადებითი ან უარყოფითი ზეგავლენა ქალებსა და კაცებზე გენდერული ურთიერთობისა თუ თანასწორობის თვალსაზრისით. გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი (European Institute for Gender Equality - EIGE). ხელმისაწვდომია: <https://eige.europa.eu/thesaurus/terms/1190>

10 გენდერული სიბრმავე (Gender Blindness): იმის არ აღიარება, რომ ქალებს/გოგონებს და კაცებს/ბიჭებს როლები და პასუხისმგებლობები ენიჭებათ, ან მიენერებათ კონკრეტული სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე. გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი (European Institute for Gender Equality - EIGE). ხელმისაწვდომია: <https://eige.europa.eu/thesaurus/terms/1157>

11 გენდერულად მგრძნობიარე (Gender-Sensitive): პოლიტიკა თუ პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს

ქალებისა და კაცების ცხოვრების განსაკუთრებულ მახასიათებლებს და, ამასთანავე, მიზნად ისახავს უთანასწორობის აღმოფხვრას, ასევე გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას რესურსების თანაბარი გადანაწილების კუთხით. გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი (European Institute for Gender Equality - EIGE). ხელმისაწვდომია: <https://eige.europa.eu/thesaurus/terms/1211>

12 ზოგადად, ეს უთანასწორობა შეიძლება შეინიშნოს ქვეყნის გენდერულ სტატისტიკაში (მაგალითად, იხილეთ საქართველოს შემთხვევა: <http://gender.geostat.ge/gender/index.php?lang=ka>) და/ან შეიძლება შეფასდეს ისეთი სხვადასხვა საერთაშორისო ინდექსით, როგორიცაა: გენდერის განვითარების ინდექსი (Gender Development Index - GDI), გენდერული უთანასწორობის ინდექსი (Gender Inequality Index - GII), გენდერული სხვაობის ინდექსი (Gender Gap Index - GGI), გენდერული თანასწორობის ინდექსი (Gender Equality Index - GEI), და ა.შ.

მაგალითად, თუ შემოთავაზებული ინტერვენციის მიზანია შრომის ბაზრის რეგულირება, ამ შემთხვევაში, GIA ხელს შეუწყობს დასაქმებული ქალებისა და კაცების განსხვავებული სიტუაციების გათვალისწინებას. შრომის ბაზრის რეგულაციებმა GIA-ს გარეშე შესაძლოა, გააუარესოს იმ ქალთა სიტუაცია, რომლებიც საკუთარი პროდუქტიული დროის მნიშვნელოვან ნაწილს აუნაზღაურებელ საშინაო საქმეს და ბავშვებსა თუ ხანდაზმულებზე ზრუნვას უთმობენ. კიდევ ერთ მაგალითად გამოდგება ერთ-ერთი ისეთი წამყვანი პროექტი, როგორიცაა ხიდის მშენებლობა - ერთი შეხედვით მსგავსი პოლიტიკა გენდერულად ნეიტრალური ჩანს, თუმცა რეალურად, მას შეიძლება განსხვავებული ეფექტი ჰქონდეს ქალებსა და კაცებზე უსაფრთხოების კუთხით, მათი გამოყენების, ძირითად მომსახურებაზე წვდომის, ინფრასტრუქტურისა და სხვა საკითხების თვალსაზრისით.

II. პოლიტიკის შექმნისას და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გენდერული თანასწორობის ყოვლისმომცველი მიზნების ხელშეწყობისას როგორც ქალების, ასევე კაცების საჭიროებების თანაბრად დაცვაყოფილების უზრუნველყოფა.

გენდერული პარამეტრების გათვალისწინების გარეშე ქვეყნის განვითარების სტრატეგიისა და პოლიტიკის, ასევე სხვადასხვა სექტორის სპეციფიკური განვითარების გეგმების შემუშავება გამოიწვევს საჯარო პოლიტიკის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ნაწილის დანაკარგს. თითქმის ყველა საზოგადოებრივი საკითხი გენდერულად რელევანტურია, ამიტომ, ქვეყნის განვითარების ნებისმიერი პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ქალებისა და კაცების განსხვავებულ საჭიროებებს. მაგალითად, სოფლის მეურნეობის პოლიტიკის, მცირე და საშუალო მეწარმეობის სამიზნე პოლიტიკის და ა.შ. შემუშავება მოითხოვს სექტორში ქალებისა და კაცების მდგომარეობის გაანალიზებას მონაწილეობის, რესურსების, ნორმებისა და ღირებულებების, ასევე უფლებების თვალსაზრისით და მხოლოდ ამის შემდგომ იქნება შესაძლებელი პოლიტიკის განხორციელება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასვნათ, რომ GIA-ს ძირითადი მიზანია, უპირველეს ყოვლისა, **უზრუნველყოს შემოთავაზებული პოლიტიკის ან ინტერვენციის ნებისმიერი დისკრიმინატორული ზეგავლენის დადგენა და შემდეგ, მისი აღმოფხვრა ან შემცირება.**

ნებისმიერი ზეგავლენის შეფასების მიზანია, ახალი პოლიტიკის გეგმების ან პროგრამების შესაძლო ეფექტების გაანალიზება მოხდეს მათ დანერგვამდე. შესაბამისად, GIA განსაკუთრებით გამოსადეგია იმის გასაანალიზებლად, თუ რა ზეგავლენას ახდენს მიმდინარე პროგრამებზე და მსგავსად სხვა სახის შეფასებისა, გენდერული თანასწორობის ზეგავლენის შეფასების კვლევა მრავალ ნაბიჯს მოიცავს. ეს ხშირად გულისხმობს შემდეგს:

1. რეალური სიტუაციის დეტალური აღწერა ახალი პოლიტიკის გეგმის განხორციელებამდე.
2. ამ სიტუაციის შესაძლო განვითარების შეფასება რაიმე ახალი პოლიტიკის არარსებობის პირობებში (ე.წ. ნულოვანი ალტერნატივა).
3. პოლიტიკის გეგმის შემადგენელი ნაწილების, განსახორციელებელი ღონისძიებების, დროის განრიგის, მიზნებისა და მოქმედების არეალის შინაარსის ანალიზი.

არსებული სიტუაციის ანალიზი, მისი შესაძლო განვითარება და პოლიტიკის გეგმა, თავის მხრივ შესაძლებელს ხდის:

1. მოხდეს პოტენციური ზეგავლენის აღწერა, და
2. დაბალანსდეს დადებითი თუ უარყოფითი ეფექტების ურთიერთმიმართება.
3. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მოხდეს შემოთავაზებული პოლიტიკის დახვეწა (საჭიროების შემთხვევაში).

1.3. რატომ უნდა გამოიყენონ პოლიტიკის შემქმნელებმა GIA?

უარყოფითი ზეგავლენის აღმოფხვრის გარდა, GIA-ს ტრანსფორმაციული ფუნქციაც აქვს იმ მხრივ, რომ მას შეუძლია განსაზღვროს გენდერული თანასწორობის მიზნები და პოლიტიკა, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს გენდერულ თანასწორობას. GIA საშუალებას აძლევს პოლიტიკის შემქმნელებს:

- დააკმაყოფილონ ქალებისა და კაცების გან-

სხვავებული საჭიროებები და ინტერესები;

- დაადგინონ გენდერული უთანასწორობა რე-სურსების კონტროლისა და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით;
- გაითვალისწინონ პოლიტიკის ურთიერთქმედება გენდერულ როლებსა და გენდერზე დაფუძნებულ სტერეოტიპებთან;
- წინასწარ განჭვრიტონ შესაძლო განსხვავებული ზეგავლენა ქალებსა და კაცებზე;
- უზრუნველყონ, რომ პოლიტიკის შედეგმა ხელი შეუწყოს გენდერულ თანასწორობას.

დიაგრამა 2:

GIA, როგორც კარგი პოლიტიკისა და მმართველობის ინსტრუმენტი



საჯარო ფინანსური მენეჯმენტისა და კარგი მმართველობის ფართო კონტექსტში, GIA არის ინსტრუმენტი, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემქმნის პროცესში და შესაბამისად, უნდა იყოს ორგანიზაციის მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღების პროცესის განუყოფელი ნაწილი. მას შეუძლია დაეხმაროს ხელისუფლებას პოლიტიკის რეგულაციურობისა და ეფექტიანობის სრულყოფილად გააზრებაში, ასევე ყველაზე პროპორციული და ეფექტიანი

რეაგირების განსაზღვრაში.¹³ სახელმწიფო ხარჯების ყოვლისმომცველი შემცირების ფონზე, როცა ინსტიტუციებმა ძალიან რთული ფინანსური გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ, GIA შესაძლოა გამოყენებულ იქნეს, როგორც მთავარი ინსტრუმენტი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკური და საბიუჯეტო გადაწყვეტილებების მისაღებად, სადაც გათვალისწინებული იქნება საზოგადოების ნებისმიერი წევრის საჭიროებები.

13 საჯარო მომსახურების ხარისხიან მიწოდებას განაპირობებს კონკრეტული სამიზნე საზოგადოებების განსხვავებებისა და საჭიროებების გააზრება.

GIA-ს გამოყენების მიზნები პოლიტიკის შექმნის პროცესში

გენდერული თანასწორობის გაძლიერებისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის ინსტრუმენტი

- GIA უზრუნველყოფს, რომ პოლიტიკისა და მომსახურების შედეგები ემსახურებოდეს გენდერულ თანასწორობას;
- GIA უზრუნველყოფს, რომ საზოგადოებამ უფრო მეტი სარგებელი მიიღოს გაზრდილი გენდერული თანასწორობითა და ეკონომიკაში ქალთა მეტი ჩართულობით.

უკეთესი პოლიტიკა

- ნებისმიერი სხვა ზეგავლენის შეფასების პროცესების მსგავსად, GIA-ს წვლილი შეაქვს მტკიცებულებებზე დაფუძნებული უკეთესი პოლიტიკის შექმნაში და იძლევა ინფორმაციას სავარაუდო შედეგების შესახებ.

უკეთესი მმართველობა

- მაღალი დონის GIA აკმაყოფილებს ყველა მოქალაქის - ქალებისა და კაცების, გოგონებისა და ბიჭების საჭიროებებს.

სწავლის ინსტრუმენტი

- GIA ავლენს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და განსაზღვრავს გენდერული ჩავარდნების გამოსასწორებლად საჭირო ქმედებებს;
- GIA-ს წვლილი შეაქვს გენდერულ უთანასწორობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვანი ცოდნის შეძენაში შესაბამისი შეკითხვების დასმისა და მონაცემების შესწავლის გზით.

GIA-ს ძირითადი სარგებელი შესაძლოა შეჯამდეს შემდეგნაირად:

- სამიზნე ჯგუფის **საჭიროებათა** უკეთ გააზრება გენდერული თვალსაზრისით;
- სპეციფიკურ სამიზნე ჯგუფებზე რეგულაციების/საჯარო პოლიტიკის **რეალური ზეგავლენის** არსში უკეთ წვდომა და გააზრება;
- ქალებსა და კაცებზე, გოგონებსა და ბიჭებზე რეგულაციების **დაუგეგმავი/გაუთვალისწინებელი ზეგავლენის** დროული გამოვლენა;
- პოლიტიკის შექმნის პროცესის **გამჭვირვალობისა და ჩართულობის** დონის ზრდა: დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა აქვთ საჯარო თუ მარეგულირებელთან კონსულტაციების დროს გამოთქვან საკუთარი შეხედულებები და წარმოადგინონ დამატებითი ფაქტები;
- მოქალაქეთა გაზრდილი **მონაწილეობა** პროცესში - ქალთა/კაცთა მონაწილეობის დონისა და ხარისხის ზრდა საზოგადოების ყველა დონეზე;
- **უკეთესი ხარისხის სტატისტიკასა და გენდერულად ჩაშლილ მონაცემებზე** გაზრდილი მოთხოვნა საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში, რაც ზრდის პოლიტიკის შემქმნელთა ინფორმირებულობის დონეს;
- **გენდერული თანასწორობის საკითხების უკეთ გააზრება/გაგების ხელშეწყობა** პოლიტიკის შემქმნელებსა და მოქალაქეებში.

1.4. როდის უნდა გამოიყენონ პოლიტიკის შემქმნელებმა GIA?

როგორც EIGE მეთოდოლოგია გვთავაზობს (EIGE, 2016), **GIA გამოყენებულ უნდა იქნას პოლიტიკის შექმნის ძალზედ ადრეულ ეტაპებზე** (ex ante), რათა მოხდეს პოლიტიკის ან კანონმდებლობის შემოთავაზებული ცვლილებების მოსალოდნელი ეფექტების წინასწარი შეფასება. მიზანია, რომ მნიშვნელოვანი ზეგავლენა გავრცელდეს არა მხოლოდ პოლიტიკის დიზაინზე, არამედ მისი დაგეგმვის პროცესზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანასწორობის ადეკვატური შედეგები. ამგვარად, რეგულაციის ან ადმინისტრაციული პროცედურის დამტკიცებამდე GIA ადგენს, აქვს თუ არა დაგეგმილ აქტივობას რაიმე შესაძლო დადებითი ან უარყოფითი შედეგი ქალებსა და კაცებს შორის უთანასწორობის აღმოფხვრისა და შესაბამის სოციალურ კონტექსტში თანასწორობის ხელშეწყობის თვალსაზრისით (EUDEL- Association of Basque Municipalities, 2018).

პოლიტიკის/პროგრამის დაგეგმვამდე GIA-ს ჩატარების კიდევ ერთი გონივრული საფუძველი არის ის, რომ ხშირ შემთხვევაში, გენდერული ზეგავლენის შეფასების განხორციელების შემდეგ შესაძლებელია შესაბამისი პოლიტიკისა და პროექტების მოდიფიცირება. ასე რომ, GIA აგრეთვე შეიძლება განვიხილოთ, როგორც რისკების მართვის ინსტრუმენტი (Oxfam Asia, 2013), რომელიც საშუალებას აძლევს პოლიტიკის შემქმნელებს, შეცვალონ თავიანთი პროექტები/პროგრამები სპეციფიკურ სფეროებში, ინდუსტრიებსა და თემებში ქალებსა და კაცებს შორის არსებული თანასწორობის მოდელის გათვალისწინებით. ქვემოთ მოცემული დიაგრამა წარმოგვიდგენს გენდერული მეინსტიმინგის სხვადასხვა ინსტრუმენტსა და მეთოდს პოლიტიკის შექმნის ეტაპების მიხედვით და გვაჩვენებს ამ პროცესში EIGE მეთოდოლოგიის მიხედვით GIA-ს გამოყენებას.

პოლიტიკის ციკლის სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებული მეთოდები & ინსტრუმენტები




სხვა გამოცდილებები ((UNDP, 2007), (Commonwealth of Learning, 2015), (Oxfam Australia, 2017), (Grill), (Teschner, 2013)) აჩვენებს, რომ GIA ასევე, შესაძლოა, განხორციელდეს **პოლიტიკის ციკლის ბოლოს** (ex post). ეს ნიშნავს, რომ GIA-ს მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნეს არსებულ/მიმდინარე პოლიტიკაშიც. Ex post GIA-ს გამოყენება შესაძლებელია არსებული პოლიტიკის

ან კანონმდებლობის რეალური ეფექტების შესაფასებლად. აქ ისმის შემდეგი შეკითხვა: „იღებენ თუ არა რაიმე სარგებელს ქალები და კაცები არსებული პოლიტიკისაგან?“ (და პირიქით, ex ante შეფასებაში ისმის შემდეგი შეკითხვა: „მიიღებენ თუ არა რაიმე სარგებელს ქალები და კაცები შემოთავაზებული პოლიტიკისაგან?“), (UNDP, 2007).

1.5. GIA საქართველოში GRB-ის კონტექსტი

GIA შესაძლოა გამოყენებული იყოს როგორც ეფექტიანი გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტირების (GRB) წინმსწრები აუცილებელი პირობა. GRB არის ბიუჯეტირების პროცესში გენდერული მენისტრიმინგის ინსტრუმენტი. ის ხელს უწყობს ფისკალური პოლიტიკის გენდერული შედეგების გააზრებას და უზრუნველყოფს საბიუჯეტო რესურსების ადეკვატურ განაწილებას. ამას განაპირობებს საბიუჯეტო პროგრამებისა და ინიციატივების სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობა. აქედან გამომდინარე, **GRB არ გულისხმობს ქალთა და კაცთა, ბიჭების და გოგონების ცალ-ცალკე ბიუჯეტირებას. ეფექტიანი და ინკლუზიური ფის-**

კალური პოლიტიკის შექმნა ხორციელდება ბიუჯეტირების პროცედურების იმგვარი რეკონსტრუქციით, რაც აძლიერებს ქვეყანაში გენდერულ თანასწორობას. GRB ჯერ კიდევ არ არის საქართველოს ფისკალური ჩარჩოს ნაწილი. თუმცა, 2012 წლიდან ქვეყანაში პროგრამული ბიუჯეტირების ინსტიტუციონალიზაციისა და 2015 წლიდან გენდერული ინდიკატორების დანერგვის შემდეგ (სადაც ამის აუცილებლობაა),¹⁴ ეს თემა ბევრი სახელმწიფო ინსტიტუციის დღის წესრიგის ნაწილი გახდა, რომლებმაც GRB პროექტებისა და მეთოდოლოგიების პილოტირება დაიწყეს (საქართველოს პარლამენტი იყო პირველი ეროვნული ინსტიტუცია, რომელმაც 2018 წელს განახორციელა GRB-ის მეთოდოლოგიის პილოტირება).



რადგან გენდერული ზეგავლენის შეფასება გენდერულად გააზრებული პოლიტიკის შეფასების მიღმა არსებული ანალიტიკური მიდგომაა და ხელს უწყობს იმ გზების იდენტიფიცირებას, რისი მეშვეობითაც პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული რესურსების განაწილებას შეუძლია გენდერული თანასწორობის გაძლიერება, ამიტომ მას მრავალი ქვეყანა იყენებს როგორც GRB-ის უმთავრეს ინსტრუმენტს (OECD-ის გენდერული ბიუჯეტირების შესახებ არსებული კვლევის თანახმად, GIA-ს 12-დან 9 ქვეყანა იყენებს პროცესამდე (ex ante), ხოლო 12-დან 7 — პროცესის შემდგომ (ex post), რათა ხელი შეუწყოს ეფექტიან გენდერულ ბიუჯეტირებას (OECD, 2014)).

უფრო ფართო გამოყენების შემთხვევაში, GIA შეიძლება განხორციელდეს გენდერულ თანასწორობაზე ბიუჯეტირების გავლენის გასაზომად. ამიტომ GIA-ს დანერგვა GRB-ის პირველ ეტაპზე, ხელს უწყობს დაგეგმილი ბიუჯეტირების ღონისძიებებში/პროგრამებში გენდერული ასპექტების გაგებას ქცევით და დისტრიბუციულ გენდერულ თავისებურებებზე ფისკალური პოლიტიკის ზეგავლენის ანალიზით. GRB-ის მეორე ეტაპზე განხორციელებული GIA-ს შედეგები გამოიყენება გონივრული სამოქმედო გეგმების შესამუშავებლად და ბოლოს, იმის განსასაზღვრად, თუ რა რესურსები უნდა გამოიყოს ბიუჯეტირების პროცესში დასახული მიზნების ეფექტიანად მისაღწევად.

14 2015 წელს შევიდა ცვლილება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიაში (საქართველოს მინისტრის ბრძანება №385, 8 ივლისი, 2011). შენიშვნა: „სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში,

გენდერულად მგრძნობიარე პროგრამებში სასურველია პროგრამის ერთ-ერთი ინდიკატორის მითითება გენდერულ ჭრილში“. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1400751?publication=0>

1.6. GIA საქართველოში RIA-ს კონტექსტი

2020 წლის 17 იანვარს საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად დაამტკიცა RIA-ს მეთოდოლოგია და მოახდინა RIA-ს ინსტიტუციონალიზაცია. საქართველოს მთავრობა (GoG), RIA-ს შემდეგნაირად განმარტავს:

„რეგულირების ზეგავლენის შეფასება – სისტემური მიდგომა მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შესაძლებლობად. რეგულირების ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს პოლიტიკის საკითხების სტრუქტურულად განსაზღვრასა და რეგულაციის ან არამარეგულირებელი ქმედების მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი შედეგების შეფასებას“.¹⁵

მეთოდოლოგიის მიხედვით, RIA-ს მთავარი მიზანია „მტკიცებულებებზე დაფუძნებული და მოქალაქეთა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით შემუშავებული, თვისობრივად უკეთესი ხარისხის რეგულაციების/არამარეგულირებელი ქმედების განხორციელების ხელშეწყობა“. RIA პასუხობს შემდეგ შეკითხვებს:

- ა) რა წარმოადგენს პრობლემას/საკითხს და რატომ არის იგი ასეთად მიჩნეული;
- ბ) პრობლემის/საკითხის დარეგულირების საჭიროება;
- გ) პრობლემა რომელ ჯგუფებზე (დაინტერესებულ მხარეებზე/გავლენის ობიექტზე) ახდენს ზეგავლენას ან შეიძლება, მოახდინოს გავლენა მომავალში;
- დ) რა შედეგი უნდა იქნეს მიღწეული პრობლემის/საკითხის რეგულირების შედეგად;
- ე) რა წარმოადგენს პრობლემის/საკითხის მოგვარების ალტერნატივებს;
- ვ) როგორია პრობლემის/საკითხის გავლენა ცალკეულ სფეროებზე;
- ზ) როგორ უნდა დაიგეგმოს შერჩეული ალტერნატივის შესრულება, მონიტორინგი და შეფასება.

ცხადია, რომ ორივეს - GIA-ს და RIA-ს მიზანია, წვლილი შეიტანონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული, უკეთესი ხარისხის მქონე პოლიტიკის შემუშავებაში. **თუმცა მაშინ, როცა RIA მიზნად ისახავს, ზოგადად, პოლიტიკის ხარისხის გაუმჯობესებას, GIA-ს აქვს სპეციფიკური მანდატი - გაუმჯობესოს გენდერული თანასწორობა.** ეს კი GIA-ს RIA-სთან შედარებით ორ მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს, რაც - მოიაზრება გენდერული თანასწორობის პოპულარიზაციაში, კერძოდ:

GIA-ს ძირითადი უპირატესობები (RIA-სთან მიმართებით)	შედეგი
GIA კონცენტრირებულია გენდერულ თანასწორობაზე და ახორციელებს გენდერის ჩადრმავებულ ანალიზს. შესაბამისად, გენდერთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, რომელიც ნაკლებად არის შესწავლილი RIA-ში (მისი ძირითადი სამოქმედო ჩარჩოდან გამომდინარე), უფრო დეტალურადაა შესწავლილი	უფრო მძლავრი გენდერული ფოკუსის გამო GIA-ს აქვს შესაძლებლობა, მეტად შეუწყოს ხელი გენდერულ თანასწორობას ¹⁶
გაცილებით ვიწრო ფოკუსის გამო, სიღრმისეულ RIA-სთან შედარებით, GIA მოითხოვს ნაკლებ დროსა და რესურსებს ¹⁷	GIA-ს განხორციელება არის უფრო მარტივი და ნაკლებად ძვირი

15 საქართველოს მთავრობა (GoG). ბრძანება No 35. 17 იანვარი 2020. რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. თავი 1. მუხლი 2. ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4776100?publication=0>

16 ჩეხეთის რესპუბლიკისა და სლოვენიის ბოლოდროინდელი მაგალითი მოწმობს, რომ RIA ფართოდ ხორციელდება ორივე ქვეყნის სოციალურ საქმეთა სამინისტროების მიერ, სადაც გენდერული თანასწორობის ერთეულები თავიდანვე იყო ჩამოყალიბებული და მათგან მიღებული RIA-ს შედეგები, რამოდენიმე გამოწვევის გარდა აჩვენებს, რომ გენდერზე რეაგირება არის საკმაოდ ფორმალური და „ბრმა“. შედეგები მიღებულია 2007-2015 წლებში ჩეხეთის რესპუბლიკასა

და სლოვენიაში ჩატარებულ 671 RIA-ს ანალიზზე დაყრდნობით (Staroňová, K., Hejzlarová, E., Hondlíková, K., 2017).

17 სიღრმისეული RIA-ს შეფასების ანგარიში მოიცავს სიღრმისეული ხარისხობრივი და რაოდენობრივ ანალიზს, სხვადასხვა ალტერნატივის დეტალური ზეგავლენის შეფასების მიზნით. სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის მიზანია არა მხოლოდ ზეგავლენის რაოდენობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა, არამედ შედეგების მონეტიზაცია. წყარო: საქართველოს მთავრობა. ბრძანება No 35. 17 იანვარი 2020. რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ახდენს GIA-სა და RIA-ს შედარებას სხვადასხვა ფაქტორის მიხედვით.

GIA	RIA
მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შექმნის ინსტრუმენტი	მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შექმნის ინსტრუმენტი
ძირითადად ex ante შეფასება	Ex ante და ex post შეფასება
ფოკუსირება გენდერულ საკითხებზე	ფოკუსირება სხვადასხვა საკითხზე გენდერის ჩათვლით (სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და ა.შ.)
შერჩეულ ვარიანტს ადარებს სტატუს კვოს (status quo)	შემოთავაზებულ ვარიანტს ადარებს სტატუს კვოს (status quo) და (როცა შესაძლებელია) გვთავაზობს ალტერნატიულ ვარიანტებს
GIA-ს ანალიზი ფოკუსირდება გენდერული ზეგავლენის იდენტიფიკაციასა და შეფასებაზე ქვემოთ ჩამოთვლილი ასპექტების გათვალისწინებით: - ქალებისა და კაცების მონაწილეობა სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში; - რესურსების კონტროლი და მათზე წვდომობა; - გენდერზე დაფუძნებული სოციალური ნორმები და ღირებულებები.	ნებისმიერი ვარიანტის RIA-ს ანალიზმა უნდა მოახდინოს ქვემოთ ჩამოთვლილი ზეგავლენების იდენტიფიკაცია და შეფასება: - ეკონომიკური; - ეკოლოგიური/გარემოს; - სოციალური; - ზეგავლენა სახელმწიფო ფინანსებზე. როგორც წესი, გენდერული ზეგავლენა კლასიფიცირდება, როგორც სოციალური ზეგავლენა.

ზოგიერთ ქვეყანაში GIA ინტეგრირებულია RIA-ში (მაგალითად, ბელგია, ავსტრია). ეს არის როგორც ძლიერი მხარე, რადგან უზრუნველყოფს, რომ გენდერული ასპექტები გათვალისწინებული იყოს ყველა პოლიტიკის შემქმნელისა და საჯარო მოხელის მიერ, და ამასთანავე არის


სისუსტეც, რადგან გენდერული თვალსაზრისიდან განხორციელებული ანალიზი შესაძლოა, იყოს საკმაოდ ბუნდოვანი, როდესაც ის ფართო და ყოვლისმომცველი პროცესის მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

როგორ განვახორციელოთ
GIA – დეტალური
სახელმძღვანელო
(ნაბიჯ-ნაბიჯ ინსტრუქცია)

GIA-ს სამუშაო ჩარჩოების უმრავლესობა მოიცავს შეფასების სამ ეტაპს: პირველია გენდერული შესაბამისობის შეფასება, შემდეგ, ზეგავლენის ზოგადი შეფასება და ბოლოს, გენდერის ხარისხის შეფასება. თავის მხრივ, ეს ეტაპები მოიცავენ რამოდენიმე ინდივიდუალურ ნაბიჯს. პოლიტიკის შემქმნელებისა და პრაქტიკოსების მიზანი თითოეულ ნაბიჯზე რაც შეიძლება მეტი

ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი უნდა იყოს, რათა უპასუხონ შესაბამისი ნაბიჯისათვის შექმნილ სპეციფიკური ფორმით წარმოდგენილ შეკითხვებს. თითოეული ფორმიდან შეგროვებული ინფორმაცია ამ სექტორისთვის/პოლიტიკისათვის სრული გენდერული ზეგავლენის შეფასების საფუძველია. ქვემოთ მოცემული დიაგრამა აჩვენებს GIA-ს ეტაპებსა და მასთან დაკავშირებულ ნაბიჯებს.

დიაგრამა 3: ეტაპები და ნაბიჯები



2.1. GIA-ს სამი ეტაპი და ხუთი ნაბიჯი

ეტაპი I. გენდერული შესაბამისობის შეფასება

GIA-ს პირველი ეტაპი კონცეპტუალიზებულია იმგვარად, რომ ის ეხმარება პოლიტიკის შემქმნელებს პროგრამის განსაზღვრაში (ნაბიჯი 1. პოლიტიკის მიზნის განსაზღვრა, მაგალითად, დაგეგმილი პოლიტიკის, კანონმდებლობის ან პროგრამის მიზნის განსაზღვრა/განმარტება). გარდა ამისა, ის გვაჩვენებს კავშირს გენდერულ თანასწორობასთან (ნაბიჯი 2. გენდერული შესაბამისობის შემოწმება). ძირითადად, მეორე ნაბიჯი ხელს უწყობს არსებული სიტუაციის შეფასებასა და აღწერას ხელმისაწვდომი გენდერულად ჩაშლილი სტატისტიკის შეგროვებით და იმის დადგენით, თუ რა არის ცნობილი ქალებისა და კაცების განსხვავებულ გამოცდილებაზე, მდგომარეობასა და როლებზე როგორც თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, ასევე არსებული კვლევით, რომელიც იმ ქალებსა და კაცებს ეხება, ვიზუალურად, საგარეოდ, პოლიტიკამ მოახდინა ზეგავლენა.

ამ ეტაპზე პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ შეკითხვებს:

- გენდერული თანასწორობის რომელი საკითხი/პრობლემა იქნება გადაჭრილი ამ პოლიტიკით/კანონმდებლობით/პროგრამით/ჩარევით?
- რატომ განიხილება/მიიჩნევა ეს ჩარევა კონკრეტული სიტუაციისათვის მართებულიად?
- მიზნად ისახავს თუ არა აღნიშნული ჩარევა, ხელი შეუწყოს გენდერულ თანასწორობას?
- როგორ/რა გზით შეუწყობს ხელს ეს ჩარევა გენდერულ თანასწორობას?
- გენდერული თანასწორობის რა მიზნები არსებობს?
- რა გენდერულად სპეციფიკური ინდიკატორებია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული?

ნაბიჯი 1. პოლიტიკის მიზნის განსაზღვრა

არსებითად, ამ ეტაპის პირველი ნაბიჯის (პოლიტიკის მიზნის განსაზღვრა) მიზანია, საშუალება მისცეს სამინისტროს/ინსტიტუციას/დეპარტამენტს/განყოფილებას (ერთეულს) განსაზღვროს, თუ რის მიღწევას ცდილობს პოლიტიკა/ინტერვენცია

როგორც სხვადასხვა პრობლემისა და საკითხების გენდერულ ჭრილში გააზრების მხრივ, ასევე შემოთავაზებული პოლიტიკის მიერ გასატარებელი ზომების/ღონისძიებების თანაბარი კონტრიბუციის თვალსაზრისით.

ძირითადი შეკითხვები, რომლებსაც პასუხი უნდა გაეცეს პოლიტიკის მიზნის განსაზღვრის ნაბიჯზე

ა) რომელი საკითხის/პრობლემის მოგვარება ხდება პოლიტიკის/საკანონმდებლო ჩარევით?

ბ) კონკრეტულად რა სახის ჩარევაა მიზანშეწონილი და რატომ მიიჩნევა იგი ამ კონკრეტული სიტუაციისათვის ადეკვატურად? როგორ მოახერხებს ის წვლილი შეიტანოს გენდერულ თანასწორობაში?

გ) ამ სფეროში გენდერული თანასწორობის რომელი მიზნები არსებობს?

ა) რომელი საკითხის/პრობლემის მოგვარება ხდება პოლიტიკის/საკანონმდებლო ჩარევით?

ამ თავდაპირველმა შეფასებამ უნდა გამოავლინოს, აქვს თუ არა პოლიტიკას/საკანონმდებლო ჩარევას არსებულ გენდერულ უთანასწორობასთან აშკარად დაკავშირებული მოტივაცია (მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის რეფორმის მხოლოდ ერთადერთი მოტივაცია) და მიუთითოს გენდერს შორის არსებულ უთანასწორობაზე, ასევე გათვალისწინებული და გააზრებული უნდა იყოს ყველა მცდელობა, რაც ინტერვენციის შემუშავების პროცესს უკავშირდება, სულ მცირე რამდენიმე გამომწვევ მიზეზთან გამკლავების მიზნით. თუ ეს ასეა, მაშინ GIA-ს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ინიციატივის წარმატებაში ეს კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს რომ შემოთავაზებული ჩარევა აიგოს პრობლემის ჭეშმარიტი მიზეზების მოგვარებაზე, რაც მაქსიმალურად გაზრდის პოლიტიკის ღონისძიებათა ზეგავლენას (დადებითი კუთხით).¹⁸ GIA-ს გამოყენების იდეალურ სიტუაციად თუკი ყოველივე ზემოთ თქმულს მივიჩნევთ, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი განხორციელება, სავარაუდოდ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც პოლიტიკის/კანონმდებლობის ჩარევით დასაფარი პრობლემა

არ არის გენდერთან (აშკარად) დაკავშირებული. ამ კონტექსტში GIA შეიძლება დაეხმაროს ისეთი ჩარევის შექმნაში, რომელსაც ყველაზე დადებითი (ან ნაკლებად საზიანო) ზეგავლენის მოხდენა შეუძლია გენდერული თანასწორობის მიმართულებით, ძირითადი პრობლემის ეფექტიანად მოგვარების გზების შენარჩუნების პირობებში. ორივე შემთხვევაში GIA-ს შეუძლია, დაადგინოს და გამოკვეთოს გენდერული პრიორიტეტები (ისევე როგორც არსებული რისკები და შესაძლებლობები) პოლიტიკის შექმნის მთელ პროცესში. ეს კი გულისხმობს, კაცებსა და ქალებს შორის არსებული სხვაობების დადგენას ისეთი კრიტერიუმების მიხედვით, როგორებიცაა მონაწილეობა, რესურსები, ნორმები, ღირებულებები და უფლებები (The Knesset Research and Information Center, 2013).

GIA-ს პირველი ნაბიჯი მოითხოვს **მოსაგვარებელი პრობლემის განსაზღვრას**, აგრეთვე საკითხის მნიშვნელოვნებისა და მასშტაბის როგორც აღწერას, ასევე ანალიზს და აჩვენებს, რომ ეს პრობლემა ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზე, საზოგადოებასა თუ გარემოზე. ამ ეტაპზე GIA უნდა შეეცადოს, აღწეროს პრობლემის მიზეზები და შედეგები, ინტერვენციის სამიზნე ჯგუფები და მათზე ზემოქმედება, განსაკუთრებული აქცენტით

18 შენიშვნა – მოგვიანებით, უფრო საზგასმით გამოვხატავთ, GIA არ უნდა განხორციელდეს იმ შემთხვევებში, თუ ჩარევის ერთადერთი მოტივაცია გენდერული უთანასწორობის/საკითხების მოგვარებაა, რადგან ეს შე-

ტისმეტი იქნება იმ სტანდარტულ პროცედურებთან მიმართებით, რომელთა დანიშნულებაა ჩარევის ზეგავლენის ex ante შეფასების განხორციელება.

იმ მიზეზებზე, რომლებიც დასაბამს იღებს არსებული გენდერული უთანასწორობიდან, ასევე იმ შედეგებზე, რომლებიც უშუალოდ გემოქმედებს გენდერულ უთანასწორობაზე.

როდესაც ინიციატივას საკუთარ აშკარად გამოხატულ მიზნებს შორის არსებული გენდერული საკითხების მოგვარება აქვს დასახული, GIA-მ როგორც მიმდინარე, ასევე უახლოესი წარსულის პრობლემების დეტალური ანალიზი უნდა წარმოადგინოს და შეისწავლოს — **არის თუ არა საჭირო რაიმე რეგულაცია/ინტერვენცია ამ პრობლემათა (გენდერთან დაკავშირებული) გადასაჭრელად.**

იმ შემთხვევაში, თუ, არსებული გენდერული უთანასწორობა პოლიტიკის/საკანონმდებლო ჩარევის აშკარად გამოხატულ სამიზნეს არ წარმოადგენს, მაშინ GIA-მ აქცენტი უნდა გააკეთოს შემდეგ ორ მიმართულებაზე:

- მოსაგვარებელ პრობლემასა და არსებულ გენდერულ უთანასწორობებს შორის პოტენციური კავშირები;
- შემოთავაზებულ ჩარევასა და არსებულ გენდერულ უთანასწორობებს შორის კავშირების (და პოტენციური ურთიერთქმედების) წინასწარი შეფასება.

ასეთ დროს GIA-მ პრობლემის განსაზღვრისათვის განსაკუთრებული აქცენტი უნდა გააკეთოს შემდეგი საკითხების ნათლად ასახვაზე:

- რამდენად შეუწყობს ხელს არსებული გენდერული საკითხების დაკმაყოფილება პრობლემის მოგვარებას;
- რამდენად მოსალოდნელია, რომ რეგულაციამ/ჩარევამ მოახდინოს ზეგავლენა არსებულ გენდერულ საკითხებზე და რომელ კონკრეტულად არსებულ უთანასწორობაზე ექნება (დადებითი ან უარყოფითი) ზეგავლენა, რა მექანიზმებით და რა მასშტაბით ხდება ეს.

ამ სავარაუდო ზეგავლენის დადგენის შემდეგ, GIA-მ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციული დისკუსია შემდეგ საკითხებზე:

- **როგორ უნდა მოხდეს რეგულაციის/ჩარევის შეჭერება, რომ აღმოჩენილ მოსაგვარებელ პრობლემასა და გენდერულ უთანასწორობასთან ბრძოლას შორის არსებული პოტენციური თანაქმედითი ურთიერთობა მაქსიმალურად გაიზარდოს;**
- **როგორ უნდა შეიცვალოს რეგულაცია/ჩარევა გენდერულ თანასწორობაზე მისი სავარაუდო გვერდითი ეფექტების შესამოწმებლად.**


მიმდინარე სიტუაციის ანალიზმა პასუხი უნდა გასცეს **არსებულ სკანონმდებლო ჩარჩოსთან** დაკავშირებულ შეკითხვებს, კერძოდ: რომელი სპეციფიკური აქტები/კანონები არსებობს საკითხის დასარეგულირებლად და არის თუ არა პრაქტიკულად მათ განხორციელებასთან დაკავშირებული სირთულეები, ასევე, არის თუ არა უთანასწორო დამოკიდებულებები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის (გენდერული საკითხებისადმი განსაკუთრებული აქცენტებით) მიმართ, რაც შეიძლება ყურადსაღები იყოს.

პრაქტიკული ინსტრუმენტი, პრობლემების ხე

„პრობლემის ხე“ წარმოადგენს პრაქტიკულ ინსტრუმენტს მიმდინარე სიტუაციის შესაფასებლად და ხელთარსებული პრობლემის შესასწავლად/განსასაზღვრად. ის ხშირად გამოიყენება ზოგადი ზეგავლენის შეფასების პროცესში (მაგალითად, RIA-ში). ეს ინსტრუმენტი საშუალებას იძლევა ნათლად აისახოს პრობლემა თავისი გამომწვევი მიზეზებითა და შედეგებით. მისი მთავარი არსი არის „ძირითადი პრობლემის“ გამოვლენა (ხის ღერო/ტანი), მისი გამომწვევი მიზეზების ასახვა (ხის ფესვები) და პრობლემის ძირითადი შედეგების წარმოჩინება (ხის ვარჯი/ტოტები). აღნიშნული გზით გადაწყვეტილების მიმღებს მოსაგვარებელი პრობლემის სრული სურათი ექმნება და საშუალება ეძლევა პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები მთლიანობაში დაინახოს.

დიაგრამა 4:

პრობლემის ხის მაგალითი



ბ) კონკრეტულად რა სახის ჩარევაა საჭირო და რატომ მიიჩნევა ის ამ კონკრეტული სიტუაციისათვის შესაბამისად? როგორ შეიტანს ის გენდერულ თანასწორობაში წვლილს?

რეგულაციის/ჩარევის აღწერილობამ ნათლად უნდა წარმოაჩინოს რის მიღწევას ცდილობს შემოთავაზებული აქტივობა/პოლიტიკა, ვინ უნდა მიიღოს სარგებელი (პირდაპირი და არაპირდაპირი). ინტერვენციის აღწერისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

- ვინ არის რეგულაციის/ჩარევის ინიციატორი?
- რატომ მოხდა რეგულაცია/ჩარევა შემოთავაზება?
- ვინ არის ჩარევის „სამიზნე ჯგუფი“ (უმჯობესია ჩაშლილი იყოს სქესის, ასაკის, ადგილმდებარეობის და ა.შ. მიხედვით)?
- რა არის ინტერვენციის მიზნები და მოსალოდნელ შედეგები?

- ჩარევაში მკაფიოდ არის თუ არა დასახული გენდერთან დაკავშირებული მიზნები? შეიტანს თუ არა ის წვლილს არსებული გენდერული უთანასწორობის თავიდან აცილებასა ან გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაში? ან ხომ არ გამოიწვევს არსებული გენდერული უთანასწორობის გამწვავებას?

პოლიტიკამ გენდერულ თანასწორობაში წვლილი შეიტანოს ორი მიმართულებით, **გენდერის პრაქტიკული ინტერესებით/საჭიროებებით** (ცვლილებები საცხოვრებელ პირობებში, მაგალითად, წყლის მიწოდება, ჯანდაცვა და დასაქმება) ან **გენდერის სტრატეგიული ინტერესებით/საჭიროებებით** (შრომის, ძალაუფლებისა და კონტროლის დაყოფა გენდერის მიხედვით) მიმართულებით (March, Smyth, & Mukhopadhyay, 1999). ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია არამართო რაოდენობრივი ზეგავლენის ხაზგასმა (როგორიცაა, მაგალითად, დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილება), არა-

მედ, ასევე უფრო არაპირდაპირი და არცთუ მართივად დათვალადი შედეგებიც (როგორებიცაა სამუშაოს ხარისხზე, სამსახურის უსაფრთხოებაზე, დანაწილების შესაძლებლობაზე და ა.შ. სავარაუდო ეფექტები). უნდა მოხდეს როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი გავლენების განსაზღვრა.

ანალიზის დაწყებამდე მნიშვნელოვანია:

- პოლიტიკის ღონისძიებათა სპეციფიკურ სამიზნე ჯგუფებზე გამახვილდეს ყურადღება;
- მოხდეს იმის გათვალისწინება თუ რა ზეგავლენა შეიძლება იქონიოს ქალებისა და კაცების განსაზღვრულ ქვეჯგუფებზე ჩარევამ და რა უნდა გაკეთდეს ამ ჯგუფებისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად (პრაქტიკული და/ან სტრატეგიული გენდერული საჭიროებები). არის თუ არა რაიმე სპეციფიკური პოლიტიკა ან არსებობს თუ არა სპეციფიკური ჯგუფები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ?
- განისაზღვროს პოლიტიკის, პროგრამის ან პროექტის ის ასპექტები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს გენდერულად აგებულ სტრუქტურებზე ან პირიქით, თვითონ არის ამ სტრუქტურების ზეგავლენის ქვეშ (სამუშაოს გენდერული ორგანიზება, გენდერულად შეფერილი პირადი ურთიერთობები, მოქალაქეობის გენდერული ორგანიზება (Office for Women and The University of Adelaide, 2005)).

გ) გენდერული თანასწორობის რომელი მიზნები არსებობს უკვე ამ სფეროში?

ამ ეტაპზე მიზანშეწონილია, წარმოვადგინოთ ყველა შესაბამისი მიზანი, რომელიც განისაზღვრება იმ საერთაშორისო, ქვეყნის და/ან რეგიონულ დონეზე, რაც უზრუნველყოფს გენდერული თვალსაზრისით ქვეყნის სამოქმედო ჩარჩოს შესაბამისი სფეროსათვის. თუმცა, RIA-სგან განსხვავებით, პოლიტიკის მიზნები GIA-ს განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა, წინასწარ ვერ განისაზღვროს პოლიტიკოსების მიერ. ამ შემთხვევაში GIA-ს გუნდმა უნდა გადახედოს მიზნებს, შეამოწმოს არის თუ არა ეს მიზნები გენდერულად მგრძნობიარე და საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს კიდევ. ისინი მართივად და მკაფიოდ უნდა

ასახავდეს მიუხედავად გენდერისა თუ სხვა თავისებურებებისა პოლიტიკის სარგებელისადმი თანაბარი წვდომის აუცილებლობას. მიზნების ნათლად დასახვა ხელს უწყობს განხორციელების პროცესის უკეთ მეთვალყურეობას და შესაბამისი ინდიკატორების მკაფიო განმარტებებით უფრო ზუსტი შეფასების საშუალებას იძლევა. ეს მიზნები შესაძლოა, განისაზღვროს სექტორის/სფეროს სპეციფიკური კანონმდებლობით ან გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ არსებული ზოგადი კანონებით; შეიძლება, დადგინდეს მთავრობის/მინისტრის ბრძანებებში ან ამოღებულ იქნეს საერთაშორისო შეთანხმებებიდან. ამ ეტაპზე, აგრეთვე შესაძლოა, გამოყენებული იყოს მდგრადი განვითარების მიზნები (Sustainable Development Goals - SDGs) და ქვეყნის დონის შესაბამისი მიზნები.¹⁹ დანართი 2. წარმოადგენს საქართველოსთვის გამომწვეულ სხვადასხვა ოფიციალურ დოკუმენტს, სადაც შესაძლებელია გენდერზე დაფუძნებული ქვეყნის მიზნების ნახვა, რომლებიც სხვადასხვა დონეზეა (საერთაშორისო, ეროვნული, ადგილობრივი) განსახორციელებელი. ეს სია არ არის სრულყოფილი, თუმცა კარგი საწყისი წერტილია GIA-ს ამ ეტაპის გასააზრებლად.


შემოთავაზებულ პოლიტიკას/ჩარევას შესალოა ჰქონდეს ანარქონდეს გენდერთან დაკავშირებული მკაფიოდ გამოხატული მიზნები. ამრიგად, საჭიროა გასაანალიზებელ სფეროში ქვეყნის დონეზე არსებული **გენდერული თანასწორობის ყველა ზოგადი და სპეციფიკური მიზნის** გაანალიზება (დასაქმება, ჯანდაცვა და სოციალური ზრუნვა, ეკონომიკა, იფრასტრუქტურა, კულტურა და სხვა). ეს ძალიან მნიშვნელოვანია შემდეგი ფაზებისათვის, როდესაც მკვლევრებს მოუწევთ იმის შეფასება, თუ ინტერვენცია როგორ უწყობს ხელს ან აფერხებს ქვეყნის მიერ მიზნების მიღწევას. გარდა ზემოთ აღნიშნული გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული მიზნებისა, შესაძლებელია ასევე არსებობდეს **გენდერული თანასწორობის მიზნები და ინდიკატორები, რომლებიც შემოთავაზებულ რეგულაციაში/ინტერვენციაში/პოლიტიკაში მკაფიოდ არის გათვალისწინებული** და ისინი, როგორც წესი, ზემოთ აღნიშნულ პრობლემას, გამომწვევ მიზეზებსა თუ შედეგებს უკავშირდება. უნდა მოხდეს ამ მიზნებისა და ინდიკატორების გაანალიზება და ქვეყნის თანასწორობის ზოგად მიზნებთან მათი შესაბამისობის დადგენა.

19 იხილეთ <http://sdg.gov.ge/intro> საქართველოსთვის.

შემთხვევის განხილვა

თანაბარი ანაზღაურების მიმოხილვისა და ანგარიშგების (EPRR) მეთოდოლოგიის განხორციელების მოდელის შეფასება საქართველოში (UN WOMEN, ISET-PI, 2020)

ნაბიჯი 1. პოლიტიკის მიზნის განსაზღვრა - პრობლემის ხე



შენიშვნა: ამ მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი ყველა შემთხვევის განხილვა არის GIA-დან აღებული მოკლე მაგალითი. მეტი ინფორმაციისა და დეტალებისათვის გთხოვთ იხილოთ ორიგინალი დოკუმენტი.

შემთხვევის განხილვა

თანაბარი ანაზღაურების მიმოხილვისა და ანგარიშგების (EPRR) მეთოდოლოგიის განხორციელების მოდელების შეფასება საქართველოში (UN WOMEN, ISET-PI, 2020)

ნაბიჯი 1. პოლიტიკის მიზნის განსაზღვრა

ბ) რა არის ინტერვენცია, რატომ არის ეს ინტერვენცია მისაღები ამ კონკრეტულ სიტუაციაში და როგორ დაეხმარება ის გენდერულ თანასწორობას?

თანაბარი სამუშაოს თანაბარი ანაზღაურების უფლების კანონმდებლობაში ასახვა საჭირო და აუცილებელია, მაგრამ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სრულად მოხდეს თანაბარი ანაზღაურების პრინციპის პრაქტიკაში განხორციელება და მისი სისრულეში მოყვანა. ევროკავშირის უახლესი გამოცდილება აჩვენებს, რომ მიუხედავად თანაბარი ანაზღაურების ფუნდამენტური უფლების შესახებ საკანონმდებლო ბაზის შექმნისა, ამ პრინციპის განხორციელება და გაძლიერება ჯერ კიდევ დიდ გამოწვევას წარმოადგენს ევროკავშირშიც (European Commission, 2020b) და ეს ნაწილობრივ ასახულია გენდერული ნიშნით ანაზღაურების ხარვეზების როგორც სიმტკიცეზე, ასევე მის მსაშტაბებზე (European Commission, 2020a). ევროკავშირის ეს გამოცდილება აჩვენებს, რომ კანონმდებლობით თანაბარი ანაზღაურების უფლების აღიარებასთან ერთად, საჭიროა ასევე არსებობდეს დამატებითი ქვაკუთხედებიც თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის წარმატებით განხორციელებისა და ამის სისრულეში მოყვანისათვის. ეს დამატებითი ქვაკუთხედებია:

- ა) დისკრიმინაციული ანაზღაურებით დაზარალებულთათვის ეფექტიან საშუალებებზე წვდომის უზრუნველყოფა;
- ბ) ანაზღაურების გამჭვირვალობისა და ანაზღაურების შედარების უზრუნველყოფა და გარანტირება;
- გ) თანასწორობის მიმართულებით მომუშავე ეფექტიანი ორგანოების და შესაბამისი ინსტიტუციების შენარჩუნება იმისათვის, რომ პრაქტიკაში დაცული იყოს თანასწორი ანაზღაურება (European Commission, 2021).

თანაბარი ანაზღაურების მიმოხილვისა და ანგარიშგების ინსტრუმენტი წარმოადგენს **თანაბარი ანაზღაურების** მიმოხილვის საფუძველს. თანაბარი ანაზღაურების მიმოხილვა ეს არის პროცესი, რომელიც „სწავლობს ორგანიზაციაში ანაზღაურების სქემებს, რათა გამოავლინოს და გადაჭრას გენდერული დისკრიმინაციის საკითხები. პროცესი გულისხმობს ორგანიზაციაში თანაბარი სამუშაოს შემსრულებელ დასაქმებულთა ანაზღაურებების ჯგუფების შედარებას და შემდეგ გენდერული ნიშნით სხვაობის მოკვლევას. თანაბარი ანაზღაურების მიმოხილვის პროცესი არ განიხილავს ანაზღაურებებს შორის სხვაობის სხვა გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა პროფესიული საქმიანობების სეგრეგაცია, თუმცა, ანაზღაურების მიმოხილვის დროს ისინი შეიძლება გამოვლინდეს“ (Ritchie, 2010). თანაბარი ანაზღაურების მიმოხილვა გულისხმობს თანაბარი სამუშაოს შემსრულებელი ქალი და კაცი დასაქმებულების ანაზღაურების შედარებას, გენდერული სახელფასო სხვაობის გამომწვევი მიზეზების მოკვლევასა და გამორიცხვას იმ განსხვავებისა, რაც „რომ არა გენდერის საკითხი, სხვაგვარად დამაკმაყოფილებელ დონეზე ვერ აიხსნებოდა“ (Equality Commission for Northern Ireland). ამგვარად, ერთი მხრივ, თანაბარი ანაზღაურების მიმოხილვისა და ანგარიშგების ინსტრუმენტი უზრუნველყოფს ანაზღაურების გამჭვირვალობასა და ანაზღაურების შედარებას. მეორე მხრივ, ინსტრუმენტი წარმოადგენს ანაზღაურების კუთხით დისკრიმინაციისაგან დაცვის მექანიზმს და ეხმარება თანასწორობისა (და აღსრულების) ორგანოებს, რითაც აძლიერებს მესამე პრინციპს. ასევე, ინსტრუმენტი ეხმარება დამსაქმებლებს, მიხვდნენ, დაარღვიეს თუ არა თანაბარი ანაზღაურების კანონი, რაც მათ საშუალებას აძლევს, რომ გამოასწორონ გენდერული ნიშნით განპირობებული სახელფასო სხვაობა, რითაც ძლიერდება თანაბარი ანაზღაურების დანერგვის პროცესი.

EPRR ინსტრუმენტი არ არის უბრალოდ მონაცემთა შეგროვების სავარჯიშო. იგი ავლენს ორგანიზაციაში არსებულ გენდერულ სახელფასო სხვაობას და კომპანიებს საშუალებას აძლევს, მოიკვლიონ და გამოავლინონ არათანაბარი ანაზღაურების შესაძლო გამომწვევი მიზეზები. EPRR ინსტრუმენტის გამოყენების ხელშეწყობა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება კაცთა და ქაღთა უფრო თანაბარი სამუშაო

გარემოსა და შემოსავლისა და დოვლათის კუთხით არსებული გენდერული სხვაობების შემცირებისათვის. ქალთა გაუმჯობესებული სამუშაო პირობები, სავარაუდოდ, გამოიწვევს შრომის ბაზარზე მათ დარჩენას, რაც ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის ამაღლებას. კიდევ ერთი მოსალოდნელი სარგებელი EPRR ინსტრუმენტის დანერგვით არის სქესის მიხედვით ჩაშლილი ანაზღაურების შესახებ უფრო ზუსტი სტატისტიკის ხელმისაწვდომობა, რაც თავისთავად ხელს უწყობს და ეხმარება შემდგომ კვლევას არათანაბარი ანაზღაურების შესახებ, მათი მიზეზების და განვითარების მოკვლევის ჩათვლით. შედეგად, მოსალოდნელია, რომ საზოგადოების ინფორმირებულობის დონე თანაბარი სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპისა და ქალთა სამუშაო უფლებების უზრუნველყოფის მნიშვნელობის შესახებ გაიზრდება. ამრიგად, ქალ დასაქმებულებს ექნებათ მეტი ინფორმაცია და შესაძლებლობები, დაიცვან თავიანთი უფლებები, რაც ხელს შეუწყობს საერთო გენდერულ თანასწორობას.

შენიშვნა: ამ მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი ყველა შემთხვევის განხილვა არის GIA-დან აღებული მოკლე მაგალითი. მეტი ინფორმაციისა და დეტალებისათვის გთხოვთ იხილოთ ორიგინალი დოკუმენტი.

შემთხვევის განხილვა

სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ გენდერული ზეგავლენის შეფასება (UN WOMEN, ISET-PI, 2020)

ნაბიჯი 1. პოლიტიკის მიზნის განსაზღვრა

ბ) ინტერვენციის აღწერა და რატომ მიიჩნევა ეს ჩარევა ამ კონკრეტული სიტუაციისათვის შესაბამისად? როგორ მოახერხებს ის გენდერულ თანასწორობაში წვლილის შეტანას?

გ) გენდერული თანასწორობის რომელი მიზნები არსებობს უკვე ამ სფეროში?

საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორი საარსებო წარმოებით, დაბალი პროდუქტიულობითა და კონკურენტუნარიანობით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის თითქმის ნახევარი შემოსავლის უმეტეს ნაწილს სოფლის მეურნეობიდან იღებს, სექტორს მშპ-ში 10%-ზე ნაკლები წვლილი აქვს და ექსპორტი მხოლოდ სოფლის მეურნეობის იმპორტის დაახლოებით მესამედს შეადგენს. სოფლის მეურნეობაში გაუმჯობესებულმა პროდუქტიულობამ და კომერციალიზაციამ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სიღარიბის დაძლევაში, გენდერული უთანასწორობის შემცირებასა და სოციალურ განვითარებაში. ამისათვის საჭიროა მწარმოებლის უნარების გაუმჯობესება და ბაზრებში მცირემიწიანი ფერმერების ჩართულობის გაზრდა. ამასთან, მცირემიწიან ფერმერებს, განსაკუთრებით ქალებს, ხშირად არ აქვთ წვდომა არსებულ სერვისებზე. ისინი იყენებენ წარმოების მოძველებულ მეთოდებს წარმოების თანამედროვე მეთოდებთან ნაკლები წვდომის გამო. კვლევით დადგენილია, რომ სოფლის მეურნეობაში გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას შეუძლია, რამდენიმე პროცენტული პუნქტით გაზარდოს გამოშვება სოფლის მეურნეობაში.

ქართველ ფერმერებს უამრავი პრობლემა აქვთ: ქვეყანაში შემოსული იაფი იმპორტი, განვითარებული ინფრასტრუქტურა, არასაკმარისი ცოდნა და კვალიფიკაცია, ახალი ტექნოლოგიებისა და სხვა საჭირო რესურსების ნაკლებობა, კერძო და საჯარო სექტორების არაეფექტიანი მუშაობა. ეს ყველაფერი ხელს უშლის სოფლის მეურნეობის სტრატეგიულ განვითარებას ქვეყანაში.

საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის სოფლის მეურნეობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, GIA-ს გუნდმა განიხილა და GIA-ს ანგარიშში წარმოადგინა ქვეყნის სოფლის მეურნეობასა და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საერთაშორისო (გაეროს დღის წესრიგი 2030 – მდგრადი განვითარების მიზნები (SDG)) თუ ეროვნულ დონეზე არსებული მიზნები

და ამოცანები. ეს მიზნები მრავალ ეროვნულ დოკუმენტშია მოცემული (კერძოდ, „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია“, „საქართველო 2020“, სამთავრობო პროგრამა, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020, საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020, საქართველოს რეგიონალური განვითარების პროგრამა 2018-2021, საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია 2016-2020).

ამ ნაბიჯის მთავარი შედეგები იყო შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ჩარჩოებში მოცემულია გენდერული პერსპექტივა, რომელიც ქვეყანას გენდერული თანასწორობისკენ უბიძგებს, სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნულ სტრატეგიებში გენდერული ასპექტები ჯერ კიდევ არ არის სათანადად ასახული. მიუხედავად იმისა, რომ თვალსაჩინოა გენდერული საკითხების ხაზგასმის სხვადასხვა სექტორის ეროვნულ დოკუმენტებში, ჯერ კიდევ არ არსებობს ამ მიმართულებით სამუშაოდ საჭირო გაიდლაინები და სტრატეგიები გენდერული საკითხების ზოგადი ხსენება არ არის საკმარისი. ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტები საჭიროებს სიღრმისეული გენდერული ანალიზის დამატებას. ამ ეტაპზე კი არ ხდება ინფორმაციის გაანალიზება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გენდერულად ჩამოლილი მონაცემები ხელმისაწვდომია. ეს, თავის მხრივ, ხელს უშლის არსებული გენდერული უთანასწორობის შესამცირებლად სამიზნე აუდიტორიის სწორად განსაზღვრასა და რესურსების განაწილებას. პოლიტიკის შემუშავების ყველა ეტაპზე, გენდერული ანალიზის სრულად ინტეგრირების გარეშე, გენდერული მეინსტრიმინგი და გენდერული სხვაობების შემცირების/აღმოფხვრის თვალსაზრისით რაიმე მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა შეუძლებელია. სოფლის მეურნეობის ისეთი პროგრამა, როგორიცაა „დანერგე მომავალის“, აღქმა კი, გაგრძელდება როგორც გენდერულად ნეიტრალური პროგრამის, რაც ამცირებს სტრატეგიების გენდერული ტრანსფორმაციის უნარს.

შენიშვნა: ამ მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი ყველა შემთხვევის განხილვა არის GIA-დან აღებული მოკლე მაგალითი. მეტი ინფორმაციისა და დეტალებისათვის გთხოვთ იხილოთ ორიგინალი დოკუმენტი.

ნაბიჯი 2. გენდერული შესაბამისობის შემოწმება

ნაბიჯი 2 აჩვენებს თუ რამდენადაა პროგრამა გენდერულად შესაბამისი და როგორ უნდა განხორციელდეს გენდერული შესაბამისობის შემოწმება.

შეფასება უნდა მოხდეს შემოთავაზებული პოლიტიკის განხილვის საფუძველზე ქვემოთ მოცემული ოთხი კრიტერიუმის მიხედვით: (1) მონაწილეობა; (2) რესურსები; (3) ნორმები და ღირებულებები; და (4) უფლებები.

ზოგადი ინფორმაცია

ეს არის ინფორმაცია, რომელიც შეიცავს:

- შემოთავაზებული პოლიტიკის მიზნების აღწერას;
- შემოთავაზებული პოლიტიკის სამიზნე ჯგუფის/ების აღწერას;
- ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვისზე შეიძლება იქონიოს ზეგავლენა შემოთავაზებულმა პოლიტიკამ.

შენიშვნა: ამ სფეროს შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვა, აკადემიური ნაშრომები, საერთაშორისო გამოცდილება, ქვეყნების პოლიტიკისა და სიტუაციის ანალიზი შესაძლოა, ძალიან სასარგებლო იყოს, ზოგადად და განსაკუთრებით, GIA-ს ამ ეტაპზე. ლიტერატურის მიმოხილვა ხელს შეუწყობს: დარგში პოტენციური გენდერული უთანასწორობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების გამოვლენას, წარსულში მსგავსი პოლიტიკის შედეგებისაგან და/ან სხვადასხვა კონტექსტში/ქვეყნებში დანერგილი მსგავსი პოლიტიკის შედეგებიდან მიღებულ ცოდნას, წინასწარი რუკის შედგენას სავარაუდო ზეგავლენისა და ამ ზეგავლენის ჯგუფებს შორის განსხვავებებზე, საუკეთესო კვლევითი მეთოდებისა და საშუალებების დადგენას და სხვა.

არსებული ინფორმაციის მიმოხილვის შემდეგ, კარგი იქნება შემდეგი შეკითხვების გათვალისწინება:

- ვინ არის ინტერვენციის სამიზნე ჯგუფი?
- ჩარევა პირდაპირ ზეგავლენას ახდენს თუ არა-პირდაპირს, რომ:
 - ქალებსა და კაცებს სოციალურ თუ ეკონომიკურ რესურსებზე მიუწვდებოდეთ ხელი?
 - და/ან კაცებსა და ქალებს შეეძლოთ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში?

- და/ან სოციალურმა სტანდარტებმა და ღირებულებებმა გავლენა მოახდინოს გენდერული უთანასწორობის წარმოშობასა და შენარჩუნებაზე?

ამ შეკითხვებზე ნეგატიური პასუხის მიღება ნიშნავს, რომ რეგულაცია არ არის გენდერულად შესაბამისი.

პირდაპირი და არაპირდაპირი ზეგავლენა ცალკე უნდა გაანალიზდეს, რადგან ზოგადი ზეგავლენის შეფასების თვალსაზრისით, ეს ორი, განსხვავებული პერსპექტივის მატარებელია:

პირდაპირი ზეგავლენა - როდესაც ჩარევა ზეგავლენას ახდენს, რომ ხალხს ხელი მიუწვდებოდეს რესურსებზე (მაგალითად: გრანტები, სესხები, სამსახური) **და/ან ხალხს შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების პროცესში** (მაგალითად, წესების დადგენა კომიტეტების შემადგენლობის შესახებ და სხვა). შედეგად, მას აქვს პირდაპირი და დაუყოვნებელი ზეგავლენა ქალებისა და კაცების სტატუსსა და პოზიციებზე.

პირდაპირი ბენეფიციარები - გულისხმობს პოლიტიკის, პროგრამის პირდაპირი ბენეფიციარების განხილვას. ესენი არიან ინდივიდები, რომლებიც პოლიტიკის/პროგრამის/სტრატეგიის სამიზნეს წარმოადგენენ.

ეს ანალიზი უნდა დაიყოს გენდერის მიხედვით შემდეგ ჯგუფებად:

- მონაწილეობა
- რესურსები
- ნორმები და ღირებულებები
- უფლებები

(შენიშვნა: ამ სეგმენტის შესაბამისი გენდერული სტატისტიკის არარსებობის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს GIA, რათა მოხდეს პოლიტიკის/პროგრამის სტრატეგიის გენდერული ზეგავლენის უკეთესი და უფრო ღრმა გააზრება).

არაპირდაპირი ზეგავლენა - როდესაც დაგეგმილი ინტერვენცია **გავლენას ახდენს გარკვეული რესურსებისა და მომსახურების მიწოდებაზე** (მაგალითად: კომპანიების კვალიფიკირების პროცედურა, გარკვეული აქტივობებისა და დაწესებულებების გარემოს დაცვის ხარისხის მართვის რეგულირება, გარკვეული პროექტების ანაზღაურება და სხვა), რომლის მიღმაც დგანან ადამიანები (მაგალითად: ხელმძღვანელები, მუშაკები, მომხმარებლები და სხვა), როგორც ყველაზე მთავარი ბენეფიციარები. პოლიტიკა უშუალოდ მათზე არ არის მიმართული, მაგრამ მაინც შეიძლება მოახდინოს მათზე ზეგავლენა.

არაპირდაპირი ბენეფიციარები - მოიცავს არაპირდაპირი ბენეფიციარების ანალიზს, კერძოდ, ინდივიდებს, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის უშუალო სამიზნეები არ არიან, მაინც შეიძლება პოლიტიკამ მათზე მოახდინოს ზეგავლენა. ის შეიძლება მოიცავდეს როგორც პირდაპირი ბენეფიციარების ნათესავებს, ასევე როგორც ახლომდებარე დასახლებებში მცხოვრებ ინდივიდებს, როდესაც პოლიტიკა ახდენს გარკვეული მომსახურებისა და რესურსების მიწოდებას მიწოდებაზე (მაგალითად: კომპანიების კვალიფიკირების პროცედურა, გარკვეული აქტივობებისა და დაწესებულებების გარემოს დაცვის ხარისხის მართვის რეგულირება, გარკვეული პროექტების ანაზღაურება და სხვა), რომლის მიღმაც დგანან ადამიანები (მაგალითად: ხელმძღვანელები, მუშაკები, მომხმარებლები და სხვა), როგორც ყველაზე მთავარი ბენეფიციარები. პოლიტიკა უშუალოდ მათზე არ არის მიმართული, მაგრამ მაინც შეიძლება მოახდინოს მათზე ზეგავლენა.

შეფასება

ეს არის გენდერული შესაბამისობის შეფასების ეტაპის ბოლო ფაზა და მოიცავს ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი კრიტერიუმის მიხედვით შეგროვებული მონაცემების შეფასებას, რაც იმის შესაფასებლად ხორციელდება, არის თუ არა საჭირო სრულყოფილი GIA-ს ჩატარება. აღნიშნული ეტაპი მოითხოვს პოტენციურ ზეგავლენის წინასწარ შეფასებას, იქნება ის მოცულობითი თუ მინიმალური.

შენიშვნა: უნდა აღინიშნოს, რომ იმ რეგულაციებისა თუ ადმინისტრაციული პროცედურების არსებობა, რომლებიც არ ექვემდებარება GIA-ს, არ ნიშნავს, რომ ადამიანები, რომლებმაც ისინი უნდა შეიმუშაონ, მიიღონ გადაწყვეტილებები მათ შესახებ და დანერგონ პრაქტიკაში, თავისუფლდებიან იმ ზოგადი პრინციპებისაგან, რაც მოიცავს ნებისმიერ პოლიტიკაში არსებული უთანასწორობის აღმოფხვრას, ასევე ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის ხელშეწყობას.

შედეგად, ყველა შემოთავაზებამ/სამართლებრივმა აქტმა, რომლებიც აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებს, უნდა გაიაროს გენდერის ზეგავლენის შეფასების პროცესი. აგრეთვე, ნებისმიერ წინადადებას, **რაც გენდერული თვალსაზრისით შეიძლება არაშესაბამისი იყოს, თან უნდა ახლდეს მტკიცე დასაბუთება, რომელიც განმარტავს თუ რატომაა გენდერული ანალიზი არარელევანტური.**

შემთხვევის ბანხილვა

საქართველოს ნარკოპოლიტიკის რეფორმის გენდერული ზეგავლენის შეფასება (საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო, 2017 წ.)

საერთაშორისო ლიტერატურის მიმოხილვის მოკლე შეჯამება

ნარკოპოლიტიკის რეფორმის GIA, რომელიც მომზადებულია საქართველოს პარლამენტის მიერ (საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო, 2017 წ.), გენდერული შესაბამისობის ნაწილში, სადაც შესწავლილია საერთაშორისო გამოცდილება, აჩვენებს ნარკოპოლიტიკის მკაფიო გენდერულ შესაბამისობას. კერძოდ, საერთაშორისო მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ გენდერის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს შემდეგი მიმართულებით:

- ა) **ნარკომანიის გავრცელება და მისი ძირითადი მახასიათებლები** (Prevalence and patterns of drug abuse) - როგორც წესი, ქალები კაცებთან შედარებით უფრო გვიან იწყებენ ნარკოტიკების მოხმარებას და ეს ხშირად მათი ნარკოდამოკიდებული პარტნიორის ზეგავლენის შედეგია; მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში ქალთა ნარკოტიკებზე დამოკიდებულების უფრო მაღალი დონეა, ვიდრე დაბალ და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებში; კვლევები ადასტურებს, რომ არასამედიცინო მიზნით, ქალები აშკარად მეტად იყენებენ რეცეპტით გაცემულ ისეთ წამლებს, როგორიცაა ნარკოლოგიური ანალგეტიკები და ტრანკვილიზატორები (მაგალითად, ბენზოდიამფინი); ნარკოდამოკიდებული ქალები არიან ძირითადად ახალგაზრდები, ნაკლებად განათლებულები და დაუსაქმებლები; განიცდიან შფოთვის, დეპრესიას და აქვთ სუიციდური მიდრეკილებები.
- ბ) **ნარკოტიკების მოხმარების გარემოებები** (Circumstances of drug abuse) - ორივე - ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება და ნარკოტიკული ინექცია - ჩვეულებრივ იწყება მოზარდობისა და ადრეული ზრდასრულობის ასაკიდან. ქალთა გარკვეული ჯგუფის მიხედვით, ისინი ნარკოტიკულ ნივთიერებებს მოიხმარენ სტრესისა და ნეგატიური ემოციების მოსახსნელად, მაგალითად, განქორწინების, ბავშვებზე მეურვეობის დაკარგვის ან ნათესავის სიკვდილთან დაკავშირებულ უარყოფით განცდებთან. ქალების მიერ ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების სხვა მიზეზებია: დიეტა, ფიზიკურ ტკივილთან გამკლავება, ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე თვითნებურად ზრუნვა და სხვა. როდესაც საქმე ნივთიერებათა ბოროტად მოხმარებას ეხება, ქალები ისეთ დაბრკოლებებს ეჭახებიან, რომლებიც ნაწილობრივ უკავშირდება მათ ბიოლოგიურ განსხვავებას და გენდერულ ნორმებს. კვლევების მიხედვით, ქალთა ნარკოდამოკიდებულებასა და რეაბილიტაციაზე გავლენას ახდენს ჰორმონები, მენსტრუალური ციკლი, ნაყოფიერება, ორსულობა, ბავშვის ძუძუთი კვება და მენოპაუზა.
- გ) **ნარკოტიკებთან დაკავშირებული ზიანი** (Drug-related harm) - ქალები, რომლებსაც ნარკოტიკული საშუალებები ორგანიზმში ინექციის გზით შეჰყავთ, ხშირად იზიარებენ ერთ ნემსს. ეს გამოწვეულია რისკების შესახებ დაბალი ინფორმირებულობით, აფთიაქში ნემსების შეძენის საშუალების არქონითა და დაპატიმრების შიშით. 2007-2008 წლებში დიდ ბრიტანეთსა და

ჩრდილოეთ ირლანდიაში სიკვდილიანობის მაჩვენებლების მიმოხილვამ ცხადყო, რომ გადაჭარბებული დოზით გარდაცვალების შემთხვევები ქალებში უფრო ჭარბობს, ვიდრე კაცებში (17% - ქალებში, 8% - კაცებში).

- დ) **ფსიქიკური დაავადება (Mental illness)** - მედიკამენტური პრეპარატების ბოროტად გამოყენებისა და ფსიქიკური დაავადებების ერთდროული/ორმაგი შემთხვევა ძალიან რთულია დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თვალსაზრისით და უფრო ხშირია ქალებში.
- ე) **პატიმრობა (Imprisonment)** - მთელს მსოფლიოში ნარკოტიკით ვაჭრობაში ქალთა ჩართულობა მზარდია, განსაკუთრებით იმ ქალებისა, რომლებსაც აქვთ განათლების დაბალი დონე, ნაკლები ეკონომიური შესაძლებლობები ან არიან ნარკომოხმარების მსხვერპლნი. მიუხედავად გამოწვევების არსებობისა, ქალებზე უფრო მეტად ხდება დაბალი რანგის, დაბალანაზღაურებადი, მაღალი რისკების შემცველი სამუშაოს განაწილება. ქალები, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, მოქმედებენ, როგორც ნარკოკურიერები. ნარკოკურიერები იძულებული არიან გადაყლაპონ ან მოათავსონ ნარკოტიკები საკუთარ სხეულში; ქალები ხშირად შეცდომაშიც კი შეჰყავთ იმ ოდენობასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა გადაიტანონ - ხანდახან დანიშნულების ადგილიც კი გაურკვეველია. გამომდინარე იქიდან, რომ ბევრი სახელმწიფო განსაზღვრავს სადამსჯელო ზომებს ნარკოტიკის წონისა და კლასის მიხედვით, ხოლო ნარკოკურიერებს აიძულებენ სხეულით გადაიტანონ უფრო დიდი ოდენობის ნარკოტიკული საშუალება ვიდრე პროფესიონალმა ტრეფიკერებმა, ქალები ხშირად უფრო მკაცრ სამართლებრივ სასჯელს იღებენ, ვიდრე არალეგალური რგოლის ლიდერები. ნარკოტიკთან დაკავშირებული დანაშაულისათვის დაკავებულ ქალთა რაოდენობა სულ უფრო იზრდება. სასჯელაღსრულების სისტემები, როგორც წესი, ვერ ითვალისწინებენ გენდერულად სენსიტიურ პოლიტიკასა და სტრუქტურას. ხშირად პატიმარი ქალები ციხეში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდებიან და არა აქვთ წვდომა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დანესებულებებთან.

შენიშვნა: ამ მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი ყველა შემთხვევის განხილვა არის GIA-დან აღებული მოკლე მაგალითი. მეტი ინფორმაციისა და დეტალებისათვის გთხოვთ იხილოთ ორიგინალი დოკუმენტი.

შემთხვევის განხილვა

სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ გენდერული ზეგავლენის შეფასება (UN WOMEN, ISET-PI, 2020)

ნაბიჯი 2. გენდერული შესაბამისობის შემოწმება

ზოგადი ინფორმაცია

GIA-ს გუნდმა გენდერულ ჭრილში გააკეთა პროგრამის — „დანერგე მომავალი“ — მიზნების ანალიზი. ამ პროგრამას ხელმძღვანელობს სოფლის განვითარების სააგენტო (Rural Development Agency, RDA). საერთო ჯამში, პროგრამა „დანერგე მომავლის“ მიზნები ძალიან ზოგადია, არადისკრიმინაციული და, ყველას, სქესის განურჩევლად, შეუძლია პროგრამებში მონაწილეობის მიღება. თუმცა არ არსებობს სპეციალურად განსაზღვრული გენდერული მიზნები. ამ პროგრამის შედეგები და ინდიკატორები არც გენდერულ ასპექტებს არ ითვალისწინებს, რადგან პოლიტიკის გამტარებლების მხრიდან პროგრამა აღქმულია როგორც თანაბრად ხელმისაწვდომი და არ საჭიროებს კონკრეტულ გენდერულ მიზნობრიობას და სოციალური ინკლუზიურობის დამატებით მექანიზმებს პროგრამაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით.

მისი მიზნისა და მასშტაბის გათვალისწინებით, სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალს“ აქვს მრავალმხრივი როლის შესრულების პოტენციალი გენდერულ თანასწორობაში შეტანილი წვლილის თვალსაზრისით:

- ერთი მხრივ, მას აქვს პოტენციალი, გავლენა მოახდინოს **პრაქტიკულ გენდერულ საჭიროებებზე**, რადგან ამ პროგრამაში მონაწილეობით ქალებს შეუძლიათ როგორც საკუთარი თავის, ასევე საკუთარი ოჯახების მხარდაჭერა ყოველდღიურ რეჟიმში;
- მეორე მხრივ, მას შეუძლია წვლილი შეიტანოს **სტრატეგიული გენდერული საჭიროებების** მოგვარებაში, რამდენადაც პროგრამაში მონაწილეობა ემსახურება ქალთა გრძელვადიან სოციალურ და ეკონომიკურ გაძლიერებას. ამგვარად, ის გავლენას ახდენს ქალთა ეკონომიკურ აქტივობასა და სოციალურ ნორმათა ცვლილებაზე.

პირდაპირი ბენეფიციარები

GIA-ს გუნდმა შეაფასა პროგრამის გენდერული შესაბამისობა მასში მონაწილეობის, არსებული რესურსების, უფლებების, ნორმებისა და ღირებულებების გადმოსახედიდან. შედეგების მოკლე აღწერა მდგომარეობს შემდეგში:

პროგრამაში მონაწილეობის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი არის **რეგისტრირებული სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის ან სახელმწიფოსგან გრძელვადიანი იჯარის ქონა**. თუმცა, მონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამის ნეიტრალური კრიტერიუმები რეალურად, ქალების დიდ ნაწილს უნებლიედ გამორიცხავს მონაწილეობისაგან. მიწის მთლიანი ფართობის საშუალოდ 82% (იჯარის ჩათვლით) კაცებს მფლობელობაშია (საქსტატი, სტატისტიკის მონაცემთა ბაზა). ქალების წილი მიწის მესაკუთრეთა შორის 2019 წელს 38.4%-ს შეადგენდა (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო). არსებული **სოციალური ნორმებიდან** გამომდინარე, მიწის რეგისტრაციის პრაქტიკაშიც შეიმჩნევა გენდერული ტენდენცია გენდერული როლების თვალსაზრისით; მაშინაც კი, თუ ქალია მიწის მფლობელი, მიწა იშვიათადაა მის სახელზე რეგისტრირებული. შედეგად, რეგისტრაციის ნაკლებობა, როგორც წესი, ამცირებს ქალების შანსს დააკმაყოფილონ სხვადასხვა სახელმწიფო სუბსიდიის მიღების კრიტერიუმები. მიუხედავად ამისა, 2019 წლიდან მიწის რეესტრის რეფორმამ უზრუნველყო მეუღლეებს შორის მიწის თანაბარი რეგისტრაცია და პროგრამის მონაწილეთა სიაში უკვე შეგვიძლია დავინახოთ, რომ ბენეფიციართა (ინდივიდუალური მენარმეები და ფიზიკური პირები) შორის დაახლოებით 2% წარმოადგენს სასოფლო სამეურნეო მიწის თანამესაკუთრეს (კაცი და ქალი).

შემთხვევის განხილვა (გაგრძელება)

სექტორში შრომის დანაწილებისას არსებობს განსხვავებული როლები, რომლებიც აღიქმება როგორც „კაცის“ ან „ქალის“ საქმე. ქალები საქართველოში ძირითადად დაკავებულნი არიან საყოფაცხოვრებო და საშინაო მოხმარებითვის სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებით, ხოლო კაცები პასუხისმგებელნი არიან მაღალშემოსავლიანი (ე.წ. „cash crop“) და საექსპორტო კულტურების წარმოებაზე – სამრეწველო ინდუსტრიისათვის საჭირო ან საერთაშორისო ბაზრებზე გასატანი (საექსპორტო) ნედლეული (UN Women, 2019), (FAO, 2018). გარდა ამისა, ბაზარზე კონკურენციის გამო, მაღალშემოსავლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ე.წ. cash crops) წარმოება მოითხოვს უფრო მეტ ინფორმაციას ახალ ტექნოლოგიებზე, ნედლეულის ფასებზე და ა.შ. კავშირები ამ ინფორმაციისა და ცოდნის გადაცემის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. როგორც წესი, ძლიერი კავშირების ქონის გამო კაცებს ქალებთან შედარებით უფრო მეტად მიუწვდებათ ხელი ამ ინფორმაციაზე. პროგრამა „დანერგე მომავალი“ სთავაზობდა სავალდებულო ტრენინგებს, რომლებიც ძირითადად თბილისში, როგორც წესი, სააგენტოს შენობაში ტარდებოდა და შესაბამისად, ფიზიკური წვდომა/მოხილობა შეიძლება გამხდარიყო ქალებისთვის ტრენინგში მონაწილეობის შემაფერხებელი ერთ-ერთი ფაქტორი. არათანაბარი ხელმისაწვდომობა რესურსებზე, სოციალურ ინფრასტრუქტურაზე, კრედიტებზე, ქალთა ჩართულობა დაბალი ღირებულების და მცირე მასშტაბის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, საზოგადოებრივ შეხვედრებსა და ტრენინგებში მონაწილეობის

დაბალი დონე, ასევე, ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის დარგში გენდერულ უთანასწორობის შენარჩუნებას.

გარდა ამისა, პროგრამაში მონაწილეობისათვის ერთ-ერთი მოთხოვნაა **საირიგაციო კომპონენტი**. თუმცა, ყველა ფერმერს თანაბარად არ მიუწვდება ხელი ირიგაციაზე. როგორც წესი, ასეთი ფერმერები ძირითადად ქალები არიან, რომელთა საჭიროებები და ინტერესი უგულებელყოფილია სარწყავი სისტემის დიზაინსა და იმპლემენტაციის პროცესში. იმის გათვალისწინებით, რომ კაცებს, როგორც წესი, აქვთ უფრო დიდი მიწის ნაკვეთები, მეტად მიუწვდებათ ხელი ფინანსურ რესურსებზე და მეტად მობილურები არიან, უკეთესი შესაძლებლობა აქვთ, გამოიყენონ თანამედროვე სარწყავი ტექნოლოგიები (წვეთოვანი მორწყვა, ძრავის ტუმბოები და სხვ.). მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ ქალები ძირითადად უფრო მცირე მიწის ნაკვეთებს ფლობენ და ფინანსებზე შეზღუდული წვდომა აქვთ, ისინი, სავარაუდოდ, დაეყრდნობიან შრომის ინტენსიურ მორწყვას. ამრიგად, სარწყავი სისტემის თანადაფინანსების შეთავაზებისას, პროგრამამ მხედველობაში უნდა მიიღოს ეს გენდერული ხარვეზები, რაც ამ მომენტისათვის გათვალისწინებული არ არის.

საერთო ჯამში, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამას „დანერგე მომავალი“ ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს როგორც სოცო-ეკონომიკური შედეგების, ასევე ადგილობრივი სოფლის მეურნეობის წარმოებისა და სიღარიბის დაძლევის კუთხით, მხოლოდ ხილული გენდერული ხარვეზების ანალიზის აქცენტირება მის მიღმა მდგომი ფაქტორების მოგვარების გარეშე, ნიშნავს ამ კომპლექსური საკითხის ზედმეტად გამარტივებას. პროგრამა გარკვეულწილად კაცებზეა მორგებული ნაწილობრივ იმიტომ, რომ სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ კაცის საქმიანობად არის მიჩნეული, და არც RDA არ ცდილობს, შეცვალოს ეს გენდერული სტერეოტიპები და გაითვალისწინოს ისინი პროგრამის განხორციელებისას. განხილული გენდერული სხვაობების პროგრამის დიზაინში გაუთვალისწინებლობამ შეიძლება შეამციროს არა მარტო პროგრამის ეფექტიანობა, არამედ მთლიანად თემებისა და ოჯახების კეთილდღეობის დონეც. ამასთანავე, მხოლოდ ქალებსა და კაცებს შორის განსხვავებებზე აქცენტის გაკეთებამ განსაკუთრებით რესურსებზე წვდომისა და არსებული გენდერული როლების, ასევე ღირებულებების თვალსაზრისით შეიძლება, ხელი შეუშალოს ანალიზს ქალებისა და კაცების ჰომოგენიზაციით. ამან კი შესაძლოა გამოიწვიოს მათი ფიქსირებულ გენდერულ ჯგუფებად მიჩნევა ისე, რომ სხვა სოციალურ განსხვავებებსა და ურთიერთობებზე ყურადღება არ გამახვილდეს.

შენიშვნა: ამ მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი ყველა შემთხვევის განხილვა არის GIA-დან აღებული მოკლე მაგალითი. მეტი ინფორმაციისა და დეტალებისათვის გთხოვთ იხილოთ ორიგინალი დოკუმენტი.

ეტაპი II. გენდერული ზეგავლენის შეფასება

ნაბიჯი 3. სიღრმისეული გენდერული ანალიზის განხორციელება

გენდერული ზეგავლენის შეფასების მეორე ეტაპი მოიცავს მესამე ნაბიჯს. ეს არის სიღრმისეული გენდერული ანალიზი, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: (ა) გენდერული სენსიტიურობის ანალიზი და გენდერული კონტექსტის გაგება და (ბ) გენდერის ზეგავლენის გაზომვა. ეს ნაბიჯები პოლიტიკის შემქმნელებს ეხმარება დახვეწონ შემუშავებული პოლიტიკა გენდერული თანასწორობის მიზნების მიღწევის მიმართულებით, ასევე იმ პრიორიტეტების განსაზღვრაში, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება გენდერული თანასწორობის გასააქტიურებ-

ლად საჭირო პოლიტიკის გატარებას. პირველ ეტაპზე (გენდერული შესაბამისობის შეფასება) მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, პოლიტიკის შემქმნელებმა მეორე ეტაპზე უნდა შეაფასონ შემოთავაზებული ჩარევის/პოლიტიკის ზეგავლენა (დადებითიც და უარყოფითიც), სხვადასხვა ასპექტსა და მათ სამიზნე ჯგუფზე/ებზე ზეგავლენის ინტენსივობის გათვალისწინებით.

ეს ეტაპი მოიცავს საბაზისო სცენარის დადგენას: გენდერილად ჩაშლილი ინფორმაციის შეგროვება, როგორიცაა ასაკი, რელიგია, განათლების დონე, გენდერული როლები, ურთიერთობები და სხვა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა გენდერზე შესაძლო ზეგავლენის შესაფასებლად.

ა) გენდერული სენსიტიურობის ანალიზი - არსებული გენდერული კონტექსტის გააზრება/გაგება

გენდერული სენსიტიურობა ანალიზმა უნდა პასუხობდეს შემდეგ შეკითხვებს				
არსებობს თუ არა პრობლემის არსებობის შესახებ რაიმე მტკიცებულება?	რა ზეგავლენას მოახდენს ის ქალებსა და კაცებზე?	ვისზე მოახდენს ის ზეგავლენას?	როგორ შეიძლება გადაიჭრას პრობლემა?	ვინ შეძლებს პრობლემის მოგვარებას?

საბაზისო სცენარის შემუშავება იძლევა გენდერული ურთიერთდამოკიდებულების სტრუქტურის გაგების საშუალებას, მათ შორის თითოეული გენდერული ჯგუფის ფუნქციებსა (როლები, პასუხისმგებლობები) და სამიზნე გენდერულ ჯგუფებს შორის არსებულ ინტერაქციას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ეტაპი ძირითადად ეფუძნება გენდერულად ჩაშლილი მონაცემის შეგროვებას პოლიტიკის/სტრატეგიების/პროგრამების ცვლილებების მტკიცებულებაზე დაფუძნების მიზნით, თანაბარ მნიშვნელობას იძენს დაინტერესებულ მხარეთა (პირველ რიგში პირდაპირი სამიზნე ჯგუფები) ხედვის გათვალისწინება და მათი პასუხების მიღება შემდეგ შეკითხვებზე:

- რა მოლოდინები და საჭიროებები აქვთ?
- განსხვავდება თუ არა ეს მოლოდინები და საჭი-

რობები ქალებსა და კაცებში?

- პასუხობს თუ არა დაგეგმილი ჩარევა ქალებისა და კაცების საჭიროებებს მათი განსხვავებული ინტერესების, როლებისა თუ პოზიციების გათვალისწინებით?
- როგორ შეიძლება გაძლიერდეს ქალებისა და კაცების წვლილი საჭიროებების მოგვარებაში?
- როგორ უნდა მოხერხდეს რესურსებთან (სამუშაო, ფული, ძალაუფლება, ჯანმრთელობა, კეთილდღეობა, უსაფრთხოება, ცოდნა/განათლება, მობილობა, დრო და სხვა) წვდომასა და ძირითადი უფლებების (სამოქალაქო, სოციალური და პოლიტიკური უფლებები) დაცვაში ქალებსა და კაცებს შორის არსებული უთანასწორობის აღმოფხვრა, რომელიც ეფუძნება მათ სქესს ან ქალებსა და კაცებზე მიკუთვნებულ როლს (გენდერული როლები)?

შემთხვევის განხილვა

სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ გენდერული ზეგავლენის შეფასება (UN WOMEN, ISET-PI, 2020)

საქართველოს სახელმწიფო საპილოტე პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში გენდერული ზეგავლენის შეფასების გუნდის მიერ განხორციელებულმა ანალიზმა გამოავლინა გენდერთან დაკავშირებული სპეციფიკური სირთულეები/გამოწვევები. ესენია:

- არსებული გენდერული სტერეოტიპების გამოვლენისა და ცვლილებების განხორციელებისათვის საჭირო ინსტიტუციონალური ძალისხმევის ნაკლებობა სახელმწიფო პროგრამებსა და სტრატეგიებში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ამ სტერეოტიპების არსებობას. სახელმწიფო მოხელეთა უმრავლესობას (ამ შემთხვევაში „დანერგე მომავალი“-თან დაკავშირებული), რომელიც მართავს სახელმწიფო პროგრამებს, აკლია გენდერის მიმართ. სანამ ინსტიტუტები და პოლიტიკის შემქმნელები არ გაიაზრებენ სოფლის მეურნეობაში არსებულ გენდერული თანასწორობის გამოწვევებს, მანამ გენდერული ასპექტი სახელმწიფო პროგრამებში, ძირითადად, მიმართული იქნება იმისკენ, რომ მოერგოს არსებულ სიტუაციას, იმის ნაცვლად, რომ შეცვალოს იგი.
- გენდერული უთანაბრობა გამოვლინდა წარმოების ყველა საჭირო ფაქტორთან წვდომაში. პოლიტიკის შემუშავებისას რესურსებზე არსებული არათანაბარი ხელმისაწვდომობისა და კონტროლის გაუთვალისწინებლობა ხდის პროგრამებს „გენდერულად ბრმას“ და არა გენდერულად ნეიტრალურს.
- პროგრამის შეფასების ანგარიშები, ისევე როგორც ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები, არ მოიცავს გენდერთან დაკავშირებულ ინდიკატორებს და არ ხორციელდება სოფლის მეურნეობის პროგრამების უმეტესობის, მათ შორის პროგრამა „დანერგე მომავლის“, გენდერული ანალიზი. კვლევამ აჩვენა რომ, გენდერულად ნეიტრალურად მიჩნეულ სახელმწიფო პროგრამებში ძალიან მწირია ან საერთოდ არ არსებობს გენდერთან დაკავშირებულ მონაცემთა ანალიზი. სტრატეგიული პოლიტიკის შექმნისას ერთ-ერთ ძირითად მიზნად გენდერის ჩაშლილი მონაცემების შეგროვების დახვეწა უნდა იქცეს.

შენიშვნა: ამ მეთოდოლოგიაში განხილული ყველა შემთხვევა წარმოადგენს გენდერის ზეგავლენის ანალიზის მცირე მაგალითს. მეტი ინფორმაციისა და დეტალებისათვის იხილეთ დოკუმენტის ორი-გინალი ვერსია.

საბაზისო სცენარის განსაზღვრა

არსებული გენდერული კონტექსტის გასაგებად აუცილებელია, მოხდეს გენდერული სენსიტიურობის ანალიზი. არსებობს გენდერის მრავალი სხვადასხვა სამუშაო ჩარჩო, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც პრაქტიკული ინსტრუმენტი გენდერული სენსიტიურობის ანალიზის ინტეგრირებისათვის საბაზისო სცენარის ანალიზში. ამ ჩარჩოთა უმრავლესობა ერთმანეთის

მსგავსია, მაგრამ განსხვავებულია მათი ანალიზის ძირითადი სფეროები. გენდერის თითოეული სამუშაო ჩარჩო, როგორც წესი, ფოკუსირებულია მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ფაქტორებზე იმ მრავალი ფაქტორიდან, რომელიც ერთობლივად ასახავს გენდერულ განსხვავებებს და შესაბამისად, მიჩნეულია, რომ საკუთარი განზომილებით არც ერთი ჩარჩო არ არის უპირატესი დანარჩენ ჩარჩოებზე.

სახელი:	ჰარვარდის ანალიტიკური ჩარჩო	მოსერის (Moser) ჩარჩო	გენდერის ანალიზის მატრიცა (GAM)
მოკლე აღწერა:	ასევე ცნობილია, როგორც გენდერული როლების ჩარჩო, ეფუძნება ეფექტიან მიდგომას და აგებულია იმის სადემონსტრაციოდ, რომ არსებობს ქალებისა და კაცებს შორის რესურსების განაწილების ეკონომიკური ინტუიცია. ის შეიქმნა, როგორც მიკრო დონის მონაცემთა შესაგროვებელი მექანიზმი და შეისწავლის ქალთა და კაცთა საქმიანობის პროფილებს, განსხვავებებს მათ მიერ რესურსებზე წვდომასა და კონტროლში.	მისი მიზანია გენდერული დაგეგმვის პერსპექტივის ინტეგრაცია განვითარების ყველა სამუშაოში და ფოკუსირებულია გენდერული ურთიერთობების ძალაზე. ჩარჩოს მიხედვით, გენდერული დაგეგმვის მიზანია თანასწორობის, სამართლიანობისა და გაძლიერების მიღწევა. ამ ჩარჩოს აქვს სამი ძირითადი კომპონენტი: ქალების სამმაგი როლი, გენდერის პრაქტიკული და სტრატეგიული საჭიროებები; და პოლიტიკურ მიდგომებთან დაკავშირებული კატეგორიები.	წარმოადგენს ტრანსფორმაციულ ინსტრუმენტს, რამდენადაც მისი მიზანია, საზოგადოება წაახალისოს გენდერული როლების შესახებ არსებულ მათ შეხედულებებს დადგენისა და კონსტრუქციული პროვოცირებისაკენ. ამ მიდგომის მთავარი დაშვება მდგომარეობს იმაში, რომ ტრანსფორმაცია ვერ მიიღწევა, თუ ანალიზი არ გაკეთდება თავად ხალხის მიერ. ეს ჩარჩო აანალიზებს საზოგადოების ოთხივე დონეს: ქალებს, კაცებს, ოჯახსა და საზოგადოებას, და ანალიზი კეთდება გავლენის ოთხი მიმართულებით: შრომა, დრო, რესურსები და სოციო-კულტურული ფაქტორები.
შეზღუდვები	ამ მიდგომის მთავარი მიზანია არა უფრო დაბალანსებული გენდერული ურთიერთობების ჩამოყალიბება, არამედ ახალი რესურსების იმგვარი განაწილება, რომ ინტერვენციის ეფექტიანობა გაიზარდოს.	ფოკუსირებულია მხოლოდ გენდერულ ჯგუფებს შორის განსხვავებებზე; შესაბამისად, ქალები მიჩნეულია, როგორც ჰომოგენური კატეგორია.	შედარებით რთულია პრაქტიკაში გამოყენება (საჭიროებს კარგ ფასილიტატორს; არ მოიცავს მაკრო და ინსტიტუციონალურ ანალიზს; შეისწავლის ძალიან ფართო კატეგორიების, რის გამოც, დროთა განმავლობაში, რთულია მისი გამოყენება).

იმისათვის, რომ გენდერული ჩარჩო გახდეს პრაქტიკული და ეფექტიანი, აუცილებელია შემდეგი მახასიათებლების გათვალისწინება:

- ჩარჩოს უნდა ერგებოდეს არსებულ **კონტექსტს**, რამეთუ, გენდერული ურთიერთობები, როგორც წესი, არსებული გარემოებებით განისაზღვრება, მაგალითად, სოფლებსა და ქალაქებში მდიდარი და ღარიბი საზოგადოებების წევრებს შორის ურთიერთობები განსხვავებულია;
- ჩარჩოს უნდა ჰქონდეს მკაფიო **ფოკუსი** ისე, რომ არ მოხდეს გენდერული ჯგუფების ერ-

თმანეთისაგან იზოლირება და ანალიზისას ფოკუსი უნდა გაკეთდეს არამარტო კონფლიქტზე, არამედ მათ შორის თანამშრომლობაზეც. მაგალითად, მაშინ, როდესაც გენდერულ როლებზე აქცენტირებული გენდერული ანალიზი შეისწავლის ვინ რას აკეთებს, ვინ რას ფლობს და ა.შ. გენდერულ ურთიერთობებზე ფოკუსირებული საზოგადოება და გენდერული ანალიზი შეისწავლის, როგორ არიან საზოგადოების წევრები დაკავშირებული ერთმანეთთან;

- ჩარჩო უნდა იყოს **მოქნილი**, ვინაიდან გენ-

დერული ურთიერთობები და როლები იცვლება დროთა განმავლობაში (ზოგჯერ ძალიან მოულოდნელად). მაგალითად, განსაკუთრებული მოვლენები, როგორებიცაა კონფლიქტი, პანდემია ან ეკონომიკური კრიზისი, იწვევს დრამატულ და სწრაფ ცვლილებებს;

- ჩარჩომ უნდა იხელმძღვანელოს **რესურსების ფართო გაგებით**, რათა არ დარჩეს ანალიზს მიღმა ზოგიერთი მატერიალური და არამატერიალური რესურსები. მაგალითად, თუ ხალხს აქვს მხოლოდ რამდენიმე მატერიალური რესურსი, როგორიცაა მინა ან შემოსავალი, მაშინ არამატერიალური რესურსები მათი ცხოვრების ფორმირების ძირითადი ასპექტი ხდება;
- ჩარჩოს უნდა ჰქონდეს **მკაფიოდ განსაზღვრული მიზანი**, იქნება ეს ინტერვენციის

ეფექტიანობის უზრუნველყოფა, გაძლიერების მხარდაჭერა თუ ორივე ერთად (ან სხვა).

როგორ უნდა განისაზღვროს საბაზისო სცენარი?

საბაზისო ანალიზისას შესასწავლი გენდერული განსხვავებების დაჯგუფება შესაძლებელია ორ დიდ კატეგორიად: **ქცევითი (behavioural) და გამანაწილებელი (distributional)** განსხვავებები:


- პირველი კატეგორიის ანალიზის მიზანია, აღმოაჩინოს განსხვავებები სამიზნე ჯგუფისა(ების) და გადანყვეტილების მიმდებ პირთა ქცევაში;
- მეორე კატეგორიის ანალიზი მიზნად ისახავს სამიზნე ჯგუფის(ების) გამანაწილებელი თავისებურებების დადგენას.

ნორმები და ღირებულებები

ქალებისა და კაცების შესაბამისი გენდერული როლები, დამოკიდებულებები და ქცევა

უფლებები

პირდაპირი და არაპირდაპირი სქესობრივი დისკრიმინაცია, ადამიანის ძირითადი უფლებები



მონაწილეობა

სამიზნე ჯგუფის სქესობრივი შემადგენლობა და პოზიციები გადანყვეტილების მიღებისას

რესურსები

რესურსებზე წვდომა, მათი კონტროლი და სარგებელი

ქცევითი განსხვავებები

ქცევითი განსხვავებები ჯგუფებში განისაზღვრება მოცემულ კონტექსტსა და კულტურაში გენდერთან ასოცირებული ღირებულებებისა და ნორმების ერთობლიობით. ამ როლების დასადგენად უნდა დაისვას შემდეგი შეკითხვა: „ვინ რას აკეთებს?“. „სამმაგი როლის“ მიდგომის მიხედვით, გენდერული როლები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგ სამ კატეგორიად (Moser, 1989):

- **რეპროდუქციული როლი:** მოიცავს ორსულობასა და საშინაო საქმის პასუხისმგებლობას. ამგვარად, რეპროდუქციული როლი აერთიანებს ბიოლოგიურ რეპროდუქციას, ზრუნვას,

ასევე ოჯახში არსებული და მომავალი სამუშაო ძალის შენარჩუნებას;

- **პროდუქტიული როლი:** მოიცავს საქმიანობას, რომელიც ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით ან ნატურით ანაზღაურებისათვის. ამრიგად, პროდუქციული როლი აერთიანებს ბაზრის, საშინაო, არაფორმალურ და საარსებო წარმოებებს;
- **საზოგადოებრივი როლი:** მოიცავს პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური სამუშაოსათვის მიძღვნილ საქმიანობასა თუ დროს. ამრიგად, საზოგადოებრივი როლი აერთიანებს ზრუნვას, აუნაზღაურებელ სამუშაოსა და კოლექტიური რესურსების წარმოებას.

თითოეული როლის შესაბამისი აქტივობების მაგალითები		
რეპროდუქციული როლი	პროდუქტიული როლი	საზოგადოებრივი როლი
საჭმლის მომზადება რეცხვა დალაგება მოვლა	დასაქმება თვითდასაქმება	პოლიტიკურ აქტივიზმი სოციალურ აქტივიზმი გარემოსდაცვითი აქტივიზმი მოხალისეობა

რეპროდუქციული როლი ძალიან პრომატევადია, მოითხოვს დიდ დროს და, ძირითადად, აუნაზღაურებელია. ზოგადად, რეპროდუქციული საქმიანობა ქალებისა და გოგონების პასუხისმგებლობის ქვეშაა. ამის საპირისპიროდ, **პროდუქტიული როლი** ორივე გენდერულ ჯგუფს აკისრია, მიუხედავად ფუნქციებისა და პასუხისმგებლობებში არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებებისა. როგორც წესი, იქ, სადაც ქალები შრომის ბაზარზე გენდერულ დისკრიმინაციას განიცდიან, მათი პროდუქტიული საქმიანობები ნაკლებადაა დაფასებული ვიდრე კაცებისა, რის შედეგადაც წარმოიშვება გენდერული განსხვავებები, ვერტიკალური და ჰორიზონტალური პროფესიული სეგრეგაცია და ა.შ. **საზოგადოებრივ როლსაც** ასევე ორივე გენდერული ჯგუფი ასრულებს, მაგრამ ხშირად ქალების საზოგადოებრივი საქმიანობა ნებაყოფლობითი არაანაზღაურებადი სამუშაოა მაშინ, როდესაც კაცები ამ საქმიანობაში ნაღდ ფულს ან არაპირდაპირ სარგებელს იღებენ. (Candida M., Smyth I., Mukhopadhyay M., 1999).

ქცევითი განსხვავებების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი კომპონენტი არის **უფლებების (ან არაფორმალური ნორმების)** არსებობა (ან არარსებობა). ეს ეხება სამართლიანობაზე წვდომას, განსაზღვრავს არსებულ პირდაპირ და არაპირდაპირ სქესობრივ დისკრიმინაციას და უსაფრთხოების ხარისხს.

გამანაწილებელი განსხვავებები

გამანაწილებელი განსხვავებები მოიცავს ორ ძირითად ასპექტს: მონაწილეობა და რესურსები.

მონაწილეობა წარმოადგენს იმ ჯგუფის(ების) სქესობრივ შემადგენლობას, რომელზეც მოსალოდნელია საზოგადოებრივმა ჩარევამ იქონიოს გავლენა და ასევე მოიცავს გადანყვებილების მიმღებ პოზიციებზე სხვადასხვა გენდერული ჯგუფის წარმომადგენლობას.

რესურსებზე წვდომა, კონტროლი და სარგებელი გულისხმობს, თუ როგორ (და რამდენად) მიუწვდებათ ხელი ქალებსა და კაცებს რესურსებზე, როგორ ახდენენ ამ რესურსების გამოყენებას და რა სარგებელს იღებენ მისგან. რესურსებზე წვდომა გულისხმობს რესურსებზე როგორც ქალებისათვის, ასევე კაცებისთვის ხელმისაწვდომობას. რესურსების კონტროლი ნიშნავს, რომ ქალებსა და კაცებს შეუძლიათ, მიიღონ გადანყვებილება, თუ როგორ იქნეს გამოყენებული რესურსები. ხოლო ამ უკანასკნელისაგან სარგებელის მიღება კი გულისხმობს, რომ ქალებსა და კაცებს შეუძლიათ, რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული სარგებელი გამოიყენონ.

რესურსები შეიძლება იყოს მატერიალური (ხელშესახები) და არამატერიალური (არახელშესახები). მათი მაგალითებია:

- არამატერიალური (არახელშესახები) რესურსებია: დრო, ინფორმაცია, სხვადასხვა გაერთიანების (ქსელის) წევრობა, განათლება და უნარები, სხვადასხვა სფეროში მუშაობის გამოცდილება, სტატუსი, თავდაჯერებულობა და დამოკიდებულებები, სანდოობა და ლიდერობის თვისებები და ა.შ.
- მატერიალური (ხელშესახები) რესურსებია: ფინანსები, მიწა, სახლი, სატრანსპორტო საშუალებები, ჯანდაცვის მომსახურება, ახალი ტექნოლოგიები და სხვა.

ქვემოთ მოცემული მარტივი ცხრილი შესაძლებელია გამოყენებული იყოს იმის დასადგენად, თუ რამდენად ხელმისაწვდომია და რამდენად კონტროლდება რესურსი სხვადასხვა გენდერულ ჯგუფზე მიკუთვნებული ინდივიდის მიერ. მაგალითად, ბევრ განვითარებად ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, რომ ქალებს, როგორც ოჯახის წევრებს, ჩვეულებრივ წვდომა აქვთ შინამეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვან აქტივზე - მიწაზე,

კაცებთან შედარებით მაინც მნიშვნელოვნად არა-ხელსაყრელი მდგომარეობა აქვთ საკუთარი მიწის ისეთ უფლებებთან დაკავშირებით, როგორებიცაა მფლობელობა, მართვა, გადაცემა და ეკონომიკური უფლებები (FAO, 2011). ამიტომ, კაცებისაგან განსხვავებით, ქალებს ხელი არ მიუწვდებათ ისეთ

არამატერიალურ რესურსზე, როგორიცაა მიწის მესაკუთრის სტატუსი. ისინი ვერ იღებენ კონტროლს მიწაზე, რადგან არ შეუძლიათ მისი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რაც ნიშნავს, რომ ქალები ამ აქტივის მფლობელობიდან სარგებელს ვერ იღებენ:

რესურსი და სარგებელი	წვდომა		კონტროლი	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
ხელშესახები/მატერიალური რესურსები: • მიწა • სახლი • ტრანსპორტი • ფული • შრომა • ჯანდაცვა • სხვა	+	+	⊘	+
არახელშესახები/არამატერიალური რესურსები: • ინფორმაცია • გამოცდილება • სტატუსი • სხვა	⊘	+	⊘	+
სარგებელი: • დამატებითი შემოსავალი • ქონების ფლობა • ძირითადი საჭიროებები • სხვა	⊘	+	⊘	+

შემთხვევის განხილვა

სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ გენდერული ზეგავლენის შეფასება (UN WOMEN, ISET-PI, 2020)

ნაბიჯი 3. სიღრმისეული გენდერული ანალიზის განხორციელება

2015 - 2019 წლებში პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში 1 305 ბაღი გაშენდა, ხოლო დამუშავებული მიწის საერთო ფართობმა 8 476 ჰა შეადგინა. ინვესტიციის ჯამურმა მოცულობამ 87 მლნ. ლარი შეადგინა, რომლის 55% სახელმწიფომ დაფინანსა. პროგრამის ბენეფიციარების მიერ ყველაზე სასურველ კულტურად შერჩეული იყო კაკალი/ნიგოზი, ნუში და ვაშლი. პროგრამის ბენეფიციარები უფრო კონცენტრირებულნი არიან აღმოსავლეთ საქართველოში - მთლიანი დამუშავებული მიწის 80%-ზე მეტი განაწილებულია სამ რეგიონში: კახეთში, ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში. რაც შეეხება პროგრამის კენკრის ქვეკომპონენტს, კენკროვანი ბაღების 90% დასავლეთ საქართველოშია. ეს განაწილება შეიძლება აიხსნას მიწის ნაკვეთის მახასიათებლებითა და ზომით, ხელსაყრელი კლიმატური პირობებით სხვადასხვა კულტურისთვის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში (მნიშვნელოვანია რეგიონებში სხვადასხვა კულტურის მოსავლის აღების ტრადიციებიც).

დაფინანსების ტენდენციები: 20 ყველაზე დიდი სუბსიდიის მიმღები ქალი და კაცი ბენეფიციარის შესწავლით დადგინდა, რომ კაცებისთვის საშუალო მიწის ზომა არის 21 ჰა, საშუალო სუბსიდია კი - 130 844 ლარი, ხოლო ქალების შემთხვევაში - საშუალო მიწის ნაკვეთის ზომა ოდნავ ნაკლებია - 16 ჰა, ხოლო საშუალო სუბსიდია - 100 805 ლარი.

მონაწილეობა: პროგრამის კაცი ბენეფიციარების საშუალო წილი (2015-20 წლებში) 79%-ს უტოლდება მაშინ, როდესაც ქალებისათვის ეს წილი 19%-ს შეადგენს და შერეული გენდერული თანამფლობელობის (ერთდროულად ქალი და კაცი თანამფლობელი) შემთხვევაში მხოლოდ 2%-ია. GIA-ის გუნდის მიერ დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე ირკვევა, რომ პროგრამაში ქალების დაბალი მონაწილეობის ძირითადი მიზეზებია: გენდერული ნორმები (ბაღში მუშაობა ფიზიკურად რთულ სამუშაოდ მიიჩნევა, რომელიც კაცმა უნდა შეასრულოს), მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემები, გირაოს არარსებობა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემები.

მიწის ფართობი: პროგრამის ბენეფიციარი კაცების საშუალოდ 55% და ქალების 51% ფლობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, რომელიც 1.5 ჰა-ზე ნაკლებია ან ტოლია, კაცების 32% და ქალების 30% ფლობს სასოფლო-სამეურნეო მიწას, რომელიც 5.5 ჰა-ზე ნაკლებია, მაგრამ 1.5 ჰა-ზე მეტი, ხოლო კაცების 18% და ქალების 15% ფლობს სასოფლო-სამეურნეო მიწას, რომელიც 5.5 ჰა-ზე მეტია. პროგრამაში კენკროვნების ქვეკომპონენტის დამატებამ გაზარდა ქალთა და კაცთა მონაწილეობა 17% და 25%-ით. პროგრამის ბენეფიციართა საშუალოდ 45% იყო ჩართული კენკროვნების ქვეკომპონენტში. ამრიგად, მიწის მცირე ფართობის კრიტერიუმების დამატებამ დადებითად იმოქმედა პროგრამაში ქალების მონაწილეობაზე (დადებითად აისახა პროგრამაში კაცების მონაწილეობაზეც, შესაბამისად, გაიზარდა ბენეფიციართა საერთო რაოდენობაც).

სასოფლო-სამეურნეო კულტურის არჩევანი: სასოფლო-სამეურნეო კულტურების შერჩევაშიც შეინიშნება გენდერული ტენდენცია, რომელიც მიჰყვება მიწის ფართობის კუთხით არსებულ ტენდენციებს. მიწის და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული გენდერული უთანასწორობის შედეგად, ნაკლებად სავარაუდოა ქალების მიერ შედარებით მაღალი ღირებულების მქონე, კაპიტალ-ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება. კაკალს, ვაშლს, მოცვს, ჟოლოს და ქლიავს პრიორიტეტი მიანიჭეს ორივე სქესის ბენეფიციარებმა, მაგრამ

მათი არჩევანის რიგითობა მცირედით განსხვავებულია. მცირე ზომის მიწის ნაკვეთების შემთხვევაში, სადაც დამუშავება, მოსავლის აღება და მოვლა-შენახვა შესაძლებელია ხელით, ქალები ირჩევენ ისეთ კაპიტალ-ინტენსიურ და ძვირადღირებულ კულტურებს, როგორიცაა კაკალი, განსხვავებით უფრო დიდი ფართობის ნაკვეთისა, სადაც ტექნიკის გამოყენების საჭიროება გაცილებით მაღალია. ამ კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საექსპორტო კულტურებს კაცები მეტად ირჩევენ, რადგან ისინი, ქალებისაგან განსხვავებით, უფრო წარმატებით აკმაყოფილებენ შესაბამის კრიტერიუმებს.

შენიშვნა: ამ მეთოდოლოგიაში განხილული ყველა შემთხვევა წარმოადგენს გენდერის ზეგავლენის ანალიზის მცირე მაგალითს. მეტი ინფორმაციისა და დეტალებისათვის იხილეთ დოკუმენტის ორი-გინალი ვერსია.

ბ) გენდერული ზეგავლენის გაზომვა

ეს ნაბიჯი იმ პროცესის დასაწყისია, რომელიც ადგენს, თუ რა პრიორიტეტი შეიძლება იქონიოს ზეგავლენამ, ასევე ზომავს გენდერულ ზეგავლენას, აყალიბებს რეკომენდაციებს. ის აგრეთვე ალაგებს მათ მნიშვნელოვანად დადებითი თუ უარყოფითი პრიორიტეტების მიხედვით, რაც განსაზღვრავს და ითვალისწინებს ზეგავლენის ალბათობას.

პირველ რიგში უნდა მოხდეს შემდეგი ორი სამომავლო სცენარის შეფასება:

1. **უმოქმედობის (ინტერვენციისგან თავის შეკავების) სცენარი** – ინტერვენციის გარეშე, არსებული გენდერული განსხვავებების მოსალოდნელი განვითარების პროგნოზი. უმოქმედობის სცენარის ანალიზი გვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს საბაზისო მაჩვენებლების ანალიზით დადგენილი არსებული გენდერული განსხვავებები.
2. **ინტერვენციის სცენარი** – საზოგადოებრივი ინტერვენციის მოსალოდნელი ზეგავლენის გაანალიზება არსებულ და სამომავლო გენდერულ განსხვავებებზე. ზეგავლენის შეფასების მიზანია დაადგინოს, შემოთავაზებულმა ჩარევამ როგორ შეიძლება შეცვალოს არსებული გენდერული განსხვავებები (და ამ დროს შეფასება უნდა მოხდეს უმოქმედობის სცენართან შედარებით).

იდეალურ შემთხვევაში, ანალიზმა უნდა შეძლოს განსხვავებების არამართო ჯგუფებს შორის, არამედ ჯგუფების შიგნით დადგენაც. რადგან სქესი სოციალური წარმონაქმნია, მასზე მუდმივად ახდენს ზეგავლენას ისეთი სოციალური ცვლადები, როგორებიცაა ასაკი, ეთნიკური წარმომავლობა, სოციალური კლასი, რელიგია, შეზღუდული შესაძ-

ლებლობების ქონა, სექსუალური ორიენტაცია და სხვა. გამომდინარე იქედან, რომ ზეგავლენა შესაძლოა იცვლებოდეს არამხოლოდ ქალებსა და კაცებს შორის და შესაძლოა, განსხვავებული შედეგები იქონიოს სხვადასხვა სოციო-ეკონომიკური გამოცდილების მქონე ქალებსა და კაცებზე, საჭიროა გენდერული ჯგუფების განხილვისას არ შემოვიფარგლოთ ქალებისა და კაცების ჰომოგენურ კატეგორიებად განხილვით.

ზოგადად, მოვლენების მოსალოდნელი განვითარების წინასწარი განხილვა ძალიან რთული ამოცანაა და ამ მხრივ, გენდერული ურთიერთობების კონტექსტიც არ წარმოადგენს გამონაკლისს. წინა წლების პანელური მონაცემები შეიძლება ნიშნავდეს, რომ რაოდენობრივი ზეგავლენის პროგნოზირება ყოველთვის არ იქნება შესაძლებელი. თუმცა, ხშირ შემთხვევებში შესაძლებელია მიმდინარე ტენდენციების ექსტრაპოლირება, მოსალოდნელი ზემოქმედების ძლიერი მხარეებისა და მიმართულების (დადებითი, უარყოფითი ან ნეიტრალური) დადგენა. უმოქმედობის სცენარის მიზანია წარმოადგინოს მოსალოდნელი განვითარება ინტერვენციის არარსებობის პირობებში და ის გამოიყენება როგორც შემოთავაზებული ჩარევის შესაფასებელი ეტალონი. ეს ანალიზი ხორციელდება ნებისმიერი შემოთავაზებული ალტერნატიული პოლიტიკის სცენარის შედეგებისაგან დამოუკიდებლად.

საზოგადოებრივი ინტერვენციის ფარგლებში არსებული გენდერული განსხვავებების იდენტიფიცირებისა და მათი დადგენის, ასევე, ინტერვენციის არარსებობისას ამ განსხვავებების სამომავლო განვითარების შეფასების შემდეგ, ძალიან მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ როგორ შეძლებს შემოთავაზებული ჩარევა ხელი შეუწყოს უთანასწორობების აღმოფხვრას.

i. ზეგავლენის ყოვლისმომცველი შეფასება

ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორ შეუწყობს ხელს პოლიტიკა ან საკანონმდებლო ღონისძიებები გენდერულ თანასწორობას და ასევე, გენდერულ ურთიერთობებზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება. შემოთავაზებული პოლიტიკის შედეგების დადგენისთანავე უნდა მოხდეს მათი „გაზომვა“ ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, რათა შეფასდეს ნებისმიერი ინიციატივის **დადებითი**,²⁰ **ნეიტრალური**²¹ ან **უარყოფითი**²² გენდერული ზეგავლენა:

- ქალებისა და კაცების მონაწილეობა. ზეგავლენა მიიჩნევა დადებითად, თუ ამ სფეროში ნაკლებად წარმოდგენილი გენდერული წარმომადგენლობის მნიშვნელოვანი ზრდა არის გათვალისწინებული;

- რესურსებზე წვდომა და მათი კონტროლი. ზეგავლენა მიიჩნევა დადებითად, თუ არსებული გენდერული უთანასწორობების აღმოფხვრა (ან სულ მცირე, მნიშვნელოვანი კლება) არის ნაგარაუდები. ეს შემცირება ყოველთვის უნდა იყოს მიმართული ქალების ფიზიკური, ემოციური და ეკონომიკური გაძლიერებისათვის;
- გენდერზე დაფუძნებული სოციალური ნორმები და ღირებულებები. ზეგავლენა დადებითად იქნება მიჩნეული თუ:
 - ხდება გენდერული უთანასწორობის წარმომშობი მექანიზმების ან სტრუქტურების მოდიფიცირება;
 - პროგრესია გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრის მიმართულებით.

კატეგორიები	ზეგავლენის ტიპი	უარყოფითი	ნეიტრალური	დადებითი
ქცევითი				
	ნორმები & ღირებულებები			
	უფლებები			
დისტრიბუციული				
	მონაწილეობა			
	რესურსები			
ზოგადი/მთლიანი ზეგავლენა				

20 შემოთავაზებული ინტერვენციის ზეგავლენა შეიძლება მიჩნეული იყოს დადებითად, როდესაც ჩარევა ითვალისწინებს არსებულ გენდერულ განსხვავებებს და გარდა იმისა, ყურადღების მიღმა არ ტოვებს არც ერთ სამიზნე გენდერულ ჯგუფს და ინვესტს გამუჭობესებას, სულ მცირე, რამდენიმე მიმართულებით.

21 შემოთავაზებული ინტერვენციის ზეგავლენა შეიძლება მიჩნეული იყოს ნეიტრალურად ან კონსერვატიულად, როდესაც ის ითვალისწინებს არსებულ გენდერულ

განსხვავებებს და ყურადღების მიღმა არ ტოვებს არც ერთ სამიზნე გენდერულ ჯგუფს, მაგრამ მისგან არ არის მოსალოდნელი რაიმე მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიღწევა.

22 შემოთავაზებული ინტერვენციის ზეგავლენა შეიძლება მიჩნეული იყოს უარყოფითად, როდესაც როდესაც ჩარევა არ ითვალისწინებს არსებულ გენდერულ განსხვავებებს და შესაბამისად, ყურადღების მიღმა ტოვებს ერთ ან მეტ სამიზნე გენდერულ ჯგუფს.

მაგალითად, ზეგავლენა მიიჩნევა **დადებითად**, თუ საზოგადოების მიერ გამოყენებული ინტერვენციის ან მექანიზმის სტრუქტურა აღმოფხვრის ან საგრძნობლად შეამცირებს:

- როლებისა და პასუხისმგებლობების სექსის მიხედვით დანაწილებასა და არსებულ გენდერულ სტერეოტიპებს (ნორმები და ღირებულებები);
- სქესობრივ დისკრიმინაციას და შესაბამისად, ხელს შეუწყობს თანაბარ წვდომას როგორც სამართალზე, ასევე ხარისხის უსაფრთხოებაზე (უფლებები);
- საზოგადოებრივი ჩარევის ზეგავლენის სფეროში კონკრეტული სექსის დაბალ წარმომადგენლობას (მონაწილეობა);
- გენდერულ განსხვავებებს, რომლებიც დაკავშირებულია რესურსებზე წვდომასთან, კონტროლთან და სარგებელთან (რესურსები).

ii. ზეგავლენის პრიორიტეტებად დალაგება

ეს ეტაპი მოიცავს “i” ეტაპზე მიღებული ინფორმაციის გამოყენებით, ზეგავლენის პრიორიტეტებად დალაგებას მისი მნიშვნელოვნებისა და ალბათობის დადგენის საშუალებით.

iii. ზეგავლენის მნიშვნელოვნება და მათი ხდომილების ალბათობა

ეს ეტაპი მოიცავს “ii” ეტაპზე მიღებულ ინფორ-

მაციაზე დაყრდნობით ყველა ზეგავლენის იდენტიფიცირებას. საჭიროა ორი ცხრილი, ერთი დადებითი ზეგავლენებისთვის, ხოლო მეორე - უარყოფითისთვის.

iv. მნიშვნელოვანი დადებითი და უარყოფითი ზეგავლენების დალაგება პრიორიტეტების მიხედვით

ეს ეტაპი განსაზღვრავს პრიორიტეტებს, რომლებიც თან უნდა ახლდეს იმ პოლიტიკის მიღებას, რაც აქტიურად უწყობს ხელს გენდერულ თანასწორობას და ადგენს არის თუ არა კონკრეტული, სპეციფიკური მიდგომები ან ქმედებები საჭირო იმის უზრუნველსაყოფად, რომ სპეციფიკურმა ჯგუფებმა (კაცებისა და ქალების ჯგუფებში) სარგებელი მიიღონ შემოთავაზებული პოლიტიკისაგან.

ეტაპი III. გენდერული ხარისხის შეფასება

ამ ეტაპზე ხდება შედეგების, დასკვნებისა და შემოთავაზებების შეჯამება პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით. ამასთანავე, საბოლოო შედეგების სათანადო მონიტორინგისა და შეფასების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია: მონაცემთა შეზღუდვებისა და საინფორმაციო ხარვეზების დადგენა; იმის შეფასება, თუ რომელი ინდიკატორებია ამჟამად ხელმისაწვდომი და რამდენად სასარგებლოა ისინი გენდერული თანასწორობის მეთვალყურეობის პროცესში შესაბამისი ინდიკატორების განსაზღვრისას.

გენდერული ხარისხის შეფასება



ინდიკატორების განსაზღვრა/დადგენა რეალური შედეგების სათანადო მონიტორინგისა და შეფასების მიზნით.



იმის შეფასება, თუ **რომელი ინდიკატორებია ამჟამად ხელმისაწვდომი** და რამდენად სასარგებლოა ისინი გენდერული თანასწორობის მეთვალყურეობის პროცესში.

შესაძლებელია, აუცილებელი გახდეს შესაბამისი, გენდერულად ჩაშლილი ახალი ინდიკატორების შემუშავება. ინფორმაციის ნაკლებობის შემთხვევაში, შეუძლებელია სათანადო ანალიზის განხორციელება და შესაბამისად, შედეგების დამატერებლობის ხარისხიც ნაკლებია. მნიშვნელოვანია ამის ცალსახად აღნიშვნა GIA-ს დოკუმენტში.



მონაცემებსა და ინფორმაციასთან დაკავშირებული ხარვეზების ცოდნა საშუალებას აძლევს პასუხისმგებელ პირებს, გარკვეული ზომები მიიღონ ამ პრობლემების მოსაგვარებლად.

ნაბიჯი 4. შედეგები და დასკვნები

მე-4 ნაბიჯზე, შედეგები და დასკვნები, წარმოდგენილია სიღრმისეული გენდერული ანალიზის (ეტაპი II. ნაბიჯი 3) შედეგები და ნათლად და ასახული შემოთავაზებული პოლიტიკის/პროგრამის ზეგავლენა.

ამ ნაბიჯის მიზანია შეადგოს, თუ რა ზეგავლენას მოახდენს პოლიტიკა როგორც გენდერზე დაფუძნებულ სოციალურ ნორმებზე, ასევე გენდერულ როლებზე და რა წვლილს შეიტანს ის ქალებისა და კაცების, ქალურობისა და მამაკაცურობის თანაბარი სოციალური ღირებულებების ჩამოყალიბებაში.

ამ ნაბიჯზე ხდება პოლიტიკის გამოვლენილი ზე-

გავლენებისა და შემუშავებული რეკომენდაციების პრიორიტეტების მიხედვით დალაგება და შემოთავაზებულ ცვლილებებთან ასოცირებული დაგეგმილი შედეგების განსაზღვრა. ძალიან მნიშვნელოვანია გენდერულად ნეიტრალური ენის გამოყენება იმის დასადასტურებლად, რომ მთელ დოკუმენტში თანაბრად ხდება როგორც ქალების, ასევე კაცების სამართლიანი ვიზუალიზაცია.

ამ ნაბიჯზე მიღებულ რეკომენდაციებს თან უნდა ახლდეს მისი შესაბამისი განხორციელების მეთოდების ჩამონათვალი, რათა უკეთ მოხდეს იმის გააზრება, თუ როგორ მოხდება რეკომენდებული ცვლილებების განხორციელება და ბიუჯეტირების თანმიმდევრული გეგმების შექმნა.

შემთხვევის განხილვა

სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ გენდერის ზეგავლენის შეფასება (UN WOMEN, ISET-PI, 2020)

ნაბიჯი 4. შედეგები და დასკვნები

- პროგრამის მონაწილეთა გენდერული დაყოფა განსხვავებულია სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით, როგორიცაა მიწის ფართობი, კულტურები, რეგიონი და პროგრამის ქვეკომპონენტები.
- პროგრამაში ქალების ჩართულობის დაბალი მაჩვენებლის მიზეზებია არსებული გენდერული ნორმები, ცოდნაზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა, გენდერული ნიშნით მიწის არათანაბარი განაწილება, გირაოს უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გამოწვევები და ფინანსებზე არათანაბარი წვდომა.
- შეზღუდული მონაცემები და არსებული მონაცემების გენდერული თვალსაზრისით ანალიზის ნაკლებობა ხელს უშლის პროგრამის ეფექტიანობის, ინკლუზიურობის, მომგებიანობისა და მდგრადობის სათანადო შეფასებას.
- მცდარია აღქმა, რომ ქალები ჰომოგენურ გენდერულ ჯგუფს წარმოადგენენ. შესაბამისად, პროგრამამ უნდა გაითვალისწინოს, რომ სოფლად მცხოვრები ქალების საჭიროებები
- საკომუნიკაციო არხები პროაქტიულად არ უწყობს ხელს ქალთა მონაწილეობას პროგრამაში.
- როდესაც საქმე ეხება RDA-ს პროგრამის „დანერგე მომავალი“ მონიტორინგს, ის უფრო მეტად ემყარება ფაქტობრივი საქმიანობის განხორციელებისა და ფინანსური დახმარების გამოყენების მონიტორინგს და არა პროცესებისა და გავლენების შეფასებას.

შენიშვნა: ამ მეთოდოლოგიაში განხილული ყველა შემთხვევა წარმოადგენს გენდერული ზეგავლენის ანალიზის მცირე მაგალითს. მეტი ინფორმაციისა და დეტალებისათვის იხილეთ დოკუმენტის ორიგინალი ვერსია.

ნაბიჯი 5. რეკომენდაციები პროექტის გენდერული თანასწორობის კუთხით გაუმჯობესებისთვის

ამ ნაბიჯზე ხდება ყველა ჩართული საჯარო ინსტიტუციის მიერ პროგრესის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ღონისძიებები განსაზღვრა. ამ პროცესში აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ პოლიტიკის შემუშავების ნებისმიერ დონეზე არსებობს გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული ცოდნის სიმწირე.

საბოლოო ჯამში, ამ ბოლო ნაბიჯის დროს არის იმის გათვალისწინება, თუ რამდენად უარყოფითია გენდერული ზეგავლენა, რა მასშტაბის, მისი განეიტრალება უნდა მოხდეს თუ აღმოფხვრა. აქვე უნდა გადამწყდეს როგორ გაკეთდეს ეს, მაგალითად, შემოთავაზებული პოლიტიკის ცვლილებით, თუ მინიმალურად უარყოფითი ზეგავლენის შემთხვევაში პოლიტიკის მხოლოდ კონკრეტული, სპეციფიკური სფეროს (რომელიც იწვევს უარყოფით გავლენას) რეორიენტაციით.

შემთხვევის განხილვა

სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ გენდერული ზეგავლენის შეფასება (UN WOMEN, ISET-PI, 2020)

ნაბიჯი 5. რეკომენდაციები „დანერგე მომავლის“ გენდერული თანასწორობის კუთხით გაუმჯობესებისთვის

გამოვლენილი გამოწვევების გათვალისწინებით, GIA-ის გუნდმა გადაწყვიტა, შეესწავლა პროგრამის ცვლილების ორი სცენარი და შეეფასებინა მათი გენდერული გავლენა სტატუს კვოსთან შედარებით.

- **ალტერნატივა 0 - სტატუს კვო: პროგრამის აგებულება არ იცვლება, შესაბამისად, მიმდინარე ტენდენციები ნარჩუნდება მომავალში**

ამ სცენარის მთავარი დაშვება არის ის, რომ RDA არ გამოიყენებს გენდერულად მგრძნობიარე მიდგომას, ქალისა და კაცის მონაწილეობის მაჩვენებელი განვითარდება არსებული ტენდენციის მიხედვით. შესაბამისად, მოცემულ ალტერნატივაში, პროგრამის გენდერის ტრანსფორმაციული პოტენციალი რჩება უცვლელი. პროგრამაში სტრუქტურული ცვლილებების გარეშე, მხოლოდ პროგრამის ინსტრუმენტების ისეთი მოდიფიკაციით, როგორიც, მაგალითად, მიწის ნაკვეთის მინიმალური დასაშვები ფართობის შემცირებაა, შესაძლოა, ქალთა მონაწილეობის დონე გაიზარდოს, თუმცა ნაკლებსავარაუდოა, რომ ქალებმა მოიპოვონ იმ დონის მხარდაჭერა, რომ გახდნენ სასოფლო განვითარების მნიშვნელოვანი მონაწილეები. ამით ინიციატივა დაკარგავს შესაძლებლობას, პოზიტიური გავლენა მოახდინოს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, პროგრამის საერთო პროდუქტიულობასა და თავად სოფლის მეურნეობის სექტორზე.

- **ალტერნატივა 1: გენდერულ ანალიზზე დაფუძნებული გენდერულად მგრძნობიარე კრიტერიუმების შემუშავება პროგრამა „დანერგე მომავლისთვის“ და გენდერული თანასწორობისა და ანალიზის შესახებ საჯარო დანერგვებებში ცნობიერების ამაღლება**

ალტერნატივა 1.1: ტრადიციული საოჯახო/საარსებო მეურნეობა: RDA-მ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ შეამციროს პროგრამაში მცირემიწიან ქალებსა და კაცებს შორის არსებული სხვაობა პროგრამაში მონაწილეობის კუთხით და, შესაბამისად, აირჩიოს ტრადიციული საოჯახო/საარსებო მეურნეობის მხარდაჭერა.

ალტერნატივა 1.2: ნარმოების კომერციალიზაცია: ამ ალტერნატივას ბევრად უფრო დიდი გავლენა ექნება პროგრამის იმ მიზნის შესრულებაში, რომელიც აქცენტს სექტორის კომერციალიზაციის მხარდაჭერასა და ამ გზით ეკონომიკურ ზრდაში სოფლის განვითარების წვლილის ზრდას ეხება.

შენიშვნა: ამ მეთოდოლოგიაში განხილული ყველა შემთხვევა წარმოადგენს გენდერის ზეგავლენის ანალიზის მცირე მაგალითს. მეტი ინფორმაციისა და დეტალებისათვის იხილეთ დოკუმენტის ორიგინალი ვერსია.

დასკვნა

GIA-ს ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგ სეგმენტებს:

ეტაპი I. გენდერული შესაბამისობის შეფასება

- ნაბიჯი 1. პოლიტიკის მიზნის განსაზღვრა
- ნაბიჯი 2. გენდერული შესაბამისობის შემოწმება

ეტაპი II. გენდერული ზეგავლენის შეფასება

- ნაბიჯი 3. სიღრმისეული გენდერული ანალიზის განხორციელება
 - ა) გენდერული სენსიტიურობის ანალიზი
 - ბ) გენდერული ზეგავლენის გაზომვა


ეტაპი III. გენდერის ხარისხის შეფასება

- ნაბიჯი 4. შედეგები და დასკვნები
- ნაბიჯი 5. შეთავაზებები გაუმჯობესებისათვის

2.2. GIA-ს დოკუმენტის ფორმატი

GIA-ს საბოლოო ანგარიშის უნივერსალური ფორმატი არ არსებობს. GIA-ს მოსამზადებლად საჭირო ზოგადი წესები, რომლებიც მის თითოეულ ანგარიშში აისახება, იქნება ეს შეფასების მსუბუქი ვერსია თუ სიღრმისეული შეფასება, მოცული

უნდა იყოს ქვემოთ ჩამოთვლილი ელემენტებით. მიუხედავად იმისა, ქვეყანა GIA-ს აირჩევს, როგორც ცალკე მდგომ შეფასებად თუ მის ინტეგრირებას მოახდენს ეკონომიკურ და/ან სოციალურ, ასევე გარემოსდაცვით შეფასებებში, ნებისმიერ შემთხვევაში ის სულ მცირე უნდა მოიცავდეს შემდეგს:



GIA-ს თითოეული სეგმენტის წერისას, განსაკუთრებული ყურადღება და ძალისხმევა უნდა დაეთმოს ქალებისა და კაცების, გოგონებისა და ბიჭების პერსპექტივებს და მათ შორის არსებულ ურთიერთკავშირებს. გარდა ამისა, თითოეული სეგმენტი უნდა განიხილებოდეს ქალებისა და კაცების, გოგონებისა და ბიჭების **მრავალფეროვანი პერსპექტივის** პერსპექტივად. ხშირად, გაუგებრობა იმაშია, რომ ზოგჯერ GIA აღიქმება ხოლმე მხოლოდ ქალებისა და გოგონების პერსპექტივები საჭიროებს აღსაწერ პროცესად, რაც არასწორია.

როდესაც განსხვავებები ქალებსა და კაცებს, გოგონებსა და ბიჭებს შორის კარგად არის გამოკვეთილი, გენდერული ანალიზი საინფორმაციო ინსტრუმენტი ხდება. ასევე მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორების მიხედვით განსხვავებული ქალებისა და კაცების ჯგუფების დაფარვა, როგორებიცაა ეთნიკური წარმომავლობა, სოციალური კლასი, სექსუალური ორიენტაცია და სხვა. ეს ხელს შეუწყობს გენდერულ ჯგუფებში პერსპექტივების მრავალფეროვნების შექმნას, გამოკვეთილი განსხვავებების მხარდამჭერი სქესის ჩაშლილი მონაცემებით.

პროექტის
განხორციელების პაღდები,
კონსულტაციები და
მონაცემთა შეგროვება

3.1. შეთავაზებული ვადები და რესურსები

გენდერის ზეგავლენის ანალიზის (GIA) განსახორციელებლად საჭირო დრო და რესურსები მორგებული უნდა იყოს მის მიზნებზე, ასევე შეფასების კონტექსტსა და მასშტაბზე. მაგალითად, თუ GIA-ს ჩართვა განხორციელდება პოლიტიკის ნარკვევში, ის შეიძლება უბრალოდ შემოიფარგლებოდეს სხვადასხვა გენდერული ჯგუფების განსხვავებული საჭიროებებისა და სავარაუდო შედეგების მოკლე ანალიზით. ხოლო, თუ GIA გამომწვეულია ფართომასშტაბიან პროექტში/პროგრამაში ჩასართავად, მაშინ აუცილებელი იქნება დამატებითი რესურსების მოზიდვება საჭირო მონაცემების შესაგროვებლად, სპეციფიკური კვლევის ჩასატარებლად და აღნიშნულ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩასართავად.

იდეალურ შემთხვევაში, GIA-ზე მუშაობა პროექტის/პროგრამის დაწყებისთანავე ან მის ძალიან ადრეულ ეტაპზე ხდება. რაც პროექტის საწყის ფაზაშივე უზრუნველყოფს პოლიტიკის შემქმნელების მიერ პროექტთან/პროგრამასთან დაკავშირებული პოტენციური გენდერული ზეგავლენის გააზრებას და შესაბამისი გეგმებისა თუ ბიუჯეტის შექმნას. თუმცა, ეს ჩვეულებრივ ასე არ ხდება. პოლიტიკის შემქმნელთა გენდერული მგრძნობელობის ნაკლებობამ შეიძლება გაართულოს GIA-ს პირველი, მაგრამ კრიტიკულად მნიშვნელოვანი ეტაპის, გენდერული შესაბამისობის შეფასების, განხორციელება, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ზრდის კვლევისთვის საჭირო დროსა და რესურსებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს GIA-ს საფუძვლიანად განხორციელებისთვის საჭირო დროსა და რესურსებზე არის გუნდის შემადგენლობა. იდეალურ შემთხვევაში, GIA-ს გუნდში უნდა შედიოდნენ ისეთი მრავალფეროვანი გამოცდილებისა და მახასიათებლების (ასაკი, სქესი და კულტურული იდენტობა) მქონე წევრები, რომლებსაც ფართო სპექტრის პროფესიული გამოცდილება ექნებათ.

3.2. კონსულტაცია დაინტერესებულ მხარეებთან

კონსულტაციის ძირითადი სარგებელი და კარგი კონსულტაციის ჩატარების ხელისშემშლელი ფაქტორები

დაინტერესებულ ჯგუფებთან და მხარეებთან კონსულტაციები GIA-ს პროცედურის განუყოფელი ნაწილია. პოლიტიკის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართვით და მათი მონაწილეობის უზრუნველყოფით, მათთან კონსულტაციების დროს მხედველობაში მიიღება სხვადასხვა მონაწილის პრიორიტეტები და საჭიროებები. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ, ერთობლივ გადაწყვეტილების მიღების პროცესს. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის ისეთი ჯგუფების პრიორიტეტებისა და საჭიროებების ასახვას პოლიტიკაში, პროგრამებსა და პროექტებში, რომლებიც, როგორც წესი, მარგინალიზებულნი არიან ან გამორიცხულნი არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესისგან.

დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციები იძლევა ღირებულ ინფორმაციას GIA-ს სხვადასხვა ეტაპზე, რადგან **პოლიტიკის ინტერვენციამ შესაძლოა, სხვადასხვა ზეგავლენა იქონიოს ქალებსა და კაცებზე.** ამიტომ, შეიძლება საჭირო გახდეს სპეციფიკური **პოლიტიკის ჩარევის ზეგავლენის განსაზღვრა სოციალურ ნორმებსა და ღირებულებებზე, ასევე ზემოქმედების ქვეშ მყოფი ჯგუფების რაციონალურობასა და სოციალურ ქცევაზე.**

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები აუშობესებს და ავსებს რაოდენობრივ ინფორმაციას თვისებრივი მიგნებებით, ქალებისა და კაცების განსხვავებული საჭიროებებისა თუ პრიორიტეტების იდენტიფიცირების და გენდერული ნორმების, როლებისა და ურთიერთობების შესახებ სიღრმისეული ცოდნის შეძენის გზით. რაც თავის მხრივ ხელს უწყობს გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრასა და ქალთა გაძლიერებას.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა უზრუნველყოფს გენდერულად სპეციფიკური საკითხების შესახებ სხვადასხვა შეხედულების, ღირებულებისა და მოსაზრების იდენტიფიცირებას. კონსულტაციები ასევე, იძლევა უფრო დეტალურ ინფორმაციას და მოსაზრებებს გენდერთან დაკავშირებული დაბრკოლებების შესახებ, რასაც შესაძლოა ქალები ხვდებოდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში. იგი აგრეთვე საშუალებას იძლევა დადგინდეს აღნიშნული დაბრკოლებების გადასაღებად საჭირო პოტენციური სტრატეგიები. გარდა ამისა, **დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებმა**

შესაძლოა, გააუმჯობესოს საჯარო პოლიტიკა და გადაწყვეტილებები ალტერნატიული მოგვარების გზებისა და სამომავლო პრიორიტეტების შემოთავაზებით, ასევე ისეთი საკითხების წინ წამოწევით, რომლებიც თავდაპირველად განხილული არ იყო.

სხვადასხვა გამოცდილების მქონე დაინტერესებულ მხარეთა ინტერაქციის შედეგად ხდება **გენდერის შესახებ ცნობიერების ამაღლება**, მას შემდეგ, რაც აღნიშნულ მხარეებთან კონსულტაციების მონაწილეებს შესაძლებლობა აქვთ ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება გენდერთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე.

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები ასევე უზრუნველყოფს გენდერის ზეგავლენის შეფასების პროცესის უფრო მეტ **გამჭვირვალობასა და არადისკრიმინაციულობას** პოლიტიკის შემქმნელებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის აქტიური ინტერაქციის გზით.

გარდა ამისა, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების პროცესში შესაძლოა **გამოვლინდეს და მოგვარდეს** კონკრეტული ჩარევის **ხელისშემშლელი ფაქტორები და არასასურველი ეფექტები** (მაგალითად, გენდერული უთანასწორობის გაფართოება).

დაბალი ხარისხის კონსულტაციების თავიდან ასაცილებლად და არასასურველი შედეგების რისკების შესამცირებლად, როგორცაა გენდერული უთანასწორობის გაზრდა, მიზანშეწონილია ყველა შესაძლო დაბრკოლების დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრა. ამის შესაძლო ხელისშემშლელი ფაქტორები (ზოგადი და გენდერის საკითხებთან დაკავშირებული კონსულტაციებისთვის დამახასიათებელი) წარმოდგენილია ქვემოთ.

კარგი კონსულტაციის ხელისშემშლელი ზოგადი ფაქტორები

- ისეთი წამყვანი დაინტერესებული მხარეების წინააღმდეგობა კონსულტაციების მიმართ, როგორებიც არიან სამინისტროები და ბიზნესის გავლენიანი წარმომადგენლები. ისინი ან უარს ამბობენ კონსულტაციებში მონაწილეობაზე ან მალავენ შესაბამის ინფორმაციას (მაგალითად, საინფორმაციო მონოპოლია);
- დროისა და საკმარისი რესურსების ნაკლებობა;
- დაუცველი/სახიფათო და რთულად მისაწვდომი ადგილმდებარეობის შერჩევა;
- დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციის პროცესის ცუდად ორგანიზება და მართვა.

გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული კარგი კონსულტაციის ხელისშემშლელი ფაქტორები

- გენდერული მგრძნობელობის ნაკლებობა ინტერვიუერებს შორის;
- ადგილობრივი ტრადიციებისა და კულტურის არცოდნა და მათ მიმართ მგრძნობელობის ნაკლებობა;
- დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებებისა და პრიორიტეტების გაუთვალისწინებლობა;
- დაინტერესებულ მხარეთა და კონსულტაციებში მონაწილე სხვა პირთა გენდერისა თუ ასაკის (ან სხვა თავისებურებების) გაუთვალისწინებლობა (ერთი და იმავე გენდერული ჯგუფის ინდივიდებსაც კი შეიძლება ჰქონდეთ ძალიან განსხვავებული გამოწვევები, შესაძლებლობები და სხვადასხვა მიდგომა/აღქმა გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება მათი ასაკიდან ან სხვა თავისებურებებიდან გამომდინარეობდეს);
- ინტერვიუერების შემადგენლობის გენდერული ბალანსის დაუცველობა.

დაინტერესებულ მხარეთა რუკა

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია ოთხ ნაბიჯს მოიცავს: დაგეგმვა, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია, უკუკავშირის გათვალისწინება და დოკუმენტირება.



დაგეგმვის ეტაპის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილებია:

- კონსულტაციების მიზნებისა და თემების განსაზღვრა;
- ძირითადი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება;
- გენდერისა და სხვა თავისებურებების ბალანსის დაცვის, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და გენდერულ საკითხებში ექსპერტთა ადეკვატური წარმომადგენლობის უზრუნველყოფა;
- ტრადიციულად მარგინალიზებული ჯგუფების ჩართულობის უზრუნველყოფა და მხარდაჭერა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რადგან შესაძლოა, მათ სრულიად განსხვავებული საჭიროებები და პრიორიტეტები ჰქონდეთ;
- კონსულტაციებისათვის საჭირო რესურსების გამოყოფა.

დაინტერესებული მხარეები შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

- ინდივიდები, ჯგუფები ან ორგანიზაციები, რომელთა ინტერესებსა და/ან საქმიანობებზე გავლენას ახდენს ინტერვენცია;
- ინდივიდები და/ან იურიდიული პირები, რომელთაც გენდერული ზეგავლენის შეფასების ფორმულირებისა და განხორციელებისთვის, აგრეთვე მასზე გავლენის მოხდენისთვის საჭირო ინფორმაცია, რესურსები და გამოცდილება გააჩნიათ;
- ინდივიდები და/ან იურიდიული პირები, რომლებიც უშუალოდ ჩართულნი არიან ინტერვენციის პროცესში.

დაინტერესებულ მხარეთა სია შესაძლოა გაიზარდოს ან შემცირდეს გენდერული ანალიზის მიმდინარეობის მიხედვით. დაინტერესებულ მხარეთა ინტერესისა და გავლენის მატრიცა დაინტერესებულ მხარეებს მათი ინტერესებისა და გავლენის დონის მიხედვით აჯგუფებს (დამოკიდებულია დაინტერესებულ მხარეებზე, ზოგჯერ მნიშვნელოვანია გენდერული დაყოფა),²³ რაც ხელს უწყობს კონსულტაციის პროცესში დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობისა და ჩართულობის მაღალი დონის უზრუნველყოფას და ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარის ჩართვას. გავლენაში ვგულისხმობთ გადაწყვეტილების მიღებაზე ზემოქმედების შესაძლებლობას, ხოლო ინტერესში კი კონსულტაციების მონაწილეობაზე კონკრეტული ინტერვენციის ან პოლიტიკის ზემოქმედების დონეს. თუ დაინტერესებული მხარე დიდი ზეგავლენის ქვეშაა, მაშინ ის მაღალი ინტერესის ჯგუფში კლასიფიცირდება. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული მხარე მცირე ან არაპირდაპირი ზეგავლენის ქვეშაა, მაშინ ის დაბალი ინტერესის ჯგუფში მოხვდება. მთავრობის წარმომადგენლები, მაგალითად, სამინისტროები და პარლამენტის წევრები, მიიჩნევიან მაღალი ზეგავლენის მქონე მხარედ, რადგან პრაქტიკაში ისინი გადაწყვეტილების მიმღები მთავარი პირები არიან. თუმცა, მათი ინტერესის დონე დამოკიდებულია ინტერვენციის/პროექტის სპეციფიკაზე. აგრეთვე, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის წარმომადგენელთა როგორც ინტერესის, ასევე გავლენის დონეები, როგორც წესი, დამოკიდებულია კონკრეტული ინტერვენციის/პროექტის სპეციფიკაზე.

გავლენა/ინტერესი	დაბალი გავლენა	მაღალი გავლენა
დაბალი ინტერესი		
მაღალი ინტერესი		

23 ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი მარგინალიზებული ჯგუფების ჩართვა, როგორებიცაა ეთნიკური უმცირესობები, ახალგაზრდობა ან სხვა ღარიბი, პრივილეგიანართმეული ჯგუფები.

ქვემოთ წარმოდგენილი დაინტერესებული მხარეების ინტერესისა და გავლენის მატრიცის მაგალითი აჩვენებს იმ პოტენციური დაინტერესებული მხარეების შეჯამებულ სიას, რომლებთან გასაუბრებაც უნდა მოხდეს დედობის დაცვის (N 183), საოჯახო პასუხისმგებლობების მქონე მუშაკებსა (N 156) და ოჯახში დასაქმების (N 189) შესახებ

ILO-ს კონვენციის მარეგულირებელი ზეგავლენის შესაფასებლად. ILO-ს კონვენციის განხორციელება მრავალი დაინტერესებული მხარის ჩართულობას მოითხოვს სხვადასხვა სექტორიდან: სამთავრობო თუ კერძო სექტორებიდან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

დაინტერესებულ მხარეთა ინტერესისა და გავლენის მატრიცის მაგალითი

გავლენა/ინტერესი	დაბალი გავლენა	მაღალი გავლენა
დაბალი ინტერესი	ექსპერტები გენდერულ საკითხებში შრომის ბაზრის ექსპერტები ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“	საქართველოს პარლამენტი: • სექტორული ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი • გენდერული თანასწორობის საბჭო
მაღალი ინტერესი	გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო საქართველოს ბიზნეს ასოციაცია საქართველოს სავაჭრო პალატა დასაქმების კერძო სააგენტოები	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შრომის ინსპექცია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტი: ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი პროფკავშირები დამსაქმებელთა ასოციაციები სახალხო დამცველი

დაინტერესებულ მხარეთა ტიპები და საჭირო რესურსები, ასევე ყველაზე შესაფერისი საკონსულტაციო ტექნიკა კონტექსტის გათვალისწინებით და კონსულტაციის მიზნების შესაბამისად უნდა განისაზღვროს. **დაინტერესებულ მხარეთა ეფექტიანი კონსულტაციისათვის** საჭიროა შემდეგი:

- ის უნდა ჩატარდეს კონკრეტული პოლიტიკის ან პროექტის ინტერვენციის დიზაინის შექმნის ფაზაში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით;
- ის შეიძლება ჩატარდეს ასევე, გენდერის ზეგავლენის შეფასების სხვა ეტაპებზეც (განხორ-

ციელების, მონიტორინგისა და შეფასების ფაზებზე);

- მან წინასწარ უნდა მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია ყველა დაინტერესებულ მხარეს (რათა მათ მისცეს ფიქრისა და საკუთარ მოსაზრებათა განვითარებისთვის საჭირო დრო);
- მან უნდა გაითვალისწინოს ისეთი საკითხები, როგორებიცაა სალაპარაკო ენა, სოციალური სტრუქტურა, ღირებულებები, ნორმები და სხვა.

უკუკავშირის გათვალისწინება იძლევა იმის გარანტიას, რომ სხვადასხვა მონაწილის შეხედულებ-

ბები, საჭიროებები და გენდერთან დაკავშირებული მოსაზრებები გათვალისწინებული იქნება გადანაცვ-ტილების მიღების პროცესში.

კონსულტაციის პროცესის **დოკუმენტირება** და ანგარიშგება უზრუნველყოფს დროთა განმავლო-ბაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას და ზრდის როგორც კონსულტაციების მონაწილეთა ნდობის მოპოვების შესაძლებლობას, ასევე მათ თავდაჯერებულობას. დაინტერესებულ მხარეთა თითოეული კონსულტაციის შემდეგ უნდა მომზადდეს წერილობითი ანგარიში. მოგვიანებით მსგავსი ანგარიშები გამოყენებული იქნება GIA-ს დოკუმენტის მომზადების პროცესში.

მეთოდები და არხები

ძირითადად კონსულტაციის ორი სახე არსებობს: აქტიური და პასიური. კონფერენციები, პანელები, ფოკუს-ჯგუფები, ინტერვიუები, სამუშაო შეხვედრები და გამოკითხვები მიჩნეულია, როგორც კონსულტაციის აქტიური ფორმები მაშინ როდესაც, დოკუმენტების უწყებებს შორის მიმოქცევა კომენტარებისთვის და საჯარო შეტყობინების გაცემა პასიურ ფორმებად ითვლება. კონსულტაციისათვის სათანადო ტექნიკის შერჩევა დამოკიდებულია ინტერვენციის მიზანსა და მნიშვნელოვნებაზე, პროცესის ვადებზე, დაინტერესებულ მხარეთა რაოდენობასა და ხელმისაწვდომ რესურსებზე.

ძირითადი რეკომენდაციები დაინტერესებულ მხარეთათვის GIA-ში კონსულტაციების ჩასატარებლად

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და მონაწილეობის წახალისება

GIA-ს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმის განსაზღვრა, თუ როგორ უნდა მოხდეს სხვადასხვა ქალი და კაცი დაინტერესებული მხარეების ჩართვა პროცესში. ჩართულობისთვის ქალი და კაცი დაინტერესებული მხარეების საჭიროებებისა და პრიორიტეტების დადგენა ხელს შეუწყობს მათი მონაწილეობის დონის გაზრდას.

კონსულტაციების პროცესში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად მრავალი სკოტის გათვალისწინებაა საჭირო. **გუნდის შემადგენლობის გენდერულად დაბალანსება და გენდერული მგრძნობელობა** ქალებისა და კაცების გენდერულად დაბალანსე-

ბული მონაწილეობის საწინდარია. გენდერულად მგრძნობიარე საკითხებზე მსჯელობისას საკუთარი მოსაზრების გამოსახატავად ქალებს წახალისება სჭირდებათ. მსგავს შემთხვევებში შეიძლება, უმჯობესი იყოს და უფრო კომფორტულიც ქალ ინტერვიუერთან/მოდერატორთან საუბარი. გარდა გუნდის შემადგენლობის გენდერულად დაბალანსების უზრუნველყოფისა, რეკომენდირებულია კონსულტაციების პროცესში, გენდერულად სენსიტიურ საკითხებზე მსჯელობისას ქალი მოდერატორების უფრო აქტიური ჩართვა ქალ მონაწილეებთან, ხოლო კაცი ინტერვიუერების თანამონაწილეობა კაცებთან მიმდინარე კონსულტაციების შემთხვევაში. მაგალითად, როდესაც ფოკუს-ჯგუფი ისეთი მგრძნობიარე თემის შესახებ ტარდება, როგორიცაა გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა, მნიშვნელოვანია ქალი და კაცი მოდერატორების ყოლა შესაბამისად ქალებისა და კაცების ჯგუფებში. ეს უზრუნველყოფს, რომ მონაწილეებმა თავი იგრძნონ კომფორტულად და თავისუფლად გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები საკუთარი რეპროდუქციული ქცევისა თუ სქესის შერჩევის მიმართ მათი დამოკიდებულებების შესახებ.

ადგილობრივი ტრადიციებისა და კულტურის ცოდნა და მათ მიმართ მგრძნობელობის გამოხატვა უზრუნველყოფს მონაწილეთა მაღალი დონის ჩართულობას. შესაძლებელია, კულტურული საკითხების გამო შერეულ ჯგუფებში ქალები უფრო ნაკლებად იყვნენ ჩართულები, ვიდრე კაცები. ამიტომ, შეიძლება საჭირო იყოს ქალებისა და კაცების ჯგუფებთან კონსულტაციების ცალ-ცალკე ჩატარება, რათა მოხდეს თითოეული მოსაზრების აღბეჭდვა და კონსულტაციებიდან უკეთესი ხარისხის ინფორმაციის მიღება.

პრაქტიკული და ლოჯისტიკური ღონისძიებები წინასწარ უნდა განხორციელდეს, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ მხარეებს ხელი მიუწვდებოდეთ შესაფერის ადგილმდებარეობაზე. დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრის ადგილმდებარეობა უნდა იყოს მონაწილეებისათვის **ადვილად ხელმისაწვდომი და უსაფრთხო** (ნეიტრალური ტერიტორია). შესაფერისი ადგილის შერჩევა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მას გავლენა არ უნდა ჰქონდეს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგებზე. მაგალითად, მშობლებთან კონსულტაციების ჩასატარებლად სკოლის ან საბავშვო ბაღის შერჩევა კარგი გადანაცვტილება იქნება, რადგან მშობლებისა-

თვის იგი ადვილად ხელმისაწვდომია, ამასთანავე იქ არსებული გარემოც მათთვის უსაფრთხო და კარგად ნაცნობია. ქალების მაღალი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, უაღრესად მნიშვნელოვანია ბავშვზე ზრუნვის საშუალებებისა და მათთვის განკუთვნილი სივრცის მოწყობა/გამოყოფა. თუ შესაძლებელია, სასურველია მონაწილეთა ტრან-პორტირების უზრუნველყოფა.

აქტიური ფასილიტაცია და მონაწილეობის წამახალისებელი სავარჯიშოები ხელს შეუწყობს სპეციფიკური საკითხების განსაზღვრას, ასევე უზრუნველყოფს ქალებისა და კაცების განსხვავებული ჯგუფების ჩართულობას. მსგავსი სავარჯიშოები ითვალისწინებს სპეციფიკური თემების განხილვას ერთ სქესობრივ ჯგუფში ან, ალტერნატიულად, ფართო საზოგადოებრივი საკითხების განხილვას მცირე სამუშაო ჯგუფებში (მაგალითად, ქალები, ახალგაზრდები/ხანდაზმულები, მიგრანტები).

კონსულტაციების დროს უნდა განისაზღვროს ქალებისთვის **მთავარი პრიორიტეტული** საკითხები და მოხდეს მათზე მსჯელობა. უფრო მეტიც, უზრუნველყოფილი უნდა იყოს **სხვადასხვა ასაკობრივი, სოციალური, ეთნიკური, ეკონომიკური, კულტურული, საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა ჯგუფებიდან ქალების თანაბარი წარმომადგენლობა**. ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებთან დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციების ჩატარებისას შეიძლება საჭირო გახდეს სინქრონული თარგმანის გამოყენება ან კონსულტაციები ჩატარდეს მათ მშობლიურ ენაზე, რათა გამოირიცხოს ენობრივი ბარიერი და შეიქმნას კომფორტული გარემო.

შეკითხვები GIA-ში დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებისთვის

იმისათვის, რომ დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციები ეფექტიანი იყოს, საკონსულტაციო შეკითხვების მომზადებისას უნდა მოხდეს შემდეგი საკითხების გათვალისწინება: კვლევის მიზნები, ქალ და კაც მონაწილეთა შორის გენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე არსებული ცნობიერების დონე, მონაწილეთა წიგნიერების დონე, დრო და ლოჯისტიკური შეზღუდვები.

ამ შეკითხვების დასმა შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს მონაწილეობის, რესურსებზე²⁴ ხელმისაწვდომობის, ნორმების, ღირებულებებისა და უფლებების²⁵ თვასაზრისით არსებული გენდერული უთანასწორობის, ასევე, დაინტერესებულ მხარეთა თითოეულ ჯგუფსა და გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკის ინტერვენციის პოტენციური ზეგავლენის შეფასებისათვის.

- რა პრობლემების მოგვარებას ისახავს მიზნად პოლიტიკის ინტერვენცია?
- რა არის ამ პრობლემის ძირითადი გამომწვევი მიზეზები?
- რა არის ამ პრობლემის ძირითადი შედეგები?
- გაქვთ თუ არა იმის მოლოდინი, რომ ეს ინტერვენცია დააკმაყოფილებს როგორც ქალების, ასევე კაცების საჭიროებებს?
- ითვალისწინებს თუ არა ინტერვენცია ქალებისა და კაცების განსხვავებულ ინტერესებს, რო-ლებსა და პოზიციებს?
- როგორ ფიქრობთ, როგორ შეიძლება გაძლიერდეს წვლილი ქალებისა და კაცების საჭიროებებში?
- როგორი არის ბიუჯეტის გადანაწილება ქა-ლებსა და კაცებს შორის? შეიცვლება თუ არა ეს პოლიტიკის ინტერვენციის შედეგად? შეიცვლებოდა თუ არა ინტერვენციის გარეშე? თუ დიახ, როგორ?
- რა მოლოდინი გაქვთ იმის შესახებ თუ როგორ განვითარდება შრომის განაწილების ორგანიზება აღნიშნული პოლიტიკის ჩარევით ან ჩარევის გარეშე?
- გაზრდის თუ არა პოლიტიკის ინტერვენცია იმის შესაძლებლობას, რომ ქალებს უფრო მეტად მიუწვდებოდეთ ხელი იმ სექტორებზე, სადაც ისინი ნაკლებად არიან წარმოდგენილნი?
- როგორ არის გადანაწილებული ანაზღაურებადი და არაანაზღაურებადი სამუშაო ქალებსა და კაცებს შორის? რას ფიქრობთ, როგორ განვი-თარდება იგი პოლიტიკის ჩარევით თუ ჩარევის გარეშე?
- როგორია ქალების ჩართულობის დონე გადა-წყვეტილების მიღების პროცესში და რას ფიქ-რობთ, როგორ განვითარდება ეს პოლიტიკის ჩარევით თუ მის გარეშე?
- თქვენი აზრით, როგორ განვითარდება ქა-ლების წინააღმდეგ მიმართული გენდერზე

24 დასაქმების შესაძლებლობების, ფინანსური რესურსების, ძალაუფლების, ჯანმრთელობის, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ცოდნის, განათლების, მობილობის, დროის და სხვა რესურსების ჩათვლით.

25 სამოქალაქო, სოციალური და პოლიტიკური უფლებების ჩათვლით.

დაფუძნებული ძალადობა პოლიტიკის ჩარევით თუ მის გარეშე?

- რას ფიქრობთ, როგორ განვითარდება გენდერული სტერეოტიპები და როლები პოლიტიკის ჩარევით თუ ჩარევის გარეშე?
- რას ფიქრობთ, როგორ განვითარდება გენდერული თანასწორობა აღნიშნული პოლიტიკის ინტერვენციის გარეშე?
- როგორ შეუწყობს ხელს პოლიტიკის ინტერვენცია გენდერულ თანასწორობას?
- სავარაუდოდ, რა გამოწვევებმა შეიძლება შეუშალოს ხელი პოლიტიკის განხორციელებას?

გენდერის ჭრილში ჩაშლილი მონაცემების მნიშვნელოვნება - მაგალითები

ა) პელეციმ და ჰანნამ (2019) აჩვენეს, რომ 25-44 წლის ქალები, რომლებსაც ინდური აქტის ქვეშ მყოფთა სტატუსი ჰქონდათ, 5-ჯერ მეტად იყვნენ გენდერული ძალადობის მსხვერპლნი, ვიდრე ამავე ასაკის სხვა ქალები და კანადის მოქალაქეობის მქონე ქალები (აქ მონაცემები ჩაშლილია გენდერის, სტატუსისა და ასაკის მიხედვით). კანადაში აბორიგენმა ქალებმა აბორიგენი კაცების საშუალო მაჩვენებლის მხოლოდ 75% გამოიმუშავეს.

ბ) ადელაიდის ქალთა ოფისი და უნივერსიტეტი (2005) გვანვდის საინტერესო მაგალითს, რომელიც ხაზს უსვამს გენდერის ჭრილში ჩაშლილი მონაცემების მნიშვნელობას სკოლის დამთავრებაზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორების შესწავლისას. კვლევის თანახმად, თინეიჯერობაში ორსულობის ზეგავლენა სკოლის დამთავრების მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად დიდია ახალგაზრდა ქალებში და მინიმალურია ახალგაზრდა კაცების შემთხვევაში. უფრო მეტიც, გენდერის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების გარეშე შეუძლებელი იქნება სხვადასხვა სტრატეგიების შესაძლო შედეგების ანალიზი და შესაბამისი პოლიტიკის დაგეგმვა, რაც ეფექტიანი იქნება ორივე გენდერისათვის და ხელს შეუწყობს გენდერთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრას.

3.3. მონაცემთა შეგროვება

საერთო ჯამში GIA-ს ხარისხი დამოკიდებულია მონაცემების ხელმისაწვდომობაზე. ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მონაცემთა შეგროვებასთან დაკავშირებულ ისეთ ღონისძიებებს, როგორებიცაა: აუცილებელი მონაცემების განსაზღვრა, მონაცემთა შეგროვების სათანადო ტექნიკების გამოყენება, ზოგადი, ასევე გენდერის თუ სხვა მახასიათებლების მიხედვით ჩაშლილი მონაცემების შეგროვება (სპეციფიკური რეგულაციების ან პროგრამების გენდერული ზეგავლენის შეფასება, ჩვეულებრივ, საჭიროებს სპეციფიკურ მონაცემებს), წყაროებისა და მონაცემების სანდოობის უზრუნველყოფა.

გენდერულად ჩაშლილი ინფორმაცია საშუალებას აძლევს გენდერის მკვლევრებს, გააანალიზონ გენდერული თანასწორობის მრავალი ასპექტი და ხელი შეუწყონ პრობლემის არსის უკეთ გაგებას. მარცხნივ მოცემული ტექსტი გვაჩვენებს მსგავს მონაცემთა ჩაშლის მაგალითებს და ხაზს უსვამს მათ მნიშვნელოვნებას.

მონაცემთა შეგროვების პროცესი იწყება სასურველი და ხელმისაწვდომი მონაცემების განსაზღვრით, რაც, როგორც წესი, GIA-ს შემუშავების პროცესში სხვადასხვა ეტაპზე ხორციელდება (პრობლემათა განსაზღვრის ეტაპზე,²⁶ სტატუს კვოს შემთხვევაში არსებული ტენდენციების შეფასების ეტაპზე, რეგულაციის ან პროგრამის ზეგავლენის შეფასებისას,²⁷ ღირებულებების/ფასებისა და სარგებლის დათვლისას [თუ ეს შესაძლებელია], ამოქმედებული რეგულაციის შეფასებისა და მონიტორინგის დროს²⁸). ამიტომ, საწყის ეტაპზე GIA-ს ანგარიშზე მომუშავე გუნდმა უნდა განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები (Marušić & Radulović, 2011):

- ჩაატაროს არსებული მეორეული მონაცემების ამომწურავი კვლევა;
- შეისწავლოს არსებობს თუ არა ისეთი მონიტორინგის სისტემა, რომელიც განხორციელებისა და შეფასების პროცესების ზედამხედველობის საშუალებას იძლევა;
- მოახდინოს საჭირო მონაცემების მომწოდებელი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაცია;

26 მონაცემები ადასტურებს ან უარყოფს პრობლემის არსებობას და ინტერვენციის საჭიროებას.

27 იმ ინდიკატორთა შერჩევა, რომლებიც სტატუს კვოსა და რეგულაციის/პროგრამის განხორციელების შემდგომი

მდგომარეობის შედარების საშუალებას იძლევა.

28 იმ ინდიკატორთა შერჩევა, რომლებიც ხელს უწყობენ მონიტორინგისა და ზედამხედველობის უწყვეტად განხორციელებას.

- განსაზღვროს არასაკმარის მონაცემთა შესავსებად საჭირო მონაცემთა შეგროვების ტექნიკები (პირველადი მონაცემების შეგროვების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება საჭირო ინფორმაციის ტიპისა და რაოდენობის, დეტალებისა და სიზუსტის დონეების მიხედვით);
- განსაზღვროს მონაცემთა ხარისხის მისაღები დონე;
- ნათლად განსაზღვროს ის დაშვებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მონაცემთა სიმცირის პირობებში წარმოშობილი ჩავარდნების შევსებას.

იმის გათვალისწინებით, რომ მონაცემთა შეგროვება საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს, GIA-ს მკვლევარებმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიწყონ მასზე მუშაობა. საჭირო მონაცემების მოძიება შეიძლება მოხდეს სამინისტროებში/მარეგულირებელ ორგანოებში, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი მონაცემის მოპოვება (სხვაგვარად რომ ვთქვათ, მონაცემების დანაკლისის შევსება) შესაძლებელია მოხდეს უშუალოდ სამიზნე პოპულაციისგან (ინდივიდები, კომპანიები, სამთავრობო უწყებები, სამოქალაქო საზოგადოებები და სხვა). პირველადი მონაცემების შეგროვების ტექნიკა (კონსულტაციებისა და გამოკითხვების ჩათვლით) მეტ დროსა და რესურსს მოითხოვს. აქედან გამომდინარე, სათანადო გეგმის ქონა ხელს შეუწყობს მონაცემთა უფრო სწრაფად და ეფექტიანად შეგროვებას ნაკლები ფინანსური რესურსით. დაგეგმვის საწყისი ეტაპის შემდეგ უნდა დაიწყოს უშუალოდ მონაცემთა შეგროვების პროცესი (Marušić & Radulović, 2011; WECF, 2018).

მონაცემთა შეგროვების მეთოდები

ინტერვენციის გენდერული ზეგავლენის შეფასების არსებითი წინაპირობაა გენდერის მიხედვით ჩაშლილ მონაცემებზე წვდომა. საერთოდ, მონაცემთა შეგროვების ორი ტექნიკა არსებობს: მონაცემთა შეგროვება მეორეული (არსებული ინფორმაცია) და პირველადი (ახლად მოპოვებული ინფორმაცია) მონაცემების წყაროებიდან. შემდგომი დროისა და რესურსების გამო, შეფასებლებმა რაც შეიძლება მეტი მეორეული მონაცემი უნდა გამოიყენონ. თუმცა, მეორეული მონაცემების წყარო იშვიათად იძლევა ყველა საჭირო ინფორმაციას. ამიტომ, საჭირო ხდება ინფორმაციის (კონკრეტული, დეტალური, ჩაშლილი ინფორმაცია არსებულ როლებზე, ღირე-

ბულებზე, საჭიროებებსა და პრობლემებზე, რომელთა დათვლა ძალიან რთულია) მოპოვება პირველადი მონაცემების შეგროვების ტექნიკის გამოყენებით. აქედან გამომდინარე, მონაცემთა შეგროვებისათვის გამოყენებული მეთოდების ნაირსახეობა დამოკიდებულია საჭირო ინფორმაციის რაოდენობაზე, სირთულეზე, ასევე დეტალებისა (მონაცემების ჩაშლა არამხოლოდ გენდერის მიხედვით) და სიზუსტის დონეზე.

ა) მეორეული მონაცემების შეგროვება

სამაგიდო კვლევა (ლიტერატურისა და არსებული მონაცემთა ბაზების კვლევა). სამაგიდო კვლევა მიჩნეულია მეორეული მონაცემების (აღრე შეგროვებული ინფორმაცია) შეგროვების პირველ ნაბიჯად. როგორც წესი, ეს პროცესი მოიცავს კვლევის თემასთან დაკავშირებული უკვე არსებული მონაცემების, პოლიტიკის ანგარიშების, კვლევითი ნაშრომებისა და დოკუმენტების შეგროვებას, განხილვასა და ანალიზს. ეს მეთოდი განსაკუთრებით გამოსადეგია სტატუს კვოს ანალიზისათვის საჭირო წინარე/ისტორიული ინფორმაციის შესაგროვებლად. გენდერული ზეგავლენის შეფასებისას სამაგიდო კვლევა იძლევა საბაზისო ცოდნას გენდერული თანასწორობისა და კონტექსტის შესახებ, გენდერული ზეგავლენის შემდგომი ანალიზისათვის (WECF, 2018).

სამაგიდო კვლევის ჩატარების რამდენიმე გზა არსებობს (WECF, 2018):

- **ლიტერატურის მიმოხილვა.** გენდერის ზეგავლენის შეფასების საკვლევ თემაზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვა (პუბლიკაციები, ბიზნესანგარიშები და სხვა) ხელს უწყობს თემის წინასწარ გააზრებას თეორიულ და ემპირიულ დონეზე, აფასებს სტატუს კვოს, შეისწავლის კვლევის სფეროში არსებულ ინფორმაციას, დაადგენს კვლევის ყველაზე ხელსაყრელ მეთოდოლოგიას და ტექნიკას, მოახდენს ამ კონკრეტული თემის ექსპერტების იდენტიფიკაციას (შესაძლებელია, მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად უფრო ხელსაყრელი და გამოსადეგი იყოს ინტერვიუებისა და დისკუსიების ჩატარება), თავიდან აიცილებს ორმაგ ძალისხმევას და დაათმავებს სხვა მკვლევარების შრომას. ლიტერატურის მიმოხილვა უნდა ეფუძნებოდეს მრავალ სანდო წყაროს.
- **ხელმისაწვდომი მონაცემების განხილვა.** გენდერის ზეგავლენის შეფასება, ჩვეულებრივ,

ეყრდნობა ეროვნული სტატისტიკის სამსახურების, სამთავრობო უწყებებისა და კვლევითი ინსტიტუტების მიერ მოწოდებულ მონაცემებს (აღწერის ანგარიშები, სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები, საჯარო და კერძო ინსტიტუტების მიერ ჩატარებული გამოკითხვები). მკვლევრებმა დაგეგმვის პროცესში უნდა გაითვალისწინონ, რომ ხშირად სახელმწიფო სტატისტიკის ოფისებიდან და თუნდაც, კერძო სექტორიდან მონაცემთა მოპოვებას რაღაც გარკვეული დრო სჭირდება (მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს სულ მცირე ერთი კვირა სჭირდება ინფორმაციის ელექტრონულად გაზიარებისათვის²⁹). კვლევა უნდა ეფუძნებოდეს სარწმუნო წყაროებს და იდეალურ შემთხვევაში უნდა მოიცავდეს გენდერის მიხედვით ჩაშლილ მონაცემებს (სასურველია, მონაცემები ჩაშლილი იყოს სქესისა და სხვა თავისებურებების მიხედვით). გენდერის ზეგავლენის შეფასება შეიძლება ეფუძნებოდეს მიკრო და/ან მაკრო დონის მონაცემებს (მაგალითად, მიკრო დონის მონაცემები არის შინამეურნეობის გენდერული შემადგენლობა [ფირმის/ამხანაგობის, ინდივიდუალური და შინამეურნეობის დონის მონაცემები] მაშინ, როდესაც მაკრო დონის მონაცემები არის ქალთა უმუშევრობის დონე [რეგიონალური და ქვეყნის დონის მო-

ნაცემები]). მკვლევრებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ გამოკითხვების შედეგად მიღებული მონაცემების სარწმუნოებაზე/სანდობაზე (მაგალითად, ყურადღება უნდა მიაქციონ შერჩევითი ერთობლიობის ბომას, შეცდომის ზღვარს, შერჩევის მეთოდს, გეოგრაფიულ მდებარეობას, სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების განზოგადების შესაძლებლობას და სხვა).

- **პოლიტიკის ანალიზი.** სამაგიდო კვლევა ასევე უნდა მოიცავდეს არსებული სამართლებრივი/საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზს (მაგალითად, ძირითადი კანონი, პროცედურათა გაერთიანებული წესები და სხვა), სამთავრობო პოლიტიკის ზომებს, საჯარო და კერძო პროგრამებს. ამგვარი ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკანონმდებლო აქტების, პოლიტიკისა და პროგრამების გენდერული ზეგავლენის შეფასებისთვის (მაგალითად, ის ხელს უწყობს ქალებისა და კაცების მდგომარეობის ანალიზს კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანამდე და ამ ცვლილების შემდეგ).

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს გენდერის ზეგავლენის შეფასებაზე მომუშავე მკვლევრებისთვის სასარგებლო მეორეული მონაცემების ტიპებს და წყაროებს:

29 ზოგჯერ მოთხოვნილი მონაცემების მოწოდება უფრო ადრე ხდება.

მეორეული ინფორმაციის ტიპები	მონაცემთა წყარო	დოკუმენტები
დემოგრაფიული ინფორმაცია	• სტატისტიკის ეროვნული სამსახურები; • რეგიონული მონაცემთა ბაზები.	• მოსახლეობის აღწერის ანგარიშები.
საცხოვრებელი, შინამეურნეობა და ოჯახური მდგომარეობა	• სტატისტიკის ეროვნული სამსახურები.	• მოსახლეობის აღწერის ანგარიშები; • ოჯახის წევრთა გამოკითხვები; • დროისა და განაწილების შესახებ კვლევის ანგარიშები.
ეკონომიკური მდგომარეობა	• სტატისტიკის ეროვნული სამსახურები.	• სიღარიბის დონის შეფასების ანგარიში; • ანგარიში ქალთა მდგომარეობის შესახებ.
დასაქმება	• სტატისტიკის ეროვნული სამსახურები.	• მოსახლეობის აღწერის ანგარიშები; • დასაქმების წყაროების შესახებ გამოკითხვის ანგარიშები.
განათლება და წიგნიერების დონე	• სტატისტიკის ეროვნული სამსახურები; • საერთაშორისო წყაროები (მაგ. UNESCO-ს მონაცემთა ბაზა, მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა, UNICEF-ის მონაცემთა ბაზა).	• მოსახლეობის აღწერის ანგარიშები; • ოჯახის წევრთა გამოკითხვის ანგარიშები.
ეთნიკური და კულტურული მოდელები	• საზოგადოებრივი და სოციალური განვითარების დეპარტამენტები/სამმართველოები; • უმაღლესი განათლების ინსტიტუტები.	• მოსახლეობის ანგარიში საზოგადოების განვითარების შესახებ; • სპეციალური კვლევის ანგარიშები.
ჯანმრთელობის მდგომარეობა	• სტატისტიკის ეროვნული სამსახურები; • დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი.	• მოსახლეობის აღწერის ანგარიშები; • კვარტალური სტატისტიკური ანგარიშები; • ჯანდაცვის სექტორის ანგარიშები.
კომუნიკაციები	• საჯარო კომუნალური დეპარტამენტები/სააგენტოები.	• მრეწველობის ანგარიშები.
სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურები	• მთავრობის საინფორმაციო განყოფილებები/სამმართველოები; • უმაღლესი განათლების ინსტიტუტები.	• სამმართველოს ანგარიშები; • კვლევის ანგარიშები.
გენდერის, განვითარებისა და ბუნებრივი კატასტროფების მართვის პოლიტიკის სამუშაო ჩარჩო	• კატასტროფების მართვის სააგენტოები; • ქალთა და გენდერის დეპარტამენტები; • საზოგადოებრივი და სოციალური განვითარების სააგენტოები.	• პოლიტიკის დოკუმენტები; • კანონმდებლობა; • სახელმძღვანელოები; • გადაუდებელ/საგანგებო მდგომარეობათა კანონმდებლობა; • იურიდიული სახელმძღვანელოები.

კატასტროფების ზეგავლენა	• მედია ორგანიზაციები/ ახალი ამბების სააგენტოები; • კატასტროფების მართვის სააგენტოები; • არასამთავრობო ორგანიზაციები (NGOs); • ინტერნეტ წყაროები.	• კატასტროფებთან დაკავშირებული სიტუაციური ანგარიშები; • სტატიები ახალ ამბებზე; • ვებ-გვერდები; • საავადმყოფოების სამედიცინო ჩანაწერები; • ცხელი ხაზების ჩანაწერები.
გენდერის ჩაშლილი მონაცემების ბაზები და გენდერული ინდიკატორები	• ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD): ○ სოციალური ინსტიტუციები და გენდერის ინდექსი (SIGI) (http://www.genderindex.org/); ○ გენდერული, ინსტიტუციური და განვითარების მონაცემთა ბაზა (https://stats.oecd.org/Index.aspx?QueryId=87277); • მსოფლიო ბანკი (WB): გენდერის მონაცემთა ბაზა (http://data.worldbank.org/topic/gender); • შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „სტატისტიკის შემგროვებელი“: დემოგრაფიული და ჯანმრთელობის კვლევა: (DHS) (http://www.statcompiler.com/fr/); • მსოფლიო ღირებულებათა კვლევა (WVS) (http://www.worldvaluessurvey.org/wvs.jsp); • გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP): გენდერული განვითარების ინდექსი (GDI) (http://hdr.undp.org/en/content/gender-development-index-gdi); • გლობალური მენარმეობის მონიტორინგი (GEM): ანგარიში ქალთა მენარმეობის შესახებ (https://www.gemconsortium.org/report/gem-20202021-global-report); • ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ეკონომიკური კომისია (ECLAC): გენდერული სტატისტიკა (http://www.cepal.org/en/topics/gender-statistics); • გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE): გენდერული სტატისტიკის მონაცემთა ბაზა (http://www.unece.org/fileadmin/DAM/stats/gender/database.htm); • გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO): ○ სტატისტიკის ინსტიტუტი (http://uis.unesco.org/); ○ ქალები სამეცნიერო მონაცემებში (http://uis.unesco.org/apps/visualisations/women-in-science/); • გაერო (UN): ქალთა და გენდერული თანასწორობის კვლევის სახელმძღვანელო (http://libraryresources.unog.ch/c.php?g=462669&p=3162803); • ქალთა სტატისტიკის (WomenStat) პროექტი (http://www.womanstats.org/); • ევროსტატი³⁰: განათლება, შრომის ბაზარი, ბავშვზე ზრუნვა, ჯანდაცვა, ანაზღაურებაში გენდერული უთანასწორობა და სხვა სტატისტიკა (http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Main_Page); • აზიის განვითარების ბანკი (Asian Development Bank - ADB): სამხრეთ კავკასიის, ასევე ცენტრალური და დასავლეთი აზიის გენდერთან დაკავშირებული სტატისტიკა (https://www.adb.org/publications/gender-statistics-southern-caucasus-and-central-and-west-asiasituational-analysis); • გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი (European Institute for Gender Equality - EIGE): რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევაზე დაფუძნებული გენდერული სტატისტიკა (გენდერული თანასწორობის ინდექსი) (http://eige.europa.eu/content/activities/gender-equality-index).	

წყარო: WECF 2018, ავტორთა მოსაზრებები

30 ევროსტატი ძირითადად მოიცავს ევროკავშირის წევრი ქვეყნების სტატისტიკას, მაგრამ ის ასევე გვანჯდის ინ-

ფორმაციას ქვეყნების გაფართოებული ჯგუფის შესახებ.

ბ) პირველადი მონაცემების შეგროვება

ნაკლებად სავარაუდოა, რომ მეორეულმა მონაცემებმა საკმარისად დეტალური ინფორმაცია მოგვცეს გენდერული როლების, ხალხის საჭიროებების, ღირებულებათა სისტემებისა და გენდერთან დაკავშირებული პრობლემების (უფრო თვისებრივი ხასიათის ცნებების) შესახებ. უფრო მეტიც, იდეალურ შემთხვევაში გენდერის ზეგავლენის შეფასება მხოლოდ გენდერის ნიშნით ჩაშლილ მონაცემებს კი არ უნდა ეყრდნობოდეს, არამედ ასევე (როცა შესაძლებელია) უნდა მოიცავდეს ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, ოჯახის ხელმძღვანელობის, დასაქმებისა და სხვა თავისებურებების სტატისტიკას, გენდერის ზეგავლენისა და სხვადასხვა ქვეჯგუფში მისი ცვალებადობის უკეთ გააზრებისა თუ ძიებისათვის. შედეგად, როგორც წესი, მეორეული მონაცემების შეგროვების ხარვეზების შევსება პირველადი მონაცემების შეგროვების ტექნიკით ხდება, რომელიც შესაძლოა, საჭიროებს ინტენსიურ ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს, მაგრამ არსებული სიტუაციისა და ინტერვენციის პოტენციური ზეგავლენის უფრო სიღრმისეული გააზრების საშუალებას იძლევა. პირველადი მონაცემების შეგროვების პროცესი, ჩვეულებრივ, მოიცავს ტექნიკათა კომბინაციას, რაც დამოკიდებულია კვლევის სპეციფიკაზე: დისკუსიები ფოკუს-ჯგუფებში, დაინტერესებულ მხარეებთან სიღრმისეული ინტერვიუები, რესურსების რუკები, მონაწილეებზე დაკვირვება და ზოგჯერ, რაოდენობრივი გამოკითხვებიც კი (Marušić & Radulović, 2011; CRS, 2013; WECF, 2018).

პირველადი მონაცემების შეგროვება ძირითადად სამი გზით არის შესაძლებელი:

- 1) **ფოკუს-ჯგუფებში მუშაობა** ხორციელდება მონაწილეთა გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. ფოკუს-ჯგუფი უნდა შედგებოდეს 8-12 მონაწილისაგან (დამოკიდებულია კვლევის მიზანზე) და ცალ-ცალკე უნდა ჩატარდეს³¹ განსხვავებული დაინტერესებული მხარეებისათვის (მაგალითად, პროგრამის/პროექტის პირდაპირი ბენეფიციარებისთვის, კვლევის სფეროში გამოცდილების მქონე ადგილობრივი ექსპერტებისთვის და სხვა). უნდა აღინიშნოს, რომ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ საუბრის, ინფორ-

მაციისა და გამოცდილების გაზიარების სურვილი. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ფოკუს-ჯგუფები უნდა მოიცავდეს ან მხოლოდ ქალების ან მხოლოდ კაცების ანდა შერეულ ჯგუფებს. ფოკუს-ჯგუფების დისკუსია შეიძლება იყოს მეტ-ნაკლებად რთული და ხანგრძლივი. ის ხელს უწყობს გენდერთან დაკავშირებული საკითხების შესახებ უფრო სრულყოფილი სურათის შექმნას. WECF (2018) გვანვდის ფოკუს-ჯგუფის დისკუსიების რამდენიმე გამოსადეგ ტექნიკას (სავარჯიშოებს):

- ა) **ფოკუს-ჯგუფის ზოგადი დისკუსია.** ზოგადად, ფოკუს-ჯგუფის დისკუსია მოიცავს მსგავსი გამოცდილებისა და/ან ისტორიის მქონე ადამიანთა ჯგუფის შეკრებას, რათა მოიპოვონ ინფორმაცია მათი შეხედულებებისა და გამოცდილების შესახებ კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით (მაგალითად, როგორიცაა გენდერული დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმები, სხვადასხვა რეგულაციისა და პროგრამების გენდერული ზეგავლენა). როგორც წესი, ფოკუს-ჯგუფები მოიაზრებს დინამიკურ, ღია დისკუსიას წინასწარ განსაზღვრულ თემაზე და უფრო მეტიც, მკვლევრებს აწვდიან დამატებით ინფორმაციას მონაწილეთა სხეულის ენაზე დაკვირვებითა და სტიმულირებული აქტივობებით. ფოკუს-ჯგუფის დისკუსია, ჩვეულებრივ, მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს: (1) რესპონდენტების სათანადო ტიპების განსაზღვრა, მათი საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება და მათი დაპატიჟება ფოკუს-ჯგუფის დისკუსიაზე, (2) მოდერატორისა და სავსელე გუნდის შერჩევა, (3) ფასილიტატორის სახელმძღვანელოს შემუშავება და პასუხების ჩაწერის ფორმატის მოფიქრება, (4) სავსელე გუნდის დატრენინგება (ფასილიტატორის ჩათვლით) და ინსტრუმენტების პრეტესტის ჩატარება/გამოცდა, (5) ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის ჩატარება, და (6) ტრანსკრიპტების მომზადება, (7) მიღებული პასუხების ანალიზი და ინტერპრეტაცია. ძალიან მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ფოკუს-ჯგუფის დისკუსიიდან მიღებული ინფორმაციის ხარისხი დამოკიდებულია მოდერატორის/

31 დაინტერესებულ მხარეთა ეს ჯგუფები არ უნდა აგვირიოს იმავე ფოკუს-ჯგუფში.

ფასილიტატორის ლიდერობისა და კომუნიკაციის უნარებზე. გუნდმა, რომელიც მუშაობს ფოკუს-ჯგუფის დისკუსიაზე უნდა გაითვალისწინოს შემდეგი რჩევები (HERD, 2016):

- ფოკუს-ჯგუფის მსვლელობისას არასოდეს დასვათ წამყვანი შეკითხვები³² (რათა მონაწილეებს არ მიანიშნოთ თუ რა პასუხის მიღებას ელოდებით მათგან);
- მოერიდეთ „კი ან არა“ შეკითხვებს, რადგან მსგავსი შეკითხვები არ ახდენს შემდგომი დისკუსიის სტიმულირებას;
- მოერიდეთ ორმაგ შეკითხვებს,³³ რადგან, როგორც წესი, მონაწილეები თავს არიდებენ ერთდროულად ორ შეკითხვაზე პასუხის გაცემას;
- არასოდეს უთხრათ ხალხს, რომ ისინი ცდებიან და ყოველთვის წაახალისეთ მონაწილეთა წვლილი;
- არასოდეს გამოხატოთ საკუთარი მოსაზრება საკითხის შესახებ, რათა თავიდან აიცილოთ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებზე ზეწოლა;
- არასოდეს გადადოთ დისკუსია რაიმე კონკრეტულ საკითხზე - არასოდეს თქვათ: „ამას მოგვიანებით განვიხილავთ“;
- არასოდეს დააძალოთ მორიდებულ ადამიანებს ლაპარაკი;
- კვლევის გამოქვეყნების შემდეგ არასოდეს ილაპარაკოთ ფოკუს-ჯგუფისა და მისი მონაწილეების შესახებ;
- ყოველთვის ჩაიცვით და მოიქცით მონაწილეთა მსგავსად;
- ყოველთვის წინასწარ დაგეგმეთ თქვენი შეკითხვები და საერთოდ, მთლიანი პროცესი (რათა ის უფრო ეფექტიანი გახადოთ);
- ყოველთვის წაახალისეთ მონაწილეები, უფრო მეტი ისაუბრონ თემის შესახებ, როდესაც ისინი რაიმე ისეთ

საკითხს ახსენებენ, რომელიც თქვენ პირველად გესმით;

- ყოველთვის შეეცადეთ ერთი მონაწილის მიერ დაყენებულ საკითხზე სხვა მონაწილეთა მოსაზრებებიც მოისმინოთ;
- გამუდმებით აუხსენით და შეახსენეთ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს, რომ ეს დისკუსია კონფიდენციალურია;
- ყოველთვის გადაუხადეთ მადლობა ხალხს მათ მიერ შეტანილი წვლილისათვის და ყოველთვის პატივი ეცით მათმიერ დაყენებულ საკითხებს;
- მზად იყავით შეკითხვების თანმიმდევრობის შესაცვლელად, თუ მონაწილეები ისეთ საკითხებს წამოიწვევენ, რომლებიც თქვენს მიერ მოგვიანებით დასასმელ შეკითხვებს უფრო შეესაბამება.

ეს რეკომენდაციები დაეხმარება გენდერის ექსპერტებს, რომ დისკუსიების შედეგად რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღონ ფოკუს-ჯგუფებისგან და უზრუნველყონ შეგროვებული მასალის მაღალი ხარისხი (HERD, 2016).

ბ) ჩემი ოცნების სახლი. ეს ტექნიკა შეიძლება გამოსადეგი იყოს საზოგადოებაში გენდერული საჭიროებების შესწავლისას. ამ მეთოდის მიხედვით ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები (დაყოფილი ქალებისა და კაცების ჯგუფებად) ფიქრობენ, როგორი შეიძლება იყოს მათი „ოცნების სახლი“ და მას ადარებენ საკუთარ რეალურ სახლს/ოჯახურ მდგომარეობას. ამ პროცესმა შეიძლება ხელი შეუწყოს იმ საჭიროებათა და სურვილების იდენტიფიცირებას, რომელთა დაკმაყოფილებასაც მონაწილეები აუცილებლად თვლიან სასურველი მდგომარეობის მისაღწევად (WECF, 2017, გვ. 43).

გ) ქალად ყოფნის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ეს მეთოდი აჩვენებს ქა-

32 წამყვანი შეკითხვა ან დამაფიქრებელი დაკითხვა არის შეკითხვა, რომელიც იმგვარად ფორმულირებული, რომ თვითონ გვთავაზობს პასუხს (წყარო: <https://www.colinsdictionary.com/dictionary/english/leading-question>). მაგალითად, „დასაქმებულთა უმრავლესობას სძულს დღეში 10 საათზე მეტ ხანს მუშაობა... რას იტყობთ ამის შესახებ?“ (Bhat, 2019).

33 ორმაგი შეკითხვა, არის შეკითხვა, რომელიც ერთდროულად შეეხება ორ ან მეტ საკითხს ან თემას, მაგრამ მოითხოვს მხოლოდ ერთ პასუხს. მაგალითად, „რა სიხშირით დადიხართ ექიმთან და რამდენ დროს ხარჯავთ თითოეულ ვიზიტზე?“ (წყარო: Survey Anyplace).

ლად ყოფნის დადებით და უარყოფით მხარეებს. აღნიშნული სავარჯიშო ძირითადად ქალებთან ტარდება, მაგრამ მისი გავრცელება შესაძლებელია კაცებთანაც. ამ ტექნიკის გამოყენებისას ქალები და კაცები ცალ-ცალკე ჯგუფად იყოფიან. მათ უნდა ჩამოთვალონ და შემდეგ დაახარისხონ ქალად ან კაცად ყოფნის დადებითი და უარყოფითი მხარეები და სხვა მონაწილეებთან ერთად იმსჯელონ საკუთარი მოსაზრებების შესახებ. ეს პროცესი ხელს უწყობს გენდერული ურთიერთობებისა და გენდერული დისკრიმინაციის გავრცელების სათანადო დონეზე გააზრებას. (IFAD, 2002, გვ. 22).

დ) დღიური განრიგი. ეს მეთოდი საშუალებას აძლევს გენდერის მკვლევრებს, შეიძინონ პრაქტიკული ცოდნა შინამეურნეობაში შრომის განაწილებაზე, ასევე საზოგადოებაში გენდერულ როლებზე, რაც ოჯახში ქალებისა და კაცების სამუშაოს მოცულობის შესწავლას გულისხმობს. კვლევის ფარგლებში ქალები და კაცები ცალ-ცალკე ჯგუფებს ქმნიან და ფოკუს-ჯგუფის ფასილიტატორი მათ სთხოვს, რომ საქმიანობების დეტალური განრიგის შედგენით წერილობითი ფორმით აღწერონ ერთი ჩვეულებრივი დღე და თითოეულ საქმიანობას მიუწერონ შესრულებისათვის საჭირო შესამაბისი დრო (ყოველდღიური საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს ნებისმიერ აქტივობას: სამსახურის საქმეს, ვინმეზე ზრუნვას, მოვლას, დასვენებას და სხვა). მკვლევრებმა მხედველობაში უნდა მიიღონ მონაწილეთა მხრიდან ერთდროულად რამდენიმე საქმის გაკეთების შესაძლებლობა და სეზონურობა (ამ პრობლემასთან გასამკლავებლად ფასილიტატორი, როგორც წესი, მონაწილეებს სეზონური კალენდარის შედგენას სთხოვს). ზოგჯერ ორგანიზატორები ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს (რომლებიც დაყოფილი არიან მცირე ჯგუფებად, რომლებიც სასურველია შედგებოდეს ერთი და იმავე სქესის ადამიანებისაგან) სთხოვენ, დაწერონ ოჯახის ყველა წევრის საქმიანობათა 24 საათიანი დეტალური განრიგი და დააჯგუფონ შემდეგ კატეგორიებად: პროდუქციული საქმეები, რეპროდუქციული საქმეები და საზოგადოებრივი მხარდაჭერის

საქმიანობები (IFAD, 2002, გვ. 7; Khosla, 2008, გვ. 51; WECF, 2017, გვ. 43).

ე) რესურსების რუკა. ამ ტექნიკის მთავარი მიზანია ქალებისა და კაცების რესურსებზე წვდომისა და მათი კონტროლის უკეთ გააზრება (რესურსების თავდაპირველი განთავსება და განაწილება). ცალ-ცალკე ჯგუფებში განთავსებულ ქალებსა და კაცებს სთხოვენ დახატონ თვითნაირი სამეზობლოს რუკა არსებული რესურსებით: ინფრასტრუქტურა, სასოფლო სამეურნეო მიწები, მალაზიები, ბაზრები, წყლის რესურსები, ჯანდაცვის კლინიკები, ეკლესიები და ა.შ. ამის შემდეგ მონაწილეებმა უნდა აღწერონ მათ მიერ დახატული რუკები და აირჩიონ ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი. მოსალოდნელია, რომ ქალები და კაცები სხვადასხვა რესურსს გამოარჩევენ (FAO, 1999, sect. 6.2.1; WECF, 2017, გვ. 46).

ვ) დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი. ეს ტექნიკა საშუალებას იძლევა, მოხდეს ორგანიზაციების, ინსტიტუტების ან საზოგადოებრივად აქტიური ადამიანების იდენტიფიკაცია და შეფასდეს რამდენად არიან ისინი დაკავშირებული მომსახურების მიწოდებასთან, თანამშრომლობასთან, ინფორმაციის გავრცელებასთან და ა.შ. ტექნიკა ასევე ხელს უწყობს საზოგადოებრივ საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გენდერული განსხვავებების დადგენას. ფასილიტატორებმა უნდა შექმნან ცალ-ცალკე ჯგუფები ქალი და კაცი მონაწილეებისათვის და შემდეგ მათ უნდა სთხოვონ, დახატონ ვენის დიაგრამა, სადაც შუაში მოთავსებული ფართო წრე საზოგადოებას (ან ინდივიდს) გამოხატავს, ხოლო სხვა წრეები დაინტერესებულ მხარეებს ასახავენ (წრის ზომა აჩვენებს დაინტერესებულ მხარეთა მნიშვნელოვნებას, დისტანცია კი ხაზს უსვამს თანამშრომლობის ხარისხს. წრეების ურთიერთგადაფარვა აჩვენებს ახლო კონტაქტს, ხოლო ერთმანეთისაგან დაშორებული წრეები გამოხატავს თანამშრომლობის დეფიციტს). მონაწილეებმა ასევე უნდა მონიშნონ მხოლოდ ქალებით ან კაცებით დაკომპლექტებული ინსტიტუციები/

ჯგუფები (მაგალითად, ქალთა ან კაცთა კლუბები) (WECF, 2017, გვ. 49).

8) გენდერული დისკრიმინაციის შესახებ პირადი ისტორიებისა და გამოცდილებების გაზიარება. ამ მეთოდის მიზანია, წახალისოს მონაწილეები გააზიარონ გენდერული დისკრიმინაციის შესახებ საკუთარი გამოცდილება (პირადი ისტორიები) და ისაუბრონ ამ გამოცდილებასთან დაკავშირებულ განცდებსა და გრძნობებზე. მცირე ჯგუფებად დაყოფილმა მონაწილეებმა ინდივიდუალურად უნდა დაწერონ გენდერულ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკუთარი გამოცდილება (პასუხი უნდა გასცენ კონკრეტულ შეკითხვებს შემდეგ საკითხებზე, რომელიც უკავშირდება: დისკრიმინაციას, ამაზე პასუხისმგებელ ადამიან(ებ)ს, საკუთარ განცდებს და დისკრიმინაციაზე რეაქციას). შემდეგ უნდა წარადგინონ საკუთარი პასუხები (ხშირად გამოიყენება ე.წ. „დისკრიმინაციული ბორბლის“ ფორმა³⁴) და ბოლოს, ისაუბრონ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე (CARE, 2014, გვ. 200).

2) ფოკუს-ჯგუფის ჩატარებისას წახალისებული დისკუსიისაგან განსხვავებით, დაინტერესებულ მხარეებთან სიღრმისეული ინტერვიუ - პირისპირ ან ონლაინ ან სატელეფონო საუბარს გულისხმობს (როგორც წესი, ტარდება ინდივიდუალურად ან მსგავსი გამოცდილებისა

და წარსულის მქონე ექსპერტთა თუ სხვა დაინტერესებულ მხარეთა [პირდაპირი ბენეფიციარების ჩათვლით] მცირე ჯგუფებთან), რომლის მიზანია, შეაგროვოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია კვლევის ძირითად საკითხზე. სიღრმისეული ინტერვიუს ძირითად უპირატესობად შემდგომი/განმეორებითი შეკითხვების დასმისა და შეკითხვების დაზუსტების შესაძლებლობა ითვლება, რაც ხელს უწყობს პრობლემის სიღრმისეულ გააზრებას. სიღრმისეული ინტერვიუსაგან მოსალოდნელია მაღალი ღირებულების მქონე კვლევის შედეგების მიღება. თუმცა, იგი ძალიან დიდ დროს მოითხოვს (საჭიროა მისი ორგანიზება, ჩატარება, ტრანსკრიპტის მომზადება, ანალიზი და ანგარიშის დაწერა) და შესაბამისად, უფრო ძვირი ჯდება მეორეული მონაცემების წყაროების ანალიზთან შედარებით. მაღალი ხარისხის ინფორმაციის მისაღებად სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარება მოითხოვს პროცესში დიდი გამოცდილებისა და შესაბამისი უნარების მქონე ინტერვიუერების ჩართვას და შეცდომების თავიდან ასაცილებლად მკვლევრები სიფრთხილით უნდა მოევიდნონ მონაწილეების შერჩევას. ზოგჯერ სიღრმისეული ინტერვიუ ისეთ საკითხებს წამოსწევს წინა პლანზე, რომლებიც კვლევის გუნდის მიერ წინასწარ არ იყო განხილული. ინტერვიუები ხანდახან გამოსადეგია ასევე მეორეული მონაცემების მისაღებადაც (ძირითადად, იმ პასუხისმგებელი პირებისგან, ვინც ახორციელებს მონაცემების შეგროვებას და/ან პროგრამების მონიტორინგსა და შეფასებას).³⁵

34 „დისკრიმინაციის ბორბალი“ გულისხმობს შემდეგი თანმიმდევრობის მქონე დისკუსიას: (1) დისკრიმინაციის ფორმა (მაგალითად, იძულებითი ქორწინება, პოლიციელად გახდომის უფლების არ მიცემა და ა.შ.), (2) ვინ იყო დისკრიმინაციაზე პასუხისმგებელი (მამა, დედა, ქმარი, მეზობელი, მთავრობის ოფიციალური პირი და ა.შ.), (3) დისკრიმინაციის მსხვერპლი პიროვნების გრძნობები და განცდები (დამცირება, ტკივილი, ბრაზი და სხვა.) და (4) დისკრიმინაციის მსხვერპლი პირის

საპასუხო რეაქცია (ბრძოლა, შერიგება, გაქცევა, და სხვა.).

35 უფრო მეტი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: კოლსონ შტებერი - „ჩაღრმავებული ინტერვიუები: მონაცემთა შეგროვება, უპირატესობები და ნაკლოვანებები“, 2017 (<https://www.cfrinc.net/cfrblog/in-depth-interviewing>). კოლსონ შტებერის სხვა პოსტების სანახავად გთხოვთ ეწვიოთ შემდეგ ვებ-გვერდს: <https://www.cfrinc.net/cfrblog/author/colson-steber>

	სიღრმისეული ინტერვიუს სამი ფაზის აღწერა
მომზადება (სტირდება 2-3 კვირა)	(ა) ინტერვიუერთა და თარჯიმანთა (თუ საჭიროა) შერჩევა და მომზადება; (ბ) ინდიკატორების კატეგორიზაცია პრიორიტეტების მიხედვით – მოინიშნეთ თითოეული ინდიკატორი და შეარჩიეთ მათ შორის ყველაზე შესაბამისები, რომლებზეც გააკეთებთ აქცენტს ინტერვიუს ჩატარებისას (იმის მიხედვით, თუ რა მონაცემები/ინფორმაცია არის საჭირო); (გ) ინტერვიუს სახელმძღვანელოს შემუშავება (ჩვეულებრივ, ბევრი რამის სწავლა ხდება პირველ ინტერვიუზე და შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ცვლილებების შეტანა ინტერვიუს სახელმძღვანელოში); (დ) რესპონდენტთა იდენტიფიკაცია, მათთან დაკავშირება (რესპონდენტთა შესარჩევი კრიტერიუმების შემუშავება და მათი საკონტაქტო ინფორმაციის მოპოვება) და ინტერვიუს განრიგის შედგენა.
საველე კვლევა (სტირდება 1 კვირა)	(ა) სახელმძღვანელო პრინციპების დადგენა და მათი ზედმიწევნით დაცვა; (ბ) სათანადო შესავლის გაკეთება, მონაწილეთა ანონიმურობის უზრუნველყოფა (თუნდაც საჭირო გახდეს ფორმალური შეთანხმების გაფორმება) და რესპონდენტების მიერ დასმული შეკითხვების წახალისება; (გ) მთავარი კონცეფციების განსაზღვრა და კონტექსტისთვის დამახასიათებელ საკითხებზე მსჯელობა; (დ) საცდელი შეკითხვების გამოყენება რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად (კითხვები პრობლემათა საფუძვლების დასაზუსტებლად) და დამატებითი შეკითხვების ჩამოყალიბება; (ე) ინფორმაციის ჩაწერა და ჩანაწერების წარმოება შემდგომი ანალიზისათვის (შეიძლება საჭირო გახდეს აღნიშნულ პროცესში თარჯიმნის ჩართვა: მოსამზადებელ, ინტერვიუს ჩატარებისა და შედეგების ანალიზის/ანგარიშგების ეტაპებზე).
ანალიზი და ანგარიშგება (სტირდება 1-2 კვირა)	(ა) თითოეული ინტერვიუს მოკლე შეჯამება (ციტატების ჩათვლით რესპონდენტის პასუხების სულისკვეთების უკეთ გადმოსაცემად. ასევე, ძალზედ გამოსადეგია ინტერვიუს სრულად ჩაწერა); (ბ) მოპოვებული ინფორმაციის ანგარიშად/კვლევად გარდაქმნა ძირითადი საკითხების გამოკვეთით, კონკრეტულ შემთხვევათა განხილვებითა და მტკიცებულებათა მიმოხილვის მომზადებით (რეკომენდირებულია ისეთი პროგრამული პაკეტების გამოყენება, როგორებიცაა N-Vivo,³⁶ Hypersearch,³⁷ NUD*ist³⁸ და სხვა, მონაცემთა შეგროვებისა და დახარისხებისათვის, ასევე საზოგადოების მიერ ინფორმაციის უფრო ადვილად აღსაქმელად); (გ) თვისებრივი მონაცემების გადაყვანა რიცხვებში, სადაც ეს შესაძლებელია (ნარატივის სახით არსებული მონაცემების გაანალიზის შემდეგ) და უფრო ამომწურავი ანგარიშის/კვლევის მომზადება (გენდერის ზეგავლენის შეფასება).³⁹

36 N-Vivo - <https://www.qsrinternational.com/nvivo-qualitative-data-analysis-software/buy-now>.

37 Hypersearch - <https://awesomeopensource.com/project/kevinzakka/hypersearch>.

არარიცხოვრივი, არასტრუქტურირებული მონაცემების ინდექსირება, კვლევა და თეორიზაცია (NUD.ist): <http://www.nursing-informatics.com/qsr1.html>.

38 მეტი ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია OECD-ის “მოკლე პრაქტიკული სახელმძღვანელო: სწრაფი თვისებრივი შეფასება, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შედეგების გასააზრებლად საჭირო ინსტრუმენტი”, 2016 (https://www.enterprise-development.org/wp-content/uploads/WEE-Rapid-Qualitative-Assessment-Practitioner-Tools-Brief_Formatted.pdf).

[tent/uploads/WEE-Rapid-Qualitative-Assessment-Practitioner-Tools-Brief_Formatted.pdf](https://www.enterprise-development.org/wp-content/uploads/WEE-Rapid-Qualitative-Assessment-Practitioner-Tools-Brief_Formatted.pdf)

39 მეტი ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია OECD-ის “მოკლე პრაქტიკული სახელმძღვანელო: სწრაფი თვისებრივი შეფასება, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შედეგების გასააზრებლად საჭირო ინსტრუმენტი”, 2016 (https://www.enterprise-development.org/wp-content/uploads/WEE-Rapid-Qualitative-Assessment-Practitioner-Tools-Brief_Formatted.pdf) და Imp-Act-ის პრაქტიკული შენიშვნები - „კლიენტების მოსაზრებების გაგება სიღრმისეული ინტერვიუს მეშვეობით“, 2004 (https://sptf.info/images/pn2_quip.pdf).

კვლევის გუნდმა ასევე უნდა გაითვალისწინოს სავარაუდო ენობრივი ბარიერები, განსაკუთრებით მიგრანტებთან, დევნილებთან და/ან ეთნიკურ უმცირესობებთან მუშაობისას (ეს რეკომენდაცია რელიევანტურია პირველადი მონაცემების შეგროვების ნებისმიერი ტექნიკის გამოყენებისას).⁴⁰ მკვლევრებს ასევე აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ სიდრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებს დაურიგონ მოკლე კითხვარები კონცეფციების შესახებ ექსპერტებისაგან, ინსტიტუტებისა და ინდივიდებისაგან უფრო მეტი, რაოდენობრივი (ამავდროულად დათვლადი) მონაცემების შეგროვების მიზნით (მაგრამ ფრთხილად უნდა იყვნენ შედეგების ინტერპრეტირებისას შერჩევითი ერთობლიობის მცირე და არანარმომადგენლობითი ზომის გამო).

3) მონაცემთა შეგროვების **გამოკითხვების** მეტოდს შეუძლია როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი ინფორმაციის მონოდება. შედეგად, გამოკითხვები ძირითადად გამოიყენება არასაკმარისი მონაცემების პრობლემის მოსაგვარებლად, მეორეული მონაცემების წყაროების ამოწურვისა და პირველადი მონაცემების შეგროვების სხვა ტექნიკების გამოყენების შემდეგ. აღნიშნულ მეთოდს წვლილი შეაქვს ვითარების უკეთ გაგებასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ანალიზში. ტექნიკურად, გამოკითხვის ჩატარება შესაძლებელია როგორც პირისპირ (რაც, შესაბამისად, უფრო ძვირია და მეტ დროს მოითხოვს), ასევე დისტანციურად, ტელეფონის საშუალებით, ელექტრონული ფოსტის ან სოციალური მედიის გამოყენებით. ზოგადად, გამოკითხვის ჩატარება შედეგაშემდეგი ფაზებისაგან (Shelley, 2001 გვ. 5; WECF, 2018):

- i) **პრობლემის განსაზღვრა** – სამიზნე მოსახლეობის იდენტიფიცირება და გასაზომი ცვლადების დადგენა;
- ii) **მონაცემთა შეგროვებისათვის საჭირო სპეციფიკური ტექნიკის განსაზღვრა** – მაგალითად, პირისპირ ინტერვიუ, სატელეფონო გამოკითხვა, ელექტრონული ფოსტის ან საფოსტო ყუთების მეშვეობით კითხვარის გაგზავნა და გამოკითხვები

ვებ-გვერდებზე. მონაცემთა შეგროვების ტექნიკის შერჩევისას, პრაქტიკოსებმა უნდა გაითვალისწინონ კვლევის მიზანშეწონილობა, დრო და ღირებულება;

iii) **შერჩევითი ერთობლიობის იდენტიფიკაციის გეგმისა და მისი ზომის განსაზღვრა** – შერჩევითი ერთობლიობის განსაზღვრის სათანადო მეთოდის შერჩევა, მაგალითად, შემთხვევითი შერჩევა, სტრატეფიცირებული შერჩევა, სისტემური შერჩევა და ა.შ. (Sincero, 2012; Foley, 2018). გარდა ამისა, პრაქტიკოსებმა იმდენივე ქალი უნდა ჩართონ შერჩევით ერთობლიობაში, რამდენიც კაცი, რათა შეაგროვონ სქესის მიხედვით ჩამოილი მონაცემები. მათ ასევე უნდა უზრუნველყონ შერჩევით ერთობლიობაში იმ ხალხის ჩართვა, ვისაც აუცილებელი ინფორმაციის მოსაწოდებლად საკმარისი ცოდნა გააჩნია.

iv) **კითხვარის შემუშავება** – ხდება შემდეგი გზით: (ა) იმის გადამწყვეტა, თუ რომელი შეკითხვები უნდა შევიდეს კითხვარში (კითხვარი უნდა იყოს ამომწურავი და ფარავდეს კვლევისთვის საჭირო ყველა მნიშვნელოვან საკითხს, მაგრამ პრაქტიკოსებმა წინასწარ უნდა მოიფიქრონ, როგორ მოხდება თვისებრივი ინფორმაციის რაოდენობრივად გარდაქმნა, შესაბამისად მათ არჩევანი უნდა გააკეთონ ღია და დახურულ შეკითხვებს შორის); (ბ) უნდა მოხდეს კითხვარისათვის შესაბამისი კითხვების ფორმულირების ხერხის შერჩევა (პრაქტიკოსებმა თავი უნდა აარიდონ პოტენციურ შეცდომებს (Shelley, 2001),⁴¹ კითხვების რთული ფორმულირების შერჩევას, ძალიან გრძელ შეკითხვებს, პოლიტიკურ ენას და ისეთ შეკითხვებს, რომლებიც უკვე თავის თავში მოიცავენ პასუხებს რესპონდენტებისათვის); (გ) უნდა მოხდეს შეკითხვების დალაგება ლოგიკური/აზრიანი თანმიმდევრობით; (დ) უნდა მოხდეს კითხვარის წინასწარი გამოცდა (შეამოწმეთ, ძალიან დიდი დრო ხომ არ სჭირდება მონაწილეთა მიერ კითხვარის

40 უფრო მეტი ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია ესპოსიტოსა და დაატის (2019) ნაშრომში - ევროსაბჭოს პროგრამის „ახალგაზრდები დემოკრატიისათვის“ გენდერის ზეგავლენის შეფასება. გვერდი 43 (<https://rm.coe.int/gender-impact-assessment-youth-for-democracy/168098008d>).

41 გამოკითხვის მეთოდით ჩატარებულ კვლევაში არსებობს შეცდომათა დაშვების შემდეგი წყაროები: (i) ინტერვიუერის ეფექტები; (ii) რესპონდენტის ეფექტები; (iii) სიტუაციური ეფექტები; და (iv) გამოკითხვის ინსტრუმენტების პრობლემები (Shelley, 2001).

შევსებას) და გამოყენებაზე კითხვარი რამდენჯერმე უნდა წაიკითხოს პროექტზე მომუშავე გუნდის წევრებმა (რათა თავიდან აიცილოთ ბეჭდვითი და სხვა შეცდომები).

- v) **მონაცემთა რედაქტირება, დამუშავება და ანალიზი** – ეს ფაზა მოიცავს მონაცემების გასუფთავებას, მის სტატისტიკური/ეკონომეტრიკული პროგრამებისათვის წაკითხვად ცვლადად გარდაქმნას, შეცდომათა მინიმუმამდე დაყვანას და ამის შემდეგ აღწერითი სტატისტიკის ანალიზს სტატისტიკური პროგრამების საშუალებით (მაგალითად, SPSS,⁴² Stata,⁴³ და სხვა) და სხვადასხვა სტატისტიკური თუ ეკონომეტრიკული მოდელების გამოყენებით (ANOVA,⁴⁴ ANCOVA,⁴⁵ SEM,⁴⁶ და რეგრესიის სხვა მოდელებით), რათა შესაძლებელი გახდეს სტატისტიკური ინფორმაციის უფრო სიღრმისეული გაგება, შედეგებისა და დასკვნების უკეთ მომზადება და ბოლოს, ძირითადი შედეგების შეჯამების დაწერა.

შერჩევითი ერთობლიობის გამოკითხვის უპირატესობებია: (1) შედარებით სანდო მონაცემების მიღება, (2) მონაცემთა დამუშავების შესაძლებლობა; ამავე დროს გამოკითხვის ნაკლოვანებებია: (1) შედარებით მაღალი ღირებულება და განსახორციელებლად საჭირო დიდი დრო, (2) არ იძლევა არანაირ ინფორმაციას კითხვარზე მომუშავე გუნდის მიერ წინასწარ გაუთვალისწინებელი საკითხების შესახებ (Shelley, 2001; WECF, 2018; Marušić & Radulović, 2011).

მონაცემთა შეგროვების სხვა ტექნიკა არის **ეკონომიკური და/ან მონაცემთა მოდელირება, რომელიც იყენებს დიდ მონაცემებს** (Big Data) (UN Women, 2018): (1) ადამიანის მიერ შექმნილი წყაროებიდან მიღებული მონაცემები: სოციალური მედია, ბლოგები, ვლოგები, ინტერნეტ-ფორუმები,

ვიკიპედია, ინტერნეტ-ძიება, ელექტრონული ფოსტა ან SMS-ები; (2) **დანადგარებით გენერირებული მონაცემები**: გზების სენსორების მონაცემები, სმარტმეტრების ელექტროენერგიის მონაცემები, სკანერის მონაცემები, სატელიტის გამოსახულებებზე დაფუძნებული მონაცემები, საგზაო მოძრაობის კვანძების ვებკამერების მონაცემები, ხომალდების იდენტიფიცირება, ფიზიკური ობიექტების ქსელი (Internet of Things (IOT)); (3) **ხალხის წყაროებზე დაფუძნებული მონაცემები** (Crowdsourcing Data): მოქალაქეებისაგან გენერირებული მონაცემები, სურათების შეგროვება, მოხალისეობრივი გეოგრაფიული ინფორმაცია (Volunteered Geographical Information (VGI)); (4) **გადამუშავებით მიღებული მონაცემები**: ჯანმრთელობის ჩანაწერები, მობილური ტელეფონების მონაცემები, საკრედიტო ბარათების მონაცემები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების მონაცემები, სამუშაო განაცხადების ჩანაწერები, ჩიპების საიდენტიფიკაციო მონაცემები, ელექტრონული მმართველობის მონაცემები; (5) **მედია საშუალებების/წყაროების მონაცემები**: სატელევიზიო ან რადიო გადაცემების მონაცემები, პოდკასტების მონაცემები, ელექტრონული ჟურნალები (ეს მონაცემები, ძირითადად, ჩაშლილია გენდერის მიხედვით) და/ან საჭირო ინფორმაციის მიღებისათვის გამოყენებული **სხვა მექანიზმირებული სწავლის სისტემები** (ტრენინგი მრავლობითი მონაცემების წყაროების შესახებ [მაგალითად, გუგლის სურათების ძიების შედეგები] უფრო ზუსტი ინფორმაციის მისაღებად) (Pew Research Center, 2019); (6) სხვა ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორებიცაა **ეთნოგრაფია**⁴⁷ (ტრადიციების, ჩვევების, ხალხებისა და კულტურების ორმხრივი განსხვავებების სამეცნიერო აღწერა), **ნარატიული და აღწერილობითი თვისებრივი მიდგომები** და **ექსპერიმენტების** გამოყენება ხალხის ქცევის შესასწავლად: (ა) კარგად კონტროლირებულ გარემოში ჩატარებული **ლაბორატორიული ექსპე-**

42 სოციალურ მეცნიერებათა სტატისტიკური ნაკრები (SPSS) - <https://www.ibm.com/products/spss-statistics>

43 Stata - <https://www.stata.com/>

44 ვარიაციული ანალიზი (ANOVA) - <https://www.statisticshowto.datasciencecentral.com/probability-and-statistics/hypothesis-testing/anova/>.

45 კოვარიაციული ანალიზი (ANCOVA) - <https://www.statisticshowto.datasciencecentral.com/anova/>.

46 საშუალო მაჩვენებლის სტანდარტული შეცდომა (SEM) - <https://www.investopedia.com/ask/answers/042415/>

[what-difference-between-standard-error-means-and-standard-deviation.asp](https://www.investopedia.com/ask/answers/042415/what-difference-between-standard-error-means-and-standard-deviation.asp)

47 ეთნოგრაფიული კვლევების გენდერულ კვლევებში გამოყენების მაგალითები შეგიძლიათ იხილოთ ჯორჯთონის უნივერსიტეტის რეპროდუქციული ჯანმრთელობის ინსტიტუტში (Institute for Reproductive Health, Georgetown University (IRH) "პროექტი გენდერული როლების, თანასწორობისა და ტრანსფორმაციის (GREAT) ეთნოგრაფიული კვლევის შედეგები", 2012. უგანდა (http://irh.org/wp-content/uploads/2013/04/GREAT_EthnographicResearchFindings_11812.pdf).

რიმენტები; (ბ) ბუნებრივ გარემოში (ველზე) განხორციელებული **საველე ექსპერიმენტები** — ამ შემთხვევებში მონაცემთა შემგროვებლებს არ შეუძლიათ, სრულად გააკონტროლონ (მათ შეუძლიათ მხოლოდ ნაწილობრივი კონტროლი) თუნდაც სულ მცირე გარე ფაქტორის ზემოქმედება მიმდებარე გარემოდან; (გ) **ბუნებრივი ექსპერიმენტები**, სადაც მონაცემთა შემგროვებლებს არავითარი კონტროლი არ აქვთ დამოუკიდებელ ცვლადებზე (საშუალებას აძლევენ დამოუკიდებელი ცვლადების ბუნებრივ ცვლილებას) (Belyh, 2017).

გენდერის ზეგავლენის შეფასებისას, მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისათვის, შეიძლება გამოვიყენოთ როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი ანალიზის ტექნიკა. სათანადო მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია კვლევის საგანზე, კვლევის ვადებზე, რესურსებზე წვდომასა და კვლევის სხვა თავისებურებებზე. ზოგადად, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების ერთმანეთთან შედარება, კვლევის ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, შემდეგ მიგნებებს იძლევა (Mander, 2014; Robinson, 2014; Research Evolution Consulting, 2016; Spanache & Havas, 2017):

თვისებრივი ტექნიკა:	რაოდენობრივი ტექნიკა:
• ითვალისწინებს კვლევის თავისებურებებს და ერგება სხვადასხვა საკვლევ თემას; • ახასიათებს სუბიექტურობის მაღალი რისკები (შესაძლო გადახრები); • აწარმოებს დეტალურ და სიღრმისეულ ანალიზს და ხელს უწყობს შემდგომ დისკუსიას; • იძლევა უფრო მეტ მოქნილობას სიღრმისეული ინტერვიუების/ფოკუს-ჯგუფების დისკუსიების დროს ახალ ვითარებასთან ადაპტირებისათვის; • უფრო მეტად მოქნილია დროისა და ადგილმდებარეობის თვალსაზრისით, რადგან არ არის საჭირო ერთდროულად ძალიან ბევრი ადამიანის გამოკითხვა; • საშუალებას არ იძლევა (ან სულ მცირე ართულებს), რომ შედეგები განვაზოგადოთ მთელ სამიზნე მოსახლეობაზე შერჩევითი ერთობლიობის მცირე ზომის შემთხვევაში; • პასუხების ხარისხი დამოკიდებულია შესაბამისი უნარების მქონე მკვლევრებზე; • რთულია რესპონდენტების ანონიმურობის დაცვა, რამაც შესაძლებელია შექმნას უხერხული სიტუაცია და ხალხი ჩააგდოს არაკომფორტულ ვითარებაში პირად შეკითხვებზე პასუხების გაცემისა და პირადი გამოცდილების გაზიარების დროს; • რთულია შედეგების ინტერპრეტაცია და/ან შედარებების გაკეთება.	• შესაძლებლობას იძლევა მონაცემების უფრო სწრაფად, მარტივად და ეფექტიანად შეგროვება მოხდეს მონაცემთა შეგროვების თვისებრივ ტექნიკასთან შედარებით; • შესაძლებელს ხდის უფრო ობიექტური და ზუსტი მონაცემების შეგროვება თვისებრივ მეთოდებთან შედარებით; • შედეგები შედარებადია ჯგუფებს შორის; • არ არის შესაძლებელი (ან სულ მცირე რთულია) ზოგიერთი ისეთი ცვლადის რაოდენობრივ ცვლადად გარდაქმნა, როგორებიცაა ღირებულებები, გრძნობები, ქცევები და სხვა.; • არ არსებობს ერთიდაიგივე ჩარჩო, რომელიც სათანადოდ გაზომავს ზეგავლენასა და ეფექტიანობას; • ვერ უმკლავდება მრავალმხრივი მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენას, იქ სადაც, შედეგებს შეიძლება ჰქონდეს მრავალი განსხვავებული ინტერპრეტაცია; • ახასიათებს გაზომვისა და მოდელირებისას ვადებთან დაკავშირებული სირთულეები; • მისთვის დამახასიათებელია ინფორმაციის დამახინჯება კითხვარში წინასწარი პასუხების ჩართვით, რამაც შეიძლება შენიღბოს მონაწილეთა ჭეშმარიტი ქცევები და დამოკიდებულებები.

გ) მონაცემთა ნაკლებობასთან გამკლავება

GIA მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების არსებობაზე, რაც ზოგჯერ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მონაცემთა შეგროვების პროცესში ამ ხარვეზების არსებობამ შეიძლება საკმაოდ შეზღუდოს გენდერის ზეგავლენის შეფასების ხარისხი და შეუძლებელი გახადოს მისი ეფექტიანად განხორციელება (წვდომის თვალსაზრისით ყველაზე რთულ მონაცემთა ბაზებს შორისაა გენდერის მიხედვით ჩაშლილი დროის გამოყენების ცხრილები და ქალთა აუნაზღაურებელი ბრუნვის შეფასება). მსგავსი მონაცემების არარსებობის პირობებში გენდერის ზეგავლენის შეფასების შემუშავებამ შეიძლება გამოიწვიოს მისი მაღალი დოზით დამოკიდებულება სპეკულაციებსა და პირად აღქმებზე (EIGE, 2016).

გენდერთან დაკავშირებული საბაზისო მონაცემების ნაკლებობის სამი ძირითადი მიზეზი არსებობს (Peng, 2015):

1. სამთავრობო და კვლევით ინსტიტუტებს არ აქვთ რაიმე სათანადო კვლევა ან გამოკითხვა, რითაც ხორციელდება გენდერთან დაკავშირებული საბაზისო მონაცემების შეგროვება;
2. პროექტის ან პროგრამის დამგეგმავებს, რომლებიც კარგად ვერ ერკვევიან გენდერთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების თავისებურებებში, არ შეუძლიათ სათანადო გენდერული სტატისტიკის მოწოდება;
3. დამგეგმავები (მონაცემთა შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირები) თავს იკავებენ შესაბამისი ინფორმაციის მოძიების ან მომზადებისაგან.

გენდერის ზეგავლენის შეფასების პროცესში საბაზისო სტატისტიკის (სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემები) ნაკლებობის აღმოჩენის შემთხვევაში უნდა მომზადდეს ეფექტიანი უკუკავშირისა და ანგარიშგების მექანიზმი, რაც საშუალებას მისცემს პასუხისმგებელ სააგენტოებს ან სამთავრობო უწყებებს, წარმოადგინონ და/ან შეაგროვონ მოთხოვნილი სტატისტიკა. უფრო მეტიც, ძალიან მნიშვნელოვანია მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებული პრობლემები გამოკვეთილად და ხაზგასმით დაფიქსირება GIA-ს ანგარიშებში, რათა მკითხველს მიეწოდოს სათანადო ინფორმაცია

მონაცემების წვდომასთან დაკავშირებით, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მკითხველებმა GIA-ს შედეგების ინტერპრეტაციისას (EIGE, 2016).

გენდერის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების ნაკლებობასთან გასამკლავებლად საჭირო რჩევები (Peng, 2015):

- როდესაც სტატისტიკური ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის ეროვნულ დონეზე (მაგალითად, გენდერის ჩაშლილი მონაცემები), მაშინ მკვლევრები უნდა შეეცადონ რეგიონალური მონაცემების მოპოვებას (მაგალითად, ევროკავშირის, აზიის განვითარების ბანკის, მსოფლიო ბანკისა და UNESCO-ს გენდერული მონაცემთა ბაზებიდან);
- მეორეული ინფორმაციის ნაკლებობა ზოგჯერ შეიძლება შეივსოს პირველადი მონაცემების ტექნიკის გამოყენებით (რომელსაც უფრო მეტი დრო სჭირდება და უფრო ძვირია, მაგრამ ზოგჯერ აუცილებელია მისი გამოყენება) და უფრო მეტად ინოვაციური ტექნიკის საშუალებითაც - როგორცაა მონაცემთა სიღრმისეული (ინტელექტუალური) ანალიზი (Data Mining) და მანქანური სწავლება (Machine Learning) - რათა მოხდეს შედარებით პრობლემური ინფორმაციისა და უფრო ზუსტი მონაცემების შეგროვება შემდგომი გამოყენებისთვის;
- ცვლადები, რომელთა პირდაპირ აღება მეორეული მონაცემების წყაროებიდან ვერ ხერხდება, შეიძლება ჩანაცვლდეს სხვა სანდო ცვლადებით, რომლებიც იმავე საკითხებს ზომავს. მაგალითად, არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები გენდერულ ღირებულებებზე, მაგრამ ეს ცვლადები შეიძლება გამოითვალოს ქორწინების საშუალო ასაკით (გენდერულ ღირებულებათა გაუმჯობესება აისახება გაზრდილ ქორწინების საშუალო ასაკში, ადრეული ქორწინების ნაკლებობა აჩვენებს ქალების ღირებულებების ზრდას და უფრო მეტად გაძლიერებული ქალი იღებს გადაწყვეტილებას, ჯერ კარიერა გაიუმჯობესოს და შემდეგ, მოგვიანებით შექმნას ოჯახი) და განქორწინების მაჩვენებლით (გაძლიერებული ქალი უფრო მეტად ბედავს განქორწინებას) (ISET-PI, 2020).

ბიბლიოგრაფია

- Belyh, A. (2017). *Overview of Qualitative and Quantitative Data Collection Methods*. Cleverism Blog. Retrieved from <https://www.cleverism.com/qualitative-and-quantitative-data-collection-methods/>
- Bhat, A. (2019). *Leading Questions: Definition, Characteristics and Examples*. QuestionPro Blog. Retrieved from <https://www.questionpro.com/blog/leading-questions/>
- CARE (2014). *Gender, Equity, and Diversity Training Materials – Module 4: Gender Training*. Available at <https://www.care.org/wp-content/uploads/2020/06/Gender-Equity-and-Diversity-Module-4.pdf>.
- Commonwealth of Learning (2015). *Gender Impact Assessment (GIA)*. Available at http://oasis.col.org/bitstream/handle/11599/1745/2015_Wong_Gender-Impact-Assessment.pdf?sequence=2&isAllowed=y.
- Council of Europe (1998). *Gender Mainstreaming: Conceptual framework, methodology and presentation of good practices*. Final Report of Activities of the Group of Specialists on Mainstreaming (EG-S-MS). Strasbourg.
- CRS (2013). *A Sample Gender Analysis*. Abridged Version. Retrieved from <https://www.crs.org/sites/default/files/tools-research/a-sample-gender-analysis.pdf>
- EIGE (2016). *Gender Impact Assessment: Gender Mainstreaming Toolkit*. Available at <https://eige.europa.eu/publications/gender-impact-assessment-gender-mainstreaming-toolkit>.
- Equality Commission for Northern Ireland (n.d.). *Equal Pay Review Kit*.
- EUDEL (2018). *Preliminary Gender Impact Assessments: Explanatory guide to the process and tools devised for implementation in Local Bodies*. Available at http://www.emakunde.euskadi.eus/contenidos/informacion/english_tools_gender/eu_def/adjuntos/guide_eudel.pdf.
- European Commission (2020a). *Commission Staff Working Document: Evaluation of the Relevant Provisions in the Directive 2006/54/EC Implementing the Treaty Principle on 'Equal Pay for Equal Work or Work of Equal Value'*. Brussels.
- _____ (2020b). *Communication from the Commission to the European Parliament, The Council, the European Economic and Social Committee and The Committee of the Regions – A Union of Equality: Gender Equality Strategy 2020-2025*. Brussels.
- _____ (2021). *Impact Assessment: Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council to strengthen the application of the principle of equal pay for equal work or work of equal value between men and women through pay transparency and enforcement mechanisms*. Brussels.
- FAO (1999). *Participatory Rural Appraisal Toolbox*. Available at <http://www.fao.org/docrep/003/x5996e/x5996e06.htm>.
- _____ (2011). *The State of Food and Agriculture 2010-2011*. Rome. Available at <http://www.fao.org/3/i2050e/i2050e00.htm>.
- _____ (2018). *Gender, agriculture and rural development in Georgia – Country Gender Assessment Series*. Rome. Available at <http://www.fao.org/3/ca0577en/CA0577EN.pdf>.
- Foley, B. (2018). *Purposive Sampling 101*. Surveygizmo Blog. Retrieved from <https://www.surveygizmo.com/resources/blog/purposive-sampling-101/>
- HERD. (2016). *Guidelines of the Focus Group Discussion*. A HERD Publication. Retrieved from https://www.herd.org.np/uploads/frontend/Publications/PublicationsAttachments1/1485497050-Focus%20Group%20Discussion_0.pdf

- Gender Equality Council of the Parliament of Georgia (2017). *Gender Impact Assessment of Georgia's Drug Reform*. Good Governance Initiative (GGI), United States Agency for International Development (USAID). Available at <http://www.parliament.ge/uploads/other/82/82301.pdf>.
- Geostat (n.d.). Statistics Database. Available at http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/en/Database/Database__Agriculture/?rxid=7a06140b-7cd5-43b3-974b-6e482ca28f34.
- Grill, Scott (n.d.). *WEED – Gender Impact Assessment Toolkit*. URBACT II. European Union. Available at https://urbact.eu/sites/default/files/import/Projects/WEED/outputs_media/WEED_Gender_Impact_Assessment_Toolkit_01.pdf.
- Harris, A. (1990). Race and Essentialism in Feminist Legal Theory. *Stanford Law Review*, vol. 42, No. 3 (February), pp. 581–616.
- IFAD (2002). *A Manual for Gender-focused Field Diagnostic Studies: IFAD's Gender Strengthening Programme in Eastern and Southern Africa*. Available at https://books.google.ge/books/about/A_Manual_for_Gender_focused_Field_Diagno.html?id=Ft_GZwECAAJ&redir_esc=y.
- ISSET-PI, and UNFPA (2020). *Social-Economic Policy Analysis with Regards to Son Preference and Gender-biased Sex Selection in Georgia*. Tbilisi. Available at <https://georgia.unfpa.org/en/publications/social-economic-policy-analysis-regards-son-preference-and-gender-biased-sex-selection>.
- Khosla, Prabha (2008). *Gender in Local Government: A Sourcebook for Trainers*. United Nations Human Settlements Programme. Available at http://www.un.org/womenwatch/directory/pdf/Source_BK_9-May.pdf.
- Ma Rhea, Zane (2000). Whitewashing Diversity: the management of diversity from a 'white superiority' perspective. Paper presented at the Diversity Conference 2000, National Conference on Reconciliation, Multiculturalism, Immigration and Human Rights. National Centre for Gender and Cultural Diversity, Swinburne University of Technology.
- Mander, J. (2014). *How to Use Qualitative and Quantitative Research to Your Advantage*. Globalwebindex Blog. Retrieved from <https://blog.globalwebindex.com/trends/qualitative-vs-quantitative/>
- March, Candida, Ines Smyth, and Maitrayee Mukhopadhyay (1999). *A Guide to Gender-Analysis Frameworks*. Oxfam GB. Available at <https://policy-practice.oxfam.org/resources/a-guide-to-gender-analysis-frameworks-115397/>.
- Marušić, Andreja, and Branko Radulović (2011). *Regulatory Impact Analysis (RIA) Manual*. Podgorica: USAID – Good Governance Activity in Montenegro. Available at <http://regulatoryreform.com/wp-content/uploads/2015/02/Montenegro-USAID-RIA-Manual-2011.pdf>.
- Moser, Caroline O. (1989). Gender Planning in the Third World: Meeting Practical and Strategic Gender Needs. *World Development*, vol. 17, No. 11, pp. 1799–825.
- OECD (2014). *Budgeting Practices and Procedures in OECD Countries*. Paris: OECD Publishing. Available at <https://doi.org/10.1787/9789264059696-en>.
- Office for Women and the University of Adelaide (2005). *Gender Impact Assessment: Implementing the Netherlands Model*. Government of Australia. Available at https://officeforwomen.sa.gov.au/_data/assets/pdf_file/0013/5134/Gender-Analysis-NETHERLANDS.pdf.
- Oxfam Asia (2013). *Balancing the scales: Using gender impact assessment in hydropower development*. Oxfam Water Governance Regional Program. Oxfam Australia. Available at https://cng-cdn.oxfam.org/asia.oxfam.org/s3fs-public/file_attachments/GIA%20MANUAL%20EN.pdf.
- Oxfam Australia (2017). *A Guide to Gender Impact Assessment for the Extractive Industries*. Available at https://www.oxfam.org.au/wp-content/uploads/2017/04/2017-PA-001-Gender-impact-assessments-in-mining-report_FA_WEB.pdf.

- Peletz, Nicole, and Kevin Hanna (2019). *Gender Analysis and Impact Assessment: Canadian and International Experiences*. Vancouver: University of British Columbia and Canadian International Resources and Development Institute. Available at https://cirdi.ca/wp-content/uploads/2019/07/WEB_Gender_Analysis_Impact_Assessment.pdf.
- Peng, Yen-Wen (2015). The Challenges of Gender Mainstreaming in a Managerialism State: Experiences of Implementing Gender Impact Assessment in Taiwan. ECPG Conference, Session Feminism and Neoliberalism. Uppsala.
- Research Evolution Consulting. (2016). *Quantitative Versus Qualitative Data*. Research Evolution Consulting Blog. Retrieved from <http://www.researchevaluationconsulting.com/quantitative-versus-qualitative-data/>
- Ritchie, Anna (2010). *Conducting an Equal Pay Review: The Role of Union Reps*. Glasgow: Close the Gap.
- Robinson, M. (2014). *Qualitative and Quantitative Research the Pros and Cons*. Retrieved from <https://prezi.com/pxbytgzlr1vg/qualitative-and-quantitative-research-the-pros-and-cons/>
- Shelley, Mack C. (2001). How to do a Survey (A 9-Step Process). LC Assessment Workshop. Available at <https://www.lc.iastate.edu/sites/default/files/Tools%20and%20Resources/F2001AssessmentWorkshopSurvey.pdf>.
- Sincero, S. M. (2012). *Methods of Survey Sampling*. Explorable Blog. Retrieved from <https://explorable.com/methods-of-survey-sampling>
- Spanache, I., & Havas, A. (2017). *A Practical Guide on Ex Ante Evaluation for Research Infrastructures*. Facilitating macro-regional scope and link up to socio-economic actors of Research Infrastructure in the Danube Region. Retrieved from http://www.interreg-danube.eu/uploads/media/approved_project_output/0001/32/027d46e71b43f79af6eeac478564654e95bd0b3f.pdf
- Staroňová, Katarína, Eva Hejzlarová, and Kristýna Hondlíková (2017). Making Regulatory Impact Assessment Gender-Sensitive: The Case of the Czech Republic and Slovakia. *Transylvanian Review of Administrative Sciences*, No. 51 (June), pp. 89–105. Available at <https://rtsa.ro/tras/index.php/tras/article/view/526>.
- Teschner, Naama (2013). *The Impact of Legislation on Gender Equality – Implementation and Comparative Analysis*. The Knesset Research and Information Center. Available at <https://m.knesset.gov.il/EN/activity/mmm/me03376.pdf>.
- UN Women (2018). *Gender Equality and Big Data: Making Gender Data Visible*. Available at <https://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2018/1/gender-equality-and-big-data>.
- _____ (2019). *The Gender Gap in Agricultural Productivity in Sub-Saharan Africa: Causes, Costs and Solutions*. Available at <https://www.unwomen.org/-/media/headquarters/attachments/sections/library/publications/2019/un-women-policy-brief-11-the-gender-gap-in-agricultural-productivity-in-sub-saharan-africa-en.pdf?la=en&vs=1943>.
- UNDP (2007). *Gender Mainstreaming in Practice – A Toolkit*. Regional Programme of the United Nations Development Programme's Regional Bureau for Europe and the CIS (UNDP RBEC). Available at http://descentralizare.gov.md/public/publications/936268_en_gender_mainstre.pdf.
- WECF (2017). *Gender in Sustainable Development: Collection of Exercises for Training of Trainers (ToT)*. Women 2030 Programme. Available at <https://www.women2030.org/gender-in-sustainable-development-collection-of-exercises-for-training-of-trainers/>.
- WECF. (2018). *The Gender Impact Assessment and Monitoring Tool*. Women2030 Project. Retrieved from <https://www.wecf.org/wp-content/uploads/2019/01/FINAL-GIM-Tool-Jan-19.pdf>
- Wojcik, S. & Remy, E. (2019). *The Challenges of Using Machine Learning to Identify Gender in Images*. Pew Research Center Essay. Retrieved from <https://www.pewresearch.org/internet/2019/09/05/the-challenges-of-using-machine-learning-to-identify-gender-in-images/>



გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women)
საქართველოს წარმომადგენლობა
კავსაძის ქ. #3, ოფისი 11, 0179
თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 222 06 04
(995 32) 222 08 70

www.unwomen.org
www.georgia.unwomen.org